პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, [illegible] (ყოფ. დიდი [illegible]) ქ. № 88. ვერის ხარისხი
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—58) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებანი: საქართველოს ფურცლებზე—ტექსტის უკან—60 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ. ტექსტში—3 მ.; განმეორებული განცხადების ფასი იკლებს 10% სახელმწიფო დაწესებულებების განცხადებები ხოლო ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— რუმინეთის ეროვნული გლეხთა პარტია მოითხოვს მთავრობის გადადგომას.
— კანონპროექტი ამნისტიის შესახებ გერმანიის რეიხსტაგში.
— მემარცხენე მოლდავეთა დაპატიმრება ვარშავაში.
— გადიდდა გერმანელ პროლეტარულ პრესის [illegible] გასამართლება.
— ჟენევაში გაემგზავრა ოსმალეთის დელეგაცია განიარაღების კომისიის სესიაზე.
— წყალდიდობა კალიფორნიაში.—დაიხრჩო 700 კაცი.

პარასკევი, 16 მარტი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 62 (2105)

საბჭოებისა და მათი სექციების საანგარიშო კამპანია

ამჟამად მიმდინარეობს საბჭოთა საანგარიშო კამპანია და კონკურსი საბჭოების საუკეთესო სექციაზე. ერთიც და მეორეც მიზნად ისახავს საბჭოების მიღწევების მასიურ შემოწმებას და მათ შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებას. პარტია და ხელისუფლების ხელმძღვანელი ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა მუშაობის გაუმჯობესება-გამოცოცხლებას. საბჭო პირველ ყოვლისა სოციალისტური აღმშენებლობის საუკეთესო სკოლაა. ამ დიდ მუშაობას საბჭო ახორციელებს თავის სექციების საშუალებით, რომელიც ფართო მშრომელი მასის პრაქტიკულ საზოგადოებრივ მუშაობის ასპარეზს წარმოადგენენ. სექციებისა და, მაშასადამე, მთლიანად საბჭოს ნორმალურად მუშაობა გულისხმობს მასის სოციალისტურად აღზრდის, მის კულტურულად და მატერიალურად დაწინაურების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა ჩვენ ძირითად ამოცანათა წარმატებით გადაჭრას. აქედან გამომდინარეობს მთელი ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენ ვაკუთვნებთ საბჭოების საანგარიშო კამპანიას და სექციათა კონკურსის ფართოდ და აქტიურად ჩატარებას.

რა პრაქტიკული შედეგები მივიღეთ ჩვენ ჯერ-ჯერობით საანგარიშო კამპანიასა და საბჭოების საუკეთესო სექციის კონკურსისაგან? აქ გადაჭრით და მოურიდებლად უნდა ითქვას, რომ ბევრგან ვერ ვხედავთ ისეთ აქტივობას, როგორც ამას საქმის ინტერესი მოითხოვს. მიზეზები, როგორც ყოველთვის, აქაც ბევრია. ასეთებია სხვათა შორის უამინდობა, კამპანიები, რომელნიც დღეს მიმდინარეობენ ზემოაღნიშნულ კამპანიებთან ერთად და სხვა. როგორიც არ უნდა იყვეს ეს მიზეზები, ჩვენ ასეთ მდგომარეობას მაინც ვერ გავამართლებთ. მით უფრო, ერთი მთავარი მიზეზთაგანი, ცუდი ამინდები, წარმავალი ხასიათისაა.

საჭიროა პირველ ყოვლისა ჩვენ შევიგნოთ საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების მთელი მნიშვნელობა. საჭიროა ნათლად გვქონდეს წარმოდგენილი, თუ რამდენად დიდი ნაყოფის მოცემა შეუძლია ამ მხრივ საანგარიშო კამპანიისა და სექციათა კონკურსის წარმატებით ჩატარებას. ამასთან ერთად აუცილებელია მონდომება და რეალურ ნაბიჯების გადადგმა ამ კამპანიის სათანადოთ ჩატარებისათვის. სინამდვილეში ბევრგან ადგილი აქვს შემდეგ მავნე მოვლენებს: ან თითქმის არაფერს აკეთებენ კამპანიის ჩასატარებლათ, ან საკითხს ფორმალურად უდგებიან: იწერება ცირკულიარები ქვემდგომ ინსტანციებისადმი, იწერება ოფიციალური უწყებრივი ანგარიშები ამა თუ იმ სექციის მუშაობის შესახებ და საქმეც ამით თავდება. მასის ცოცხალი მონაწილეობა საბჭოსა და სექციის მუშაობის შემოწმების საქმეში, მშრომელთა ნამდვილ კონტროლს ამ მუშაობაზე, ასეთ კონტროლიდან გამომდინარე პრაქტიკულ წინადადებების გამომუშავებას მომავალ საქმიანობისათვის და სხვას, რასაც პირდაპირ მიზნათ ისახავს საბჭოს საანგარიშო კამპანია და სექციათა კონკურსი, ბევრგან ჯერ კიდევ ადგილი არ აქვს.

რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს, საჭიროა ადგილობრივ ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ საბჭოთა მუშაობის მასიურად შემოწმების საქმისადმი. საჭიროა ამ საკითხის ირგვლივ სოფლად და ქალაქად დაირაზმოს მშრომელი მასის ფართე ფენები.

კერძოდ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კამპანიის ჩატარებისათვის ინფორმაციას. აქ პრესას, როგორც ცენტრალურს, ისე ადგილობრივს და კედლის გაზეთებს უდიდესი ადგილი უჭირავს. მაგრამ მისი მუშაობა ამ შემთხვევაში განსაკუთრებით დამოკიდებულია თვით მასის აქტივობაზე. კორესპონდენტებმა უფრო ხშირად და მიუდგომლად უნდა სწერონ საბჭოთა საანგარიშო კამპანიისა და სექციათა კონკურსის ადგილობრივად მსვლელობის შესახებ. მუშა და გლეხ-კორესპონდენტების ერთ-ერთი მთავარი მოვალეობას შეადგენს, რომ მათ ალღო აუღონ ცხოვრების მიმდინარე საკითხებს. ყური ფხიზლად დაიჭირონ იმ ამოცანებისადმი, რომელთაც პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ დროის განსავლობაში ცენტრალურ ამოცანებად აყენებს, სწერონ იმის შესახებ თუ რა კეთდება ან რა უნდა გაკეთდეს ადგილობრივ ამ ამოცანათა გადასაწყვეტად და სხვ.

ამ შემთხვევაში კი მუშა და გლეხკორესპონდენტების მიზანს უნდა შეადგენდეს, რაც შეიძლება სრულად და მიუდგომლად სწერონ თავიანთ სოფლის, თემის თუ ქალაქის საბჭოსა და ამა თუ იმ სექციის მუშაობის შესახებ. ამაზევე შეუძლია სწეროს და უნდა სწერდეს საბჭოთა თვითეული მოქალაქე, რომელსაც კი თავის აზრის წერილობით გამოთქმის უნარი შესწევს, რომელსაც საბჭოების მუშაობა თავის საქმეთ მიაჩნია და გული შესტკივა ამ მუშაობაზე. ამ ღონისძიებების გარეშე წარმოუდგენელია საბჭოების საანგარიშო კამპანიის და საუკეთესო სექციაზე კონკურსის წარმატებით ჩატარება.

მეტი ყურადღება საბჭოების საანგარიშო კამპანიებისადმი და მათ სექციათა კონკურსისადმი, ამ საკითხების პრესის საშუალებით უფრო ფართოდ გაშუქება, ბრძოლა ფორმალიზმისა და ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა წინააღმდეგ საბჭოების მასიურ მუშაობის შემოწმების დროს, აი რა უნდა გავითვალისწინოთ ჩვენ აქედანვე.

ფართე ფრონტით ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

საბჭოთა კავშირის სოციალისტური აღმშენებლობა შეუჩერებლივ წინ მიდის ცხოვრების ყოველ დარგში. მაგრამ ჩვენი მიღწევების ამ ნათელ ფონზე კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება ცალკე ბნელი და მტკივნეული ადგილები.

ბიუროკრატიზმი და უკულტურობა—სოციალისტური აღმშენებლობის ეს ორი მტერი მჭიდროთ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ერთიც და მეორეც ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ მეფის რეჟიმის საზოგადოებრივ პირობებისაგან. ბიუროკრატიზმი წარმოშობილია უკულტურობის ნიადაგზე, უკულტურობა ჩვენ საშუალებას არ გვაძლევს საბოლოოდ აღმოვფხვრათ ბიუროკრატიზმი. ამავე დროს, „მესამე ძალა“ სარგებლობს რა ის ბიუროკრატიზმით და უკულტურობით, ზოგჯერ მეტად აქტიურად გამოდის. მას აქამდის არ დაუკარგავს მუშათა და გლეხთა საქმის ჩაშლის იმედი. ამის მაგალითს გვაძლევს საბჭოთა კავშირის სამხრეთ ნაწილში აღმოჩენილ ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციის ფაქტი.

ყველაფერი ეს ნათლად ჩანს შახტის საქმიდან. საკუთარი წითელი სპეციალისტების-ინჟინერების ნაკლებობის (თითქმის უყოლობის) გამო ჩვენ იძულებული ვართ სოციალისტური მრეწველობა ვაშენოთ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში აღზრდილ ძველ სპეციალისტების კადრების ტეხნიკურ ხელმძღვანელობით. მათ შორის არის არა მარტო პატიოსანი ხალხი, რომელთაც ესმით, რომ საჭიროა მუშაობა მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის, არამედ სხვა ჯურის ხალხიც. ხშირად კომუნისტ-სამეურნეო მუშაკებს სათანადო სპეციალური ცოდნის უქონლობის გამო არ შეუძლიათ მთლიანად და სავსებით შეამოწმონ სპეციალისტების მუშაობა და კონტროლი გაუწიონ მას. ამასთანავე ერთად, საბჭოთა წყობილების მხარეზე მყოფ კეთილ-სინდისიერ სპეციალისტებს შორის ჩვენ აქამდის ვერ შევძელით საზოგადოებრივ აქტიურობის ისეთი ატმოსფერის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა მათ კონტროლს იმ ცალკე სპეციალისტებზე, რომელთა მუშაობა საეჭვოა აშკარა უყაირათობის და არა კეთილ-სინდისიერების გამო. ხოლო, როცა ჩვენ მიუდგებით საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება სინამდვილეში კონტროლი თვით მუშათა მასის მხრით, სწორედ აქ იჩენს თავს ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა ფაქტები ჩვენს ორგანიზაციებში. როგორც ჩვენ შახტის საქმის მაგალითზე ვხედავთ, მუშების მრავალი განცხადებები და სამართლიანი ჩივილი ხშირად უყურადღებოთ რჩება სათანადო ორგანიზაციების მხრივ.

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი საქმე არ არის. ბიუროკრატიზმის გაუქმება არავითარი „დეკრეტით“ არ შეიძლება. მისგან ჩვენ სავსებით და საბოლოოდ განვიკურნებით მხოლოდ ქალაქის და სოფლის მშრომელი მასის კულტურული დონის ამაღლებით. ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ, კულტურის შეტანა მშრომელი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში, ტეხნიკურ და სხვაგვარ ცოდნათა გავრცელება, სამუშაო დღის შემცირება და შრომის პირობების შემსუბუქება, ყველა ასეთ და ამგვარ ზომებს საბოლოოდ შეუძლია ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი შეხედვით მათ თითქოს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, უნდა ითქვას, რომ ეს ბრძოლა არ ამოიწურება აღნიშნულ საერთო კულტ. ღონისძიებებით, რომლებიც უნდა განხორციელდეს მთელ რიგ წლების განმავლობაში. არის ისეთი ამოცანები, რომელთა გადაჭრა ჩვენ შეგვიძლია დაუყოვნებლივ, თუ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩავაბამთ მშრომელთა ფართე მასებს.

ჩვენი ორგანიზაციების და აპარატების მუშაობა უნდა სწარმოებდეს მუშათა და გლეხთა მასების კიდევ უფრო ფართე კონტროლის ქვეშ, ვინემ ეს იყო აქამდის. ჩვენ უნდა ჩავაბათ მასები ბრძოლაში უყაირათობის, დაუდევრობის, საქმის გაჭიანურების, თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებს, მუშისა და გლეხისადმი მედიდური დამოკიდებულების წინააღმდეგ, ბრძოლაში უკონტროლობისა და უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს გლეხებისა და მუშების მითითებებს ბოროტების კონკრეტიულ მატარებლებზე და ბიუროკრატიზმის ფაქტებზე.

საბჭოთა კავშირის განვითარების არსებულ პერიოდში, როცა პარტია და მუშათა კლასი აწარმოებს მძიმე „ყოველდღიურ“ მუშაობას მეურნეობის აღმშენებლობისა და კულტურის ამაღლებისათვის, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ღებულობს ისეთ ორგანოს მუშაობა, როგორიცაა მუშათა და გლეხთა ინსპექცია. ეს ორგანო, რომელიც შექმნილია ლენინის ინიციატივით, უნდა იქნეს საბჭოთა აპარატის მასებთან შემაერთებელი უმნიშვნელოვანესი რგოლი. პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების სისტემაში საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების, გაწმენდის და განმტკიცების ამოცანა პირველ ყოვლისა ეკისრება მუშათა და გლეხთა ინსპექციას. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე მუშათა და გლეხთა ინსპექციას მოწინავე ავანგარდის პოზიცია უჭირავს. მასებში თანდათან იზრდება ამ ორგანოს ავტორიტეტი და მისდამი ნდობა.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენი პარტიული და საბჭოთა პრესა, რომელსაც პროლეტარულ საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოაქვს ჩვენ დაწესებულებების იარები და დეფექტები. ამიტომ სავსებით ბუნებრივი და მიზანშეწონილია მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ჩვენი გაზეთების იმ ღონისძიებათა გაერთიანება, რომლებიც მიმართულია ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ფართე მასების ჩაბმისაკენ. ერთ-ერთ ღონისძიებას ამ მიმართულებით წარმოადგენს „პრავდა“-ში პერიოდულად ბეჭდვა „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცლის“, რასაც ჩვენ ვიწყებთ გაზეთის დღევანდელ ნომრიდან. ვაძლევთ რა ამ ფურცელს დიდ მნიშვნელობას, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მასში ითანამშრომლებენ პარტიული მუშები ადგილებიდან, რომელთა მასალები ან მოთავსდება „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელში“, ან კიდევ, თუ საჭირო იქნება, დაუყოვნებლივ გადაეცემა გამოსაკვლევად მუშათა და გლეხთა ინსპექციას დამნაშავეთა დასჯის და საჯაროდ გამათრახების მიზნით და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის სათანადო ზომების მისაღებად.

ჩვენ გავიმარჯვეთ და ვიმარჯვებთ სოციალიზმის მშენებლობის შინაურ ფრონტზე. წლიდან წლამდე იზრდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის საქმე, რომელიც ამავე დროს მსოფლიო რევოლიუციის საქმესაც წარმოადგენს. ჩვენ გვაქვს მიღწევათა მთელი რიგი საუკეთესო მაგალითები სხვადასხვა დარგში, გვაქვს რასაკვირველია ჩვენი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობაშიაც. ჩვენ არც ეს მიღწევები არ უნდა დავსტოვოთ ჩრდილში და უნდა გავაშუქოთ ისინი პრესაში. მაგრამ, თავისთავად ცხადია, „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელში“ ჩვენ, პირველ ყოვლისა, ყურადღებას მივაქცევთ იმას, რაც ჩვენ უნდა შევსცვალოთ, აღმოვფხვრათ, მოვსპოთ და გავაუმჯობესოთ. მუშაობა ჩვენი ორგანიზაციების და დაწესებულებების გაუმჯობესებისათვის წარმატებით შეიძლება წაყვანილ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას კონტროლს გაუწევს და მასში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს თვით მუშათა და გლეხთა ფართე მასები.

„პრავდა“, 15 მარტი.

ჟენევაში გაიხსნა განიარაღების მოსამზადებელ კომისიის სესია

პრესის გამოძახილი განიარაღების საბჭოთა პროექტზე

ამსტერდამელები პროფმოძრაობის მთლიანობის წინააღმდეგ

საბჭოთა ნავთი სპარსეთში ახალ ბაზრებს იპყრობს

განიარაღების სალაყბოს მორიგი სესია

ჟენევა, 15 მარტი. დღეს გაიხსნა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მეხუთე სესია. კომისიის თავმჯდომარე ლოუდენი მიესალმა სპარსეთის წარმომადგენელს, რომელიც პირველად ესწრება კომისიის სხდომებს. შემდეგ ლოუდენმა კმაყოფილება გამოსთქვა უშიშროებისა და არბიტრაჟის კომიტეტის მუშაობის შედეგების გამო, და აღნიშნა, რომ კომისიამ უნდა განიხილოს საბჭოთა მთავრობის მიერ წარმოდგენილი განიარაღების პროექტი. „კომისიამ—სთქვა ლოუდენმა,—უნდა გადასწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად რეალურია ეს პროექტი და რამდენად ეთანხმება იგი კაცობრიობაში გაბატონებულ სულისკვეთებას. ყოველ შემთხვევაში მეტად სასარგებლო იქნება ზედმიწევნით იქნას შესწავლილი ეს პროექტი“. თურქეთის ელჩმა ბერნში მუნირბეიმ, რომელიც კომისიაში წარმოადგენს თურქეთს, უკანასკნელის მთელი დელეგაციის ჩამოსვლამდე, კმაყოფილება გამოსთქვა თურქეთის მიწვევის გამო და გამოსთქვა იმედი, რომ თურქეთის დელეგაციას, რომელიც ჟენევაში ჩამოვა მხოლოდ კვირას, საშუალება ექნება აქტიური მონაწილეობა მიიღოს მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. გერმანიის წარმომადგენელმა ბერნსდორფმა წინადადება შეიტანა, რომ მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა გადაიდოს ორშაბათამდე, რათა თურქეთის დელეგაციას მიეცეს საშუალება უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში. საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ თურქეთის მიწვევის ინიციატივა ეკუთვნის საბჭოთა კავშირს და მხარი დაუჭირა ბერნსდორფის მიერ შეტანილ წინადადებას, რომელიც მიღებულ იქნა. კომისიის შემდეგი სხდომა შესდგება ხვალ. დღის წესრიგშია—უშიშროებისა და არბიტრაჟის კომიტეტის მოხსენების განხილვა (ადს).

განიარაღების გარშემო

„საბჭოთა წინადადებები ეთანხმება განიარაღების პატიოსან მომხრეთა სურვილებს“.

ბერლინი, 14 მარტი. „ტეგლიხე რუნდშაუ“-ს (შტრეზემანის ორგანო) ჟენეველი კორესპონდენტი საბჭოთა დელეგაციის ჟენევაში ჩასვლის გამო სწერს, რომ ჟენევის წრეები განსაკუთრებით დაინტერესებული არიან განიარაღების საბჭოთა პროგრამის ზოგიერთ ძირითად ტენდენციებით. კერძოდ, ჟენევაში აინტერესებთ საბჭოთა კავშირის წინადადებები თანდათანობითი განიარაღების სფეროში. ეს წინადადებები, გაზეთის სიტყვით, „ეთანხმება განიარაღების ყველა პატიოსან მომხრეთა სურვილებს“. აინტერესებთ აგრეთვე წინადადება ზღვების თავისუფლების შესახებ.

ამავე დროს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ინგლისის წარმომადგენელმა ერთა ლიგაში ლორდმა კეშენდენმა თავის დროზე განაცხადა, რომ საბჭოთა წინადადებები განიარაღების შესახებ სერიოზულად უნდა იქნენ შესწავლილნი. (ადს).

ოსმალეთის დელეგაცია

ანგორა, 14 მარტი. ოსმალეთის დელეგაცია გარეშე საქმეთა მინისტრის დევფიკ რუშდი - ბეის მეთაურობით გაემგზავრა ჟენევაში განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სესიაზე. (ადს).

„მხოლოდ ლაყბობა“

სტოკჰოლმი, 14 მარტი. საგარეო საქმეთა მინისტრმა ლევგრენმა საბჭოთა წინადადებებზე საყოველთაო განიარაღების შესახებ, შვეციის პარლამენტში განაცხადა, რომ შვეციის მთავრობა ვერ გაიზიარებს იმათ იდეებს, ვინც ცდილობს განიარაღების კომისიის მუშაობის დაჩქარებას. მინისტრის საპასუხოდ გამოვიდა სოციალ-დემოკრატი **ლინდჰაგენი**, რომელმაც სთქვა:

„თავისთავად ცხადია, რომ განიარაღების პროექტს, რომელიც საბჭოთა კავშირმა წარმოადგინა, გააფთრებულ წინააღმდეგობას გაუწევენ, ვინაიდან ამ პროექტის განხორციელება გამოიწვევდა დამონებული ერების სრულ განთავისუფლებას“, გააკრიტიკა რა მინისტრის განცხადება, რომ განიარაღება მხოლოდ უშიშროების უზრუნველყოფის დროსაა შესაძლებელი. ლინდჰაგენი უფრო დაწვრილებით შეჩერდა საბჭოთა პროექტზე.

წინააღმდეგ ლევგრენისა, **ლინდჰაგენი ადასტურებდა საბჭოთა წინადადებების კონკრეტიულ ხასიათს.**

შემდეგ გამოვიდა კომუნისტი **შინშერგი**, რომელმაც აღნიშნა, რომ ერთა ლიგას არ სურს სერიოზულად მოჰკიდოს ხელი განიარაღების პრობლემას, ვინაიდან **დიდ სახელმწიფოებს არ სურთ განიარაღება და მთელი ლაპარაკი მათი მხრით ამ საგანზე მხოლოდ ლაყბობაა.** (ადს).

შვეციის პრესის კომენტარიები

სტოკჰოლმი, 14 მარტი. უკეთებს რა კომენტარიებს საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლას, ოფიციოზი „სვენსკა მორგენ ბლადეტ“ აცხადებს, რომ განიარაღების საბჭოთა პროექტის „სერიოზულად მიღება შეუძლებელია, რომ საბჭოთა კავშირი ამავე დროს შეუწყვეტლივ აწარმოებს მსოფლიო რევოლიუციის პროპაგანდას“.

ზაკლუნდი, რომელსაც ლინდჰაგენთან ერთად სოციალ-დემოკრატებს შორის განსაკუთრებული პოზიცია უკავია ამ საკითხში, გეტებორგის გაზეთ „ნიუ-ტიდ“-ში მოითხოვს, რომ შვეციის მთავრობა სერიოზული ყურადღებით უნდა მოეპყრას საბჭოთა პროექტს.

კომუნისტური „პოლიტიკენი“ აღნიშნავს, რომ **შვეცია კუდში მისდევს დიდ სახელმწიფოებს**, რასაც ამტკიცებს მინისტრის არაპირდაპირი პასუხი შეკითხვაზე, თუ როგორ უყურებს მთავრობა განიარაღების საბჭოთა პროექტს. (ადს).

საბჭოთა ნავთი სპარსეთში

ბრძოლა „პერსაზნავთსა“ და ინგლისსპარსეთის ნავთის კომპანიას შორის

თეირანი, 14 მარტი. თეირანში „პერსაზნევთში“ ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადეს:

„უკანასკნელ დროს სპარსეთის ტერიტორიაზე საგრძნობლად გამწვავდა კონკურენცია ბაქოს ნავთის პროდუქტებსა და ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპანიის ნავთის პროდუქტებს შორის. ბრძოლა სწარმოებს ფასების დაკლების ხაზით ერთის მხრივ და ნავთის პროდუქტების ახალ ბაზრებზე გატანის ხაზით მეორეს მხრივ. მაგალითად, „პერსაზნევთმა“ ბაქოს ნავთის პროდუქტები გაიტანა შირაზის ბაზრებზე, ხოლო ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპანიამ—რეშტის ბაზრებზე. ინგლისელების გამოსვლას რეშტის ბაზარზე სერიოზულ მნიშვნელობას არ ვაძლევთ და ამ გამოსვლას უყურებთ, როგორც უბრალო დემონსტრაციას ჩვენი ნავთის წინააღმდეგ.

ადგილობრივ ვაჭრების დამოკიდებულება ინგლისის ნავთის პროდუქტებისადმი მეტად უარყოფითია. მათ მშვენივრად ესმით, რომ ინგლისელების გამოსვლას რეშტში აქვს აშკარა დემონსტრატიული ხასიათი და ის გამოწვეულია არა სერიოზული მუშაობის სურვილით, არამედ საკონკურენციო ბრძოლის მოსაზრებებით.

ამავე დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ რეშტის ვაჭრების საერთო უარყოფითი დამოკიდებულება ინგლისელებისადმი, რაც გამოწვეულია იმით, რომ ინგლისის ბანკმა სპარსეთის ვაჭრებს მოულოდნელად მოუსპო კრედიტი, რასაც მოჰყვა რამოდენიმე მსხვილი ვაჭრის გაკოტრება.

რაც შეეხება ჩვენს გამოსვლას შირაზის ბაზარზე, უნდა ითქვას, რომ ის სერიოზულ ხასიათს ატარებს და გამოწვეულია ამ რაიონში მუდმივი მუშაობის სურვილით. მიუხედავად იმისა, რომ შირაზი ახლოს არის მოხაბერის ნავთის წყაროებთან, ბაქოს ნავთის პროდუქტებისადმი დამოკიდებულება შირაზში კარგია და მათზე მოთხოვნილება დიდია, თუმცა ეს პროდუქტები ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპანიის პროდუქტებზე უფრო ძვირად ფასდება.

ფასების დაკლების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ფასების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დაკლება მოხდა ხამადანში, სადაც ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპანია ფუთ ნავთს ჰყიდის 14 კრანათ, მაშინ, როცა 1 ნახ. თვის წინად იყიდებოდა 19 კრანათ.

ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპანიის ნავთის პროდუქტების გადაზიდვა ხამადანში, დაახლოევით, 14 კრანი ჯდება. ამგვარად, როგორც ხედავთ, ნავთის პროდუქტები თითქმის მუქთად იყიდება.

უკანასკნელ დღეებში ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპანიას განზრახული აქვს დაიწყოს თავისი ნავთის პროდუქტებით რეგულიარული ვაჭრობა სპარსეთის აზერბეიჯანში. კომპანია აპირებს ნავთის პროდუქტების გზავნას სპარსეთის აზერბეიჯანში რევანდუზზე გავლით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს განზრახვა არის დემონსტრაცია სამხრეთ რაიონებიდან ჩვენი ყურადღების ჩამოშორების მიზნით.

ეჭვს გარეშეა, ინგლისის ნავთის პროდუქტები სპარსეთის აზერბეიჯანში ვერ გაუძლებენ ჩვენი ნავთის პროდუქტების კონკურენციას. (ადს).

ამსტერდამის ინტერნაციონალის დამოკიდებულება პროფინტერნთან

ზასენბახის განცხადება

ვენა, 14 მარტი. რუმინეთის სოციალ - დემოკრატიული პარტიის ორგანო „სოციალიზმულ“ აქვეყნებს ინტერვიუს ამსტერდამის ინტერნაციონალის გენერალურ მდივანთან ზასენბახთან ამსტერდამის დამოკიდებულების შესახებ პროფინტერნთან და პროფკავშირთა მთლიანობის საკითხთან. ზასენბახმა განაცხადა:

„რუსებმა უნდა იცნონ ინტერნაციონალის პროგრამა და წესდება და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ მათ ისარგებლონ მათთვის წესდებით მინიჭებულ უფლებებით და გამოვიდნენ ინტერნაციონალის მორიგ საერთაშორისო კონგრესზე, წესდების შეცვლის საკითხის გარშემო. ჩვენ პრინციპიალურად უარვყოფთ საერთაშორისო გამაერთიანებელ კონგრესის მოწვევას ვინაიდან ჩვენ არ გვექნება შესაძლებლობა შევამოწმოთ ასეთ კონგრესზე ჩამოსულ დელეგატთა მანდატების სისწორე. სანამ პროფინტერნი არ შესცვლის თავის ტაქტიკას, რომელიც გამოიხატება პროფკავშირების გამოყენებაში კომპარტიის პოლიტიკური პროპაგანდის მიზნებისათვის, მანამ ამსტერდამის ინტერნაციონალის თანამშრომლობა მასთან შეუძლებელია“ (ადს).

არჩევნები ნიკარაგუაში

ამერიკის კონტროლი არჩევნებზე

ნიუ-იორკი, 14 მარტი. ნიკარაგუას რესპუბლიკის დეპუტატთა პალატამ უარჰყო კანონპროექტი, რომლის მიხედვით ახალი საპარლამენტო არჩევნები ნიკარაგუაში უნდა ჩატარებულიყო ჩრდილო-ამერიკის შეერთ. შტატების კონტროლ ქვეშ. კანონპროექტის წინააღმდეგ გაილაშქრეს კონსერვატორებმა, რომელთა ხელშია ამჟამად ნიკარაგუას მთავრობა. კანონპროექტის წინააღმდეგ გალაშქრება აიხსნება იმით, რომ კონსერვატორებს ეშინიათ, რომ ჩრდილო-ამერიკის შეერთ. შტატები არჩევნებში მფარველობას გაუწევენ ლიბერალებს, რომელთაც შესწყვიტეს თავიანთ ძველი კამპანია ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების ფაქტიური ბატონობის წინააღმდეგ ნიკარაგუაში და უფრო ენერგიულად, ვიდრე კონსერვატორები მხარს უჭერენ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების იმპერიალისტურ პოლიტიკას ნიკარაგუაში.

ნიკარაგუას მთავრობამ დეპუტატთა პალატის შენობას შემოარტყა ჯარების ალყა, რითაც სურს უზრუნველჰყოს კანონპროექტის უარყოფა პალატაში. კამათის დროს კონსერვატიული პარტიის ორატორები მკაცრად ილაშქრებდნენ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების წინააღმდეგ.

კულიჯი აშკარად აცხადებს, რომ ჩრდილო ამერიკის შეერთ. შტატები, თუ საჭიროდ დაინახავენ „კონტროლს გაუწევენ“ არჩევნებს ნიკარაგუაში, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადასწყვეტს ამ საკითხს ადგილობრივი კანონმდებლობა. (ადს)

„ტროიანოვსკის წიგნი“

ტოკიო, 14 მარტი. უკანასკნელ დღეებში დადის ხმები, თითქოს მინსეიტოს იაპონიის (ოპოზიციონური პარტია) განზრახული აქვს შეიტანოს პარლამენტის მომავალ სესიაზე შეკითხვა იმ წიგნის შესახებ, რომელსაც მიაწერენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს იაპონიაში ტროიანოვსკის და რომელიც ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში ითვლება „იაპონიაში წითელი პროპაგანდის“ დასაწყისად. შეკითხვა, ხმების თანახმად, მიზნად ისახავს ეხლანდელ მთავრობისათვის სახელის გატეხას. იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ პრესაში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც უარყოფს ცნობას, თითქოს „ანტიიაპონური წიგნის“ ავტორი იყვეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იაპონიაში ტროიანოვსკი. სამინისტრო აღნიშნავს, რომ წიგნის ავტორია აღმოსავლეთის მკვლევარი კონსტანტინე ტროიანოვსკი, რომელსაც დაწერილი აქვს რამოდენიმე წიგნი ახლო და შორეულ აღმოსავლეთის შესახებ. გარეშე საქმეთა სამინისტროს მოპოება დაწვრილებითი ცნობები კონსტანტინე ტროიანოვსკის ბიოგრაფიის შესახებ, მისი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ამჟამად და სხვ.. ყველა ეს ცნობები მიღებულია საბჭოთა კავშირში პირადათ იაპონიის ელჩის ტანაკას მიერ.

ოფიციალურ წრეებში, როგორც ჩანს, ძლიერ შეწუხებული არიან მთელი ამ საქმით „ტროიანოვსკის წიგნის“ შესახებ.

გავლენიან წრეებში საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადეს, რომ ანტი - საბჭოთა ცნობები გამომდინარეობს, რუს თეთრ გვარდიელთა წრეებიდან. ამ ხმებს იაპონიის სხვადასხვა პარტიები იყენებენ მხოლოდ და მხოლოდ შინაპარტიული ბრძოლის მიზნებისათვის, რაც სრულებითაც არ ნიშნავს იაპონიის პოზიციის შეცვლას საბჭოთა კავშირის მიმართ. (ადს).

ნაგაი ტროიანოვსკის წინააღმდეგ მიმართულ შეკითხვის შესახებ

ტოკიო, 14 მარტი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში მინსეიტოს პარტიის ბელადი ნაგაი, სხვათა შორის, შეეხო ხმებს მინსეიტოს მომავალ შეკითხვის შესახებ, რომელიც თითქოს მიმართული იქნება ტროიანოვსკის წინააღმდეგ. ნაგაიმ დაადასტურა, რომ ასეთი ხმები მართლაც დადის, მაგრამ კატეგორიულად უარყო თითქოს მინსეიტოს განზრახული ჰქონდეს ამ საკითხის წამოყენება.

„ჩვენ ვიცით — განაცხადა ნაგაიმ — **რომ ელჩს ტროიანოვსკის არაფერი საერთო არ აქვს აღნიშნულ წიგნთან, ვინაიდან გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოიკვლია და განმარტა ეს საკითხი**“. (ადს).

კუხარა ტროიანოვსკისთან

ტოკიო, 14 მარტი. ამხ. ტროიანოვსკი ინახულა იაპონიის სავაჭრო-სამრეწველო წრეების გამოჩენილმა წარმომადგენელმა კუხარამ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად იყო საბჭოთა კავშირში. (ადს).

კანონ-პროექტი ამნისტიის შესახებ

გერმანიის რეიხსტაგში

ბერლინი, 14 მარტი. რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ დაიწყო ამნისტიის კანონპროექტის განხილვა, რომელიც კომუნისტებმა შეიტანეს 1927 წლის სექტემბერში.

კომუნისტმა დეპუტატმა **გეშკემ** განაცხადა, რომ 1925 წ. ამნისტიის კანონი შეეხება იმ ბოროტმოქმედებებს, რომლებიც ჩადენილ იქნა 1923 წ. 1 ოქტომბრამდე და არ ეხება მძიმე დანაშაულთ. გეშკემ ხაზი გაუსვა, რომ 1925 წ. ამნისტიის კანონი **სასარგებლოა მემარჯვენე ფრთის პოლიტიკურ დამნაშავეთათვის და მიმართულია მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ.**

გეშკეს შემდეგ გამოვიდა სოციალ-დემოკრატი დეპუტატი კურტ როზენფელდი, რომელმაც მხარი დაუჭირა კომუნისტების მიერ წარდგენილ კანონ-პროექტს ამნისტიის შესახებ. ნაციონალისტების, ბავარიის სახალხო პარტიის და ცენტრის პარტიის დეპუტატებმა გაილაშქრეს კომუნისტური კანონპროექტის წინააღმდეგ.

იუსტიციის მინისტრმა ნაციონალისტმა **ხერგტმა** გაილაშქრა ამნისტიის წინააღმდეგ. ამის შემდეგ სხდომა დაიხურა. შესაძლოა შემდეგ სხდომაზე ნაციონალისტები დასთანხმდენ პროლეტარულ პატიმართა განთავისუფლებაზე, ვინაიდან მათ სურთ მიაღწიონ იმ დამნაშავეთა განთავისუფლებას, რომელთაც მოაწყვეს საიდუმლო პოლიტიკური მკვლელობანი. (ადს)

მთავრობის გადადგომას მოითხოვენ

ვენა, 14 მარტი. ეროვნული გლეხთა პარტიის კრებამ კიშინევში მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ლიბერალური პარტიის მთავრობის დაუყოვნებლივ გადადგომას, ეროვნული გლეხთა პარტიის მთავრობის შედგენას, ახალი არჩევნების ჩატარებას და საკონსტიტუციო რეჟიმის აღდგენას.

პილსუდსკი სეიმთან დამოკიდებულების შესახებ

ვარშავა, 14 მარტი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება: ოთხშაბათს შესდგა ახლად არჩეული სეიმის მთავრობის ბლოკის ფრაქციის სხდომა, ახალი სეიმის მუშაობის საკითხის განსახილველად. სხდომას დაესწრო პილსუდსკი, რომელმაც გამოსთქვა თავისი თვალსაზრისი სეიმისა და მთავრობის თანამშრომლობის პრინციპის შესახებ. პილსუდსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი მომხრეა სეიმის არსებობის, როგორც დაწესებულების, რომელიც აუცილებელია პრეზიდენტთან და მთავრობასთან ერთად. დასასრულ, პილსუდსკიმ აღნიშნა, რომ სეიმის თავმჯდომარის თანამდებობისათვის შესაფერი პირის არჩევა ხელს შეუწყობს თანამშრომლობას სეიმსა და მთავრობას შორის და გაადვილებს ამ ამოცანის გადაწყვეტას. ამის გამო პილსუდსკიმ მთავრობის ბლოკს მისცა წინადადება სეიმის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეულ იქნას ეხლანდელი ვიცე-პრემიერი ბართელი. (ადს)

უკანასკნელი ცნობები

ფაშისტ ოზერის გამოსვლა

ლონდონი, 15 მარტი. „მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო ლიგის“ ორგანიზატორი, ამჟამად ლონდონში მყოფი ოზერი, რომელიც იცავდა ვოროვსკის მკვლელს, ამ დღეებში გამოვიდა ანტისოციალისტური კავშირის და ეკონომიური ლიგის მიერ მოწყობილ მიტინგზე. მიტინგს თავმჯდომარეობდა პოლკოვნიკი აშლი, გზათა მიმოსვლის მინისტრი ბოლდუინის მთავრობაში და ანტისოციალისტური კავშირის თავმჯდომარე. ოზერმა თავის სიტყვაში მწუხარებით აღნიშნა, რომ ერთა ლიგის დამოკიდებულებამ საბჭოთა კავშირისადმი „არამც თუ არ დასცა საბჭოების პრესტიჟი, არამედ აამაღლა“. შემდეგ ოზერმა გაილაშქრა ყველა ფინანსისტებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომელნიც „გაიტაცა უშუალო მატერიალურმა სარგებლობამ, და რომელთაც ხელი აიღეს უფრო მნიშვნელოვან სარგებლობაზე მომავალში და ურთიერთობა დაიჭირეს საბჭოთა კავშირთან“. ოზერმა მოუწოდა ინგლისს, რათა იგი დაეხმაროს მის მიერ დაარსებულ ორგანიზაციას—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლ ლიგას (ადს).

შვეციის ბურჟუაზიული პრესის კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

სტოკჰოლმი, 15 მარტი. შვეციის ბურჟუაზიული პრესა გააფთრებულ კამპანიას აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ვითომც „რუსმა ბოლშევიკებმა“ მონაწილეობა მიიღეს შვეციის მუშათა გაფიცვის მოწყობაში. ამ კამპანიის ნამდვილი მიზეზი უნებლიედ გამოამჟღავნა კონსერვატიულმა გაზეთმა „ნიადაგლიტ ალეხანდა“-მ, რომელიც ნავთის სინდიკატის წარმომადგენელს შვეციაში ბრალს სდებს იმაში, რომ იგი წარმოადგენს შირმას კომუნისტური პროპაგანდისათვის. ამ ცნობის შემდეგ, რომელმაც გამოამჟღავნა, რომ მთელი ეს კამპანია მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა ნავთის საკითხთან, პრესის კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ შესწყდა (ადს).

ფინი შეტევაზე გადადის

პეკინი, 15 მარტი. ფინ-იუ-სიანმა ხენანის ფრონტზე დაიწყო დიდი შეტევა და მისი ჯარები ყვითელ მდინარეზე გადავიდნენ. ფინ-იუ-სიანის მემარცხენე ფრთაზე მუკდენელების წინააღმდეგ მოქმედებენ ენ სი-შანის ჯარები (ადს).

პროვოკაციული კანონ-პროექტი

სტოკჰოლმი, 15 მარტი. შვეციის მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი სავალდებულო არბიტრაჟის შესახებ. პროექტის მიხედვით, საარბიტრაჟო კომისიას შეუძლია აკრძალოს ყველა გაფიცვები და ლოკაუტები, რომლებიც გამოცხადებული იქნება კოლექტიურ ხელშეკრულებათა უფლებრივი ცნებების არასწორი განმარტების საფუძველზე. საარბიტრაჟო კომისიის დადგენილება სავალდებულო უნდა იყოს ორივე მხარისათვის და მისი დარღვევისათვის დაწესებულია ფულადი ჯარიმა. კომისია უნდა შესდგებოდეს თავმჯდომარისა, ორი წევრისა, რომლებსაც ნიშნავს მეფე, და ოთხი წევრისაგან, რომლებსაც ირჩევენ მწარმოებლები და პროფკავშირები. კანონპროექტმა დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშებს შორის. შვეციის კომპარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მთავრობა თავისი კანონპროექტით ეხმარება კაპიტალისტებს იმ მომენტში, როცა შვეციის მუშებსა და მწარმოებლებს შორის წარმოიშვა სერიოზული კონფლიქტი (ადს).

ახალი გაფიცვის წინ

სტოკჰოლმი, 15 მარტი. შვეციის წისქვილებისა და ელევატორების მუშებმა გამოაცხადეს, რომ პირველი აპრილიდან გაუქმებულად სთვლიან არსებულ კოლექტიურ ხელშეკრულებას და მოითხოვენ ღამის მუშაობის გაუქმება (ადს).

ბოლდუინს არ სურს თვითმხილება

ლონდონი, 15 მარტი. პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ ბოლდუინმა გადასწყვიტა უარჰყოს მუშათა პარტიის წინადადება იმის შესახებ, რომ დანიშნულიყო კომისია „ზინოვიევის წერილის“ გამოსაკვლევად. კამათი ამ საკითხის შესახებ თემთა პალატაში დანიშნულია 19 მარტისათვის (ადს).

შანხაის მუშებმა გაიმარჯვეს

პეკინი, 15 მარტი. 28 აბრეშუმის სართავის გაფიცულმა მუშებმა 14 მარტს შეწყვიტეს მუშაობა. მოთხოვნილება დათხოვნილი მუშების უკან მიღების შესახებ მწარმოებლებმა დააკმაყოფილეს. ის პოლიციელები, რომელთაც ბრალი ედებათ მუშის მკვლელობაში, პასუხისგებაში არიან მიცემული (ადს).

ლი ჩუნ-ჩანის სიკვდილით დასჯა

პეკინი, 15 მარტი. სუჯოუდან მიღებული ცნობით, ხუნ-ჩუან-ფანის მესამე არმიის სარდალი ლი-ჩუნ-ჩანი სიკვდილით იქნა დასჯილი ფინ-იუ-სიანთან კავშირის დაჭერისათვის.

ბელორუსთა გრომადის პროცესი

ვილნო, 14 მარტი. ბელორუსთა გრომადის პროცესის მერვე დღე მწვავე ატმოსფერაში ჩატარდა. ციხეებიდან მოყვანილ მოწმეების უმრავლესობამ უარი სთქვა თავდაპირველად მიცემულ ჩვენებაზე. მოწმეები აღნიშნავდნენ, რომ ისინი მუქარით და ცემით აიძულეს მიეცათ ასეთი ჩვენებები. დამცველებმა გამოამჟღავნეს ბრალდების ერთ-ერთი მოწმის ბანდიტური წარსული და მისი პროვოკაციული როლი პროცესში. სასამართლოს თავმჯდომარე სიტყვას აწყვეტინებდა ბრალდებულთ და დამცველებს.

პროცესის მეცხრე დღეს, 14 მარტს, დაჰკითხეს მოწმეებს—სამ ვილნოელ ვექილს ჩერნიკოვს, მიცკევიჩსა და რაცზევიჩს, რომლებიც წინეთ დამცველებათ გამოდიოდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესებში. ვექილებმა დაადასტურეს, რომ სეიმის დეპუტატი სოხოლევსკი მათთან აწარმოებდა მოლაპარაკებას ბელორუსთა სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესებში ბრალდებულთა დაცვის საკითხის გარშემო. ბრალდება ცდილობს ამ გარემოებიდან შექმნას შთაბეჭდილება თითქოს არსებობდა „სპეციალური ბიურო“ ბელორუსთა პოლიტიკურ პროცესებში ბრალდებულთა დასაცავად და თითქოს ეს „ბიურო“ სარგებლობდა „საიდუმლო“ თანხებით.

პოლონეთის ზოგიერთ ვექილების აზრით, სასამართლოს მიერ ამ საკითხის წამოყენება ემუქრება პოლონეთის ვექილების უფლებას გამოვიდნენ დამცველებად პოლიტიკურ საქმეებში. ამ საკითხის წამოყენების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ოთხმა ვარშაველმა ვექილმა—სმიაროვსკიმ, დურაჩმა, ეტინგერმა და ხონიგველმა (დამცველები გრომადის პროცესში) ვექილების დაკითხვის დროს დემონსტრატიულად დასტოვა სხდომის დარბაზი. (ადს).

ვარშავა, 14 მარტი. ბელორუსთა გრომადის პროცესის მეექვსე დღეს სასამართლომ დაჰკითხა მოწმენი, რომელთა უმრავლესობა პასუხისგებაშია მიცემული; მათ ბრალად ედებათ კომპარტიის წევრობა. ამ მოწმეებმა უარყვეს წინანდელი ჩვენება, როგორც წამების გამო იძულებით მიცემული ჩვენება. მათ [illegible] და დაჰკითხეს მთავრობის ჩინოვნიკები და აგრეთვე ოხრანკის თანამშრომლები. შინაგან საქმეთა სამინისტროს მრჩეველმა ზახმა განაცხადა, რომ იგი მთელი რიგი ცნობების მიხედვით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბელორუსთა გრომადამ „ამოცანად დაისახა თავისი გავლენა გაევრცელებინა უმთავრეს სტრატეგიულ პუნქტებზე“. დამცველნი ამტკიცებენ, რომ ბარანოვიჩის ოლქში არსებობდა გრომადის ადგილობრივი ორგანიზაციები, მაგრამ თვით ბარანოვიჩში, რომელიც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტია, ეს ორგანიზაციები არ არსებობდა. პოლიციის ზედამხედველი გედროიცი აცხადებს, რომ როცა იგი შეუდგა ვოიტის თანამდებობის აღსრულებას, აღმოჩნდა, რომ გლეხები უარს აცხადებდნენ გადასახადების მიცემაზე, ამასთანავე ეს ამბავი მოხდა სწორედ იმ მომენტში, როცა დაარსდა ახალი გრომადა. მაგრამ გედროიცის შემდგომი ჩვენებიდან ირკვევა, რომ იმ პერიოდში, რომლის შესახებაც არის ლაპარაკი, გლეხებს არ შეეძლოთ გადასახადის შეტანა მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო. პოლიციის ზედამხედველი პშეძეცკი ამტკიცებს, რომ დანამდვილებით იცის, რომ გრომადა იკრიბებოდა ვითომც დასავლეთ ბელორუსიის გამოსაყოფად პოლონეთიდან, და ამასთანავე ამზადებდა შეიარაღებულ გამოსვლებს. მაგრამ შემდგომ ჩვენებებში იგი იბნევა და სასამართლოს შეკითხვებზე უპასუხებს: „არ ვიცი“. მოწმე-პროვოკატორი სლიზი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა დაემტკიცებია, რომ არაფერი საერთო არ ქონია პოლიციასთან, მაგრამ დამცველთა შეკითხვების შემდეგ აღიარებს, რომ „პოლიციის ბოქაულის მოთხოვნით“ დასთანხმდა გამხდარიყო პროვოკატორი. დაკითხვის შემდეგ კითხულობენ წინასწარი გამოძიების ცნობებს და პოლიციის ბოქაულის ვილჩინსკის ჩვენებას, რომელიც აცხადებს, რომ უფრო მნიშვნელოვან ცნობებს გრომადის შესახებ იღებდა „საიდუმლო პოლიციის აგენტისაგან, რომელიც სარგებლობდა გლეხების ნდობით“ (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ჩრდილოეთის ექსპედიცია

ტოკიო, 14 მარტი. შანხაიდან მიღებულ ცნობით, ნანკინის ჯარებმა დაიწყეს ბრძოლა სუნ - ჩუან - ფანის ჯარების წინააღმდეგ, ხანჩუანის მახლობლად, შანდუნის და ცზიანსის პროვინციების საზღვარზე. ბრძოლას სთვლიან ჩრდილოეთის ექსპედიციის დასაწყისად (ადს).

„მზად არიან შესცვალონ მოთხოვნილებები“

ლონდონი, 14 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„მდგომარეობის შეცვლისა და აგრეთვე იმის გამო, რომ ჩინეთის საქმეების ხელმძღვანელობას ჩამოშორდენ ბოლშევიკური ელემენტები, ინგლისი და სხვა სახელმწიფოები მზად არიან რამოდენიმეთ შესცვალონ მათ მიერ ნანკინის ინციდენტთან დაკავშირებით (მხედველობაში აქვთ ძალადობა, რომელიც, თითქოს, ჩაიდინეს უცხოელების მიმართ სუნ - ჩუან - ფანის ჯარის უკან დახევის დროს), წარდგენილი მოთხოვნილებები“. (ადს).

საფოსტო შეთანხმება

პეკინი, 14 მარტი. ვინაიდან ნანკინსა და პეკინის მთავრობებს შორის დაიდო საფოსტო ხელშეკრულება, პეკინის მთავრობის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი გაემგზავრა ნანკინში, სადაც დაიჭერს ფოსტის გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობას. ნანკინის მთავრობის წარმომადგენელი პეკინში ამ დღეებში ჩავა. (ადს)

„დიდი დანების“ მოძრაობა

პეკინი, 14 მარტი. რადგან მუკდენის ხელისუფლებამ ვერ ჩაჰკრა „დიდი დანების“ მოძრაობა, ამიტომ მან „დიდ დანებს“ ამნისტია აღუთქვა, თუ იარაღს დაჰყრიან და დაჰპირდა, რომ ყველას ჯარში მიიღებს, ვინც კი ბრძოლას შესწყვეტს. ახლანდელი პრეფექტი იუნპუსინი, რომელიც უნდა დაესაჯათ „დიდი დანების“ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, გაიქცა და კორეაში დაიმალა. ჩჟან-ცზო-ლინი მოლაპარაკებას აწარმოებს იაპონიის ელჩთან იოშიზავასთან მისი გაცემის შესახებ (ადს).

ბაი ცზუნ-ჩი და ჩან-კაი-ში შეთანხმდნენ

შანხაი, 14 მარტი. ოფიციალური სააგენტო გომინი იუწყება: გენერალი ბაიცზუნჩი დათანხმდა ჩან-კაი-შის წინადადებაზე, რომ მხარი დაუჭიროს ჩრდილოეთის ექსპედიციას. (ადს).

ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ

„როტე-ფანე“-ს წერილი

ბერლინი, 14 მარტი. ეხება რა დონის ქვანახშირის რაიონში აღმოჩენილ კონტრ - რევოლიუციონურ შეთქმულებას, „როტე ფანე“ სწერს:

„რუსეთის ძლევამოსილ პროლეტარიატის წინაშე კვლავ აღიმართა სიძნელენი და ყველა ქვეყნის მუშათა კლასი მათ გადალახვაშიაც ისე ენერგიულად უნდა დაეხმაროს მას, როგორც ეხმარებოდა სამხედრო ინტერვენციის წლებში. ეკონომიური ინტერვენცია ამჟამად ყველაზე უფრო საშიში იარაღია საერთაშორისო ბურჟუაზიისა, რომელიც აწარმოებს ბრძოლას სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირში. რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლის ამ ახალ ეტაპზე, იმ ბრძოლის ეტაპზე, რომელიც მიმართულია საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ, სოციალ - დემოკრატია გადაჭრით დგება სოციალიზმის კაპიტალისტურ მოწინააღმდეგეთა მხარეზე. საერთაშორისო პროლეტარიატი ბოლოს მოუღებს ამ ახალი სახის გალაშქრებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, როგორც თავის დროზე მოუღო ბოლო მან ჭორებს წითელი იმპერიალიზმის შესახებ და სხვა დასხვა ცილისწამებას მუშათა პირველ სახელმწიფოზე. ყველა კლასობრივად შეგნებულ მუშების ლოზუნგი ასეთია: „მთელი ძალები საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის დაცვის უზრუნველსაყოფად“. (ადს).

პროტესტების ტალღა

მეცნიერებისა და ტეხნიკის მუშაკები შეთქმულების შესახებ

მოსკოვი, 15 მარტი. საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის ხელისშემწყობ მეცნიერებისა და ტეხნიკის მუშაკთა საკავშირო ასოციაციის საინიციატივო ჯგუფის კრებაზე მიღებულ რეზოლიუციაში შახტის შეთქმულების შესახებ, სხვათა შორის, ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის ხელისშემწყობ მეცნიერებისა და ტეხნიკის მუშაკთა საკავშირო ასოციაციის პრეზიდიუმი მოუწოდებს კონტრ-რევოლიუციონურ ძალებთან ბრძოლისაკენ და გაერთიანებულ და ორგანიზაციულ მუშაობისაკენ ინტელიგენციის იმ კადრებს, რომელთათვის სოციალისტური მშენებლობა საკუთარი საქმეა და რომლებიც კმაყოფილი არიან იმით, რომ მათ წილად ხვდათ ემსახურონ პირველ პროლეტარულ რესპუბლიკას მსოფლიოში და [illegible] სოციალიზმის მშენებლობა (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა.-კ. ცაკის მესამე სესია ბაქოში

14 მარტის დილის სხდომა

კამათი ამხ. ბარინოვის მოხსენების გარშემო

ბაქო, 14 მარტი. სესიის 14 მარტის დილის სხდომაზე ამხ. ბარინოვის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც პირველად გამოვიდა ამხ. მირ-ბაშირ-კასუმოვი (აზერბეიჯანი). „ამიერ-კავკასიის უზენაესმა ორგანომ,—ამბობს ის,—უნდა დაადასტუროს, რომ აზნავთს დიდი მიღწევები აქვს. ბურღვის დარგში, მე ვფიქრობ, ა.-კ. ცაკი აზნავთს მისცემს დირექტივას სავსებით გადავიდეს უახლოეს წლებში ბურღვის ამერიკულ წესზე, რომელიც უფრო ხელსაყრელია. ა.-კ. ცაკი უნდა დაეხმაროს აზნავთს იმ მხრივ, რომ ნავთის მრეწველობაში ჩაბმულმა ყველა მუშებმა რაც შეიძლება მალე მიიღონ შესაძლებლობა იცხოვრონ მუშათა ახალშენებში".

ამხ. ტატიანის სიტყვა

ამხ. ტატიანიც (სომხეთი) აღნიშნავს აგრეთვე აზნავთის დიდ მიღწევებს, განსაკუთრებით აზნავთის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და მუშების საბინაო და კულტურულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დარგში.

ამხ. გრიგორიანის სიტყვა

ამხ. გრიგორიანი (აზერბეიჯანის შრომის სახალხო კომისარი) აცხადებს, რომ აზნავთი ცოტა ყურადღებას აქცევდა შრომის დაცვას. უბედურ შემთხვევათა რიცხვი ყოველ წლიურ იზრდება. უშიშროების ტეხნიკისათვის მიმდინარე წელში გადადებული თანხა 1 მილიონი მან. საკმაო არ არის. აუცილებელია გაძლიერდეს მუშათა საბინაო მშენებლობის ტემპი.

ამხ. გუტინის სიტყვა

ამხ. გუტინი (აზერბეიჯანის მემაღაროეთა კავშირის თავმჯდომარე) აღნიშნავს, რომ მიღწევები ნავთის მრეწველობაში მართლაც უდიდესია. ამაში უდიდესი როლი ითამაშეს მუშათა ფართო მასებმა. წარსული წლის განმავლობაში საწარმოო თათბირებმა შეიტანეს 4000 წინადადება, რომელთაგან აზნავთმა მიიღო და ცხოვრებაში გაატარა 3.000 წინადადება. ამხ. გუტინის აზრით, აზნავთის მმართველობის სასტიკი ცენტრალიზაცია, რომელიც აუცილებელი იყო რამოდენიმე წლის წინედ, ეხლა უნდა შეიცვალოს ფართო დეცენტრალიზაციით, აზნავთის მუშაობაში ადგილი აქვს არასაკმაო გეგმიანობას, რაიც მნიშვნელოვნად გამოწვეულია იმით, რომ თავის დროზე არ ამტკიცებენ მის საწარმოო პროგრამებს. არა შემთხვევაში არ უნდა შევამციროთ ხარჯები ამობურღვისათვის.

ორატორი აღნიშნავს, რომ წინააღმდეგ ოპოზიციის მტკიცებისა, აზნავთის სამუშაო ხელფასი იზრდება შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად. აზნავთის ახალი კოლექტიური ხელშეკრულება ითვალისწინებს სამუშაო ხელფასის შემდგომ გადიდებას. მაგრამ რეალური სამუშაო ხელფასი უკანასკნელ ხანებში იმყოფება ერთგვარი საფრთხის ქვეშ, ვინაიდან ადგილი აქვს ფასების ზრდას. აუცილებელია გაძლიერებულ იქნას პროდუქტების შეტანა ბაქოში, ბაქოს მუშებისათვის მისაწოდებლად. უკანასკნელ ხანებში მცირდება აზნავთის მიერ გადადებული თანხები საბინაო მშენებლობისათვის. ასეთი შემცირება დაუშვებელია, ვინაიდან ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხი ნავთის სარეწაოებში არის საბინაო საკითხი. უშიშროების ტეხნიკისა და სამრეწველო სანიტარიისათვის საჭიროა უფრო მეტი თანხების გადადება, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

ამხ. ბუკრეევის სიტყვა

ამხ. ბუკრეევი („ზაკსოიუზი") ამბობს, რომ აზნავთმა რაციონალიზატორულ მუშაობასთან ერთად ყურადღება უნდა მიაქციოს საბინაო მშენებლობის რაციონალიზაციას და შეეცადოს მის გაიაფებას.

ამხ. ბარაბანოვის სიტყვა

ამხ. ბარაბანოვი (აზნავთის მუშა) აღნიშნავს აზნავთის არარაციონალური, მოუფიქრებელი მშენებლობის ცალკე შემთხვევებს.

ამხ. ზეინალოვის სიტყვა

ამხ. ზეინალოვი (აზერბეიჯანი) აღნიშნავს, რომ აუცილებელია სათანადო ღონისძიებანი იქნას მიღებული უშიშროების ტეხნიკის დარგში. აუცილებელია დაჩქარდეს ახალი ნავთსაწმენდი ქარხნების აგება. საჭიროა ფართოდ იქნას შემოღებული პრემიების მიცემა იმ პრაქტიკული წინადადებებისათვის, რომლებიც მომჭირნეობას უწყობს ხელს. აზნავთმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საბინაო კრიზისს ამ მუშათა რაიონში.

ამხ. ოხალაშვილის სიტყვა

ამხ. ოხალაშვილი (აზერბეიჯანი) ამბობს, რომ აუცილებელია უფრო მეტად ვიზრუნოთ იმაზე, რომ მუშებს მიეცეს ისეთი სპეცტანსაცმელი, როგორიც შეეფერება მისი მუშაობის პირობებს.

14 მარტის საღამოს სხდომა

ამხ. ბარინოვის საბოლოო სიტყვა

ბაქო, 14 მარტი. 14 მარტის საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბარინოვმა.

„ამხანაგებო, კამათში გამოსულმა ამხანაგებმა,—სთქვა ამხ. ბარინოვმა,—აღნიშნეს ნაკლულოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ აქვს აზნეფტს თავის მუშაობაში. რასაკვირველია, შეუძლებელია არ გვქონდეს ნაკლულოვანებანი. ჩვენ დიდი მუშაობა ჩავატარეთ წარმოების რაციონალიზაციისათვის, მაგრამ ეს მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული; ჩვენ უდიდესი მუშაობა უნდა ჩავატაროთ წარმოების მექანიზაციის დარგში.

ჩვენ გვისაყვედურებდნენ, რომ ცოტა გავაკეთეთ საბინაო და ყოფა-ცხოვრების დარგში. ამჟამად აზნეფტის სახლებში სცხოვრობს 27.000 მუშა, დანარჩენი 20,000 მუშა კერძო ბინებში სცხოვრობს. ცუდია, რასაკვირველია, რომ ჩვენ ბინები ვერ მივეცით ყველა მუშებს, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ მთელი რიგი დაბრკოლებანი. საბინაო მშენებლობის გაიაფების და გაუმჯობესების მიზნით ჩვენ გადავსწყვიტეთ მთელი საბინაო აღმშენებლობის გაერთიანება.

აქ ილაპარაკეს, რომ აზნეფტში ცუდათ არის დაყენებული შრომის დაცვა. მაგრამ მხედველობაში არ მიიღეს ის, რომ ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ უშიშროების ტეხნიკის გაუმჯობესებისათვის. წარსული წლიდან ჩვენ გვყავს სპეციალისტების განსაზღვრული კადრი უშიშროების ტეხნიკის დარგში. უშიშროების ტეხნიკის დარგში ბევრი გავაკეთეთ, მაგრამ კიდევ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ.

ამბობენ, რომ ჩვენ გეგმის მიხედვით არ ვმუშაობთ. დიახ, ამხანაგებო, ეს მართალია, განსაკუთრებით უკანასკნელი წლებისათვის. ეხლა მარტია და აზნეფტს კიდევ არ აქვს მტკიცე საფინანსო გეგმა, არ აქვს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მე ვეთანხმები იმ ამხანაგებს, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ შეუძლებელია ამობურღვის შემცირება. ჩვენს მრეწველობაში უნდა გვქონდეს აუცილებელი რეზერვები და ამიტომ ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ამობურღვის საქმის გაფართოებას.

მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ამისათვის არ გვაძლევენ საკმაო თანხებს.

ზოგიერთმა ამხანაგმა გამოსთქვა შიში იმის გამო, რომ შესაძლოა ნავთი მიღებულ იქნას ნახშირისაგან (ბერგიუსის მეთოდით). ეს შიში პრაქტიკულად არაფერს არ ემყარება. პირველი, ნახშირი თავისი კალორიით ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ნავთი და ნავთზე იაფი არ ღირს. გარდა ამისა, მაგარი ნახშირიდან შეუძლებელია ბევრი სითხის მიღება.

დასასრულ ვსთხოვ ამიერ-კავკასიის მთავრობას მხარი დაგვიჭიროს საკავშირო მთავრობის წინაშე, რათა თავის დროზე მოგვაწოდონ ყოველგვარი გეგმები, ხარჯთაღრიცხვები და სხვ.".

სესია სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნობს აზნეფტის მუშაობას, იწონებს მას და ირჩევს კომისიას მოხსენების გამო პრაქტიკულ წინადადებათა შესამუშავებლად. კომისიაში არჩეულ იქნა 19 კაცი (ადს).

მებამბეობა ამიერ-კავკასიაში

ამხ. ბუნიატ-ზადეს მოხსენება

ამხ. ბარინოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბუნიატ-ზადე აკეთებს მოხსენებას მებამბეობის შესახებ.

„მებამბეობის როლი, —ამბობს მომხსენებელი,—ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულ კულტურებს შორის უდიდესია. აზერბეიჯანში ბამბა შეადგენს ნედლეული კულტურების საერთო ღირებულების 90 პროცენტზე მეტს, სომხეთში—91 პროც. და საქართველოში—12 პროც. აქედან ცხადია, რომ ჩვენ სოფლად მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მებამბეობას. მებამბეობის განვითარების აუცილებლობას გვიკარნახებს აგრეთვე ჩვენი საფეიქრო ფაბრიკების მოთხოვნილება ნედლეულზე. ყოველ წლიურად ჩვენ უცხოეთიდან შემოგვაქვს 100 მილ. მან. ბამბა.

ომამდე ბამბის ნათესების სივრცე უდრიდა: აზერბეიჯანში—102.000 დეს., სომხეთში—16.000 დეს. და საქართველოში—12.000 დეს. მენშევიკებისა, დაშნაკებისა და მუსავატელების დროს ბამბის თესვა ამიერ-კავკასიაში თითქმის 100 პროცენტით შეწყდა. მებამბეობის დაცემა ამიერ-კავკასიაში იწყება 1915 წლიდან და 1918 წელში ის თითქმის სრულიად ისპობა. მხოლოდ 1922 წ. გადაიდგა პირველი ნაბიჯები მებამბეობის განვითარების დარგში და 1925-26 წ. ბამბის ნათესების მოედანი მთელ ამიერ-კავკასიაში 119.000 დეს. აღწევს. 1926-27 წ. ეს მოედანი მცირდება 1.500 დესეტინით, რაც მთელ რიგ მიზეზებით აიხსნება. ჯერ ერთი, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მებამბეობის განვითარების ჩვენი პროგრამა შემცირდა აფხაზეთის და დასავლეთ საქართველოს ხარჯზე, სადაც მებამბეობა სხვა კულტურებთან შედარებით, ნაკლებად ხელსაყრელი აღმოჩნდა. მებამბეობის განუვითარებლობის მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ არაა დამთავრებული მთელი რიგი სარწყავი არხები, რომელთა გაყვანითაც ჩვენ უნდა მივცეთ ახალი სარწყავი მიწები. სარწყავი რესურსები ამჟამად უფრო ნაკლებია, ვიდრე რევოლიუციამდე იყო. მებამბეობის სტაბილიური მდგომარეობის ერთ ერთ მიზეზს წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ მებამბეობის რაიონებში ხელსაყრელია სხვადასხვა კულტურების—შირბახტის, მებაღეობისა და სხ. განვითარება.

მეტად მნიშვნელოვან საკითხს ჩვენი მებამბეობისათვის წარმოადგენს მოსავლიანობის საკითხი. გამორკვეულია, რომ ბამბის მოსავლიანობის მხრივ ჩვენ ჩამოვრჩებით ომის წინადროის დონეს: აზერბეიჯანში, მაგალითად, 7 ფუთით დესეტინაზე, და საქართველოში—11 ფუთით. მხოლოდ სომხეთში მიაღწია მოსავლიანობამ ომის წინადროის დონეს. მოსავლიანობის დაცემის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მემამულეებისა, ბეგებისა და ხანებისათვის ჩამორთმეული მიწა გადაეცა გუშინდელ მონებს—გუშინდელ მოჯამაგირეებს, რომელთაც არ შესწევთ ძალა სათანადოთ დაამუშაონ ეს მიწა იმ სამეურნეო იარაღით, რომელიც მათ განკარგულებაშია. ამიტომ აუცილებლად უნდა გავაძლიეროთ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების მიწოდება სოფლისათვის და აგრეთვე სოფლის კოლექტივიზაცია. უახლოეს 3-4 წლის განმავლობაში ჩვენ ბამბის მოსავლიანობა უნდა გავადიდოთ 40 პროცენტით მაინც. თუ ჩვენ ეს შევძელით, მაშინ 50 პროცენტით მეტი ბამბა გვექნება, ვიდრე ამჟამად გვაქვს. ამისათვის კი საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება. წელს ჩვენ სასუქზე ვხარჯავთ 600.000 მან. განოყიერებული იქნება 6.000 დეს. მეტი მიწა, აქედან 3.000 დეს.—გლეხების მიწა. 1930-31 წ. განოყიერებულ უნდა იქნეს გლეხების მიწების 75 პროც. მოსავლიანობისათვის მნიშვნელობა აქვს თესლის განახლებასაც. შარშან განახლებული თესლით საშუალოდ დაითესა ბამბის სათესი სივრცის 48 პროც., წელს კი უკვე დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებულია 77 პროც. დათესვა. 1928-29 წ. ჩვენ გვექნება დაახლოვებით 100 პროც. თქვენ იცით, რომ ჩვენ ბევრი ნაკლი გვაქვს მებამბეობის განვითარების საქმეში. დღემდე ვერ შევძელით კვალში თესვაზე გადასვლა. გარდა ამისა ჩვენი გლეხები ვერ შეეჩვიენ იმას, რომ ნათესი 3-4 ჯერ მორწყონ. თურქესტანში რწყავენ ექვსჯერ, სომხეთში—სამჯერ-ოთხჯერ, აზერბეიჯანში კი მხოლოდ ორჯერ. ამავე დროს კი სომხეთში იმიტომ, რომ სამჯერ-ოთხჯერ რწყავენ, მოსავლიანობა 63 ფუთს აღწევს.

ნაციონალიზაციის შემდეგ ჩვენ ამიერ-კავკასიაში მივიღეთ 60 ბამბის საწმენდი პატარა ქარხანა. ყველა ეს ქარხნები მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო და ამიტომ ნაციონალიზაციის შემდეგ ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა ამ ქარხნების რეკონსტრუქცია კაპიტალურად შევაკეთეთ და ხელახლა მოვაწყვეთ სულ 16 ქარხანა და ავაშენეთ 10 ახალი ქარხანა. ამჟამად ჩვენ გვაქვს 26 კარგად მომუშავე ქარხანა. უნდა ითქვას, რომ ბამბის პირველადი დამუშავების საქმე ამ ქარხნებში უკეთაა დაყენებული, ვიდრე ამერიკაში. ბამბის თესლის გამოყენების მიზნით, ჩვენ ერევანსა და განჯაში ავაგეთ 2 ზეთის სახდელი ქარხანა. რევოლიუციამდე პატარა ზეთის სახდელი ქარხნები იყო მხოლოდ ბაქოში. განჯის ზეთის სახდელი ქარხანა აგებულია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და ითვლება ერთ-ერთ უდიდეს ზეთის სახდელ ქარხნად მთელ საბჭოთა კავშირში.

რამდენიმე სიტყვა ბამბის მეურნეთა აგროდახმარების შესახებ. 1924-25 წ. აგროდახმარებაზე მებამბეობის მთავარმა კომიტეტმა გასცა 133.000 მან., 1925-26 წ.—164.000 მან., 1926-27 წ.-208.000 მან. და 1927-28 წ.—ადგილობრივ რესურსების ჩათვლით—507.000 მან.

შევჩერდები მებამბეობის საქმეში კოოპერაციის ჩაბმის საკითხზე. 1924-25 წ. აზერბეიჯანში იყო 22 კოოპერატიული ამხანაგობა, რომელთაც გადაეცა სათესი ფართობის 24 პროც., საქართველოში კი გადაეცა—60 პროცენტი, 1926-27 წელში აზერბეიჯანში უკვე 59 ამხანაგობაა, რომელთაც გადაეცა სათესი მოედნის 65 პროც., სომხეთში—42 პროც. და საქართველოში—95 პროც. 1927-28 წ. სათესი მიწების 100 პროც. მთელ ამიერ-კავკასიაში გადავეცით კოოპერაციას, როგორც კონტრაგენტს. წელს ცდის სახით „კეიბირლიგს" საკუთრად დასათესად გადავეცით 23.000 დეს.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ ამა თუ იმ ტეხნიკურ ნედლეულ კულტურის განვითარებას ხელი უნდა შეუწყოთ იმ რაიონებში, სადაც სამისო ხელსაყრელი პირობებია, გარდა ამისა აუცილებელია წყლის საკითხის მოგვარება და ნათესების სივრცის გადიდება ყველამ ვიცით, რომ აზერბეიჯანსა და სომხეთში უმთავრეს სარწყავ სისტემას ადგილობრივი არხები წარმოადგენდა. ჩვენი ახალი არხების გაყვანას ესაჭიროება ათეული მილიონები და აგრეთვე მილიონებია საჭირო იმისათვის, რომ ამ არხების რაიონებში გადავასახლოთ მოსახლეობა. ადგილობრივი არხები კი მცირე ხარჯების შემდეგ პირველ ხანებში საკმაო სარწყავ წყალს მოგვცემენ, რაც ხელს შეუწყობს ბამბის მოსავლიანობის სათესი ფართობის გადიდებას. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მებამბეობის რაიონებისათვის პურისა და სამრეწველო საქონლის მიწოდების საკითხს.

ჩვენ აქ აღვნიშნეთ, რომ ომის წინადროის ნათესების სივრცეს უკვე მივაღწიეთ ამიერ კავკასიაში, მაგრამ ჩვენ ამას მივაღწიეთ ძალების უდიდესი დაძაბვით. ასეთივე ენერგიით ვიმუშაოთ შემდეგშიაც და ჩვენ განვახორციელებთ იმ ამოცანებს, რომელთაც გვიყენებს მთავრობა". (ადს).

საბჭოთა კავშ. რესპ.

რუსეთი

ამხ. ბუბნოვი ენაკიევოში

არტემოვსკი, 15 მარტი. ენაკიევის ლითონის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე, რომელსაც დაესწრო 7.000 კაცი, ამხ. ბუბნოვმა გააკეთა მოხსენება შახტის რაიონის ინჟინერთა და ტეხნიკოსთა ჯგუფის კონტრ-რევოლიუციონური მუშაობის შესახებ.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს, რომ ენაკიევის ლითონის ქარხნის მუშები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან პარტიისა და მისი ლენინური ცეკას ირგვლივ. კრება კატეგორიულად გმობს რა ინჟინერ-ტეხნიკოსთა ჯგუფის კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებას შახტის რაიონში, მოითხოვს უმკაცრეს სასჯელს მათ მიმართ (ადს).

საფრანგეთის ფირმებმა მოიწონეს დონის ქვანახშირის ანტრაციტი

ხარკოვი, 15 მარტი. საფრანგეთის ქვანახშირის მთელ რიგ დიდი ფირმების წარმომადგენლებმა მოიწონეს დონის ქვანახშირის ანტრაციტი, რომელიც ამას წინად გაიგზავნა საფრანგეთში (ადს).

3 მილიონი ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში ჩასაბმელად

მოსკოვი, 15 მარტი. ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობამ დაადგინა, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის 1926—27 წ. მოგებიდან ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში ჩაბმის ფონდის სასარგებლოდ გადასდოს 3 მილიონი მანეთი (ადს).

დახმარება შვეციის მემაღაროებს

მოსკოვი, 15 მარტი. საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა კავშირის ცეკამ შვეციის გაფიცულ მემაღაროეთა დასახმარებლად კიდევ გადაგზავნა 49.000 მანეთი. სულ დღემდე გადაგზავნილია 125.000 მანეთი (ადს).

აგიტპროპების თათბირი

მოსკოვი, 16 მარტი. აგიტპროპების გამგეთა თათბირი საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპთან, რომელიც დანიშნული იყო 20 მარტისათვის, გადაიდო მაისისათვის. (ადს).

ცაკის პერსონალური პენსიების შესახებ

მოსკოვი, 14 მარტი. საბჭოთა კავშირის ცაკმა დაადგინა.

დებულებაში მუშურ-გლეხური წითელი არმიის უფროსისა სახადრო შემადგენლობის უზრუნველყოფის შესახებ მერვე მუხლი შესწორებულ იქნას შემდეგნაირად:

„იმ პირთა, რომელთაც პენსია ეძლევათ ამ დებულების თანახმად, და რომელთა განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით საბჭოთა კავშირის წინაშე, შეიძლება დაენიშნოს პერსონალური პენსია ამ დებულებით დაწესებულ ნორმაზე მეტი რაოდენობით. ამგვარი პერსონალური პენსიები ინიშნება საბჭოთა კავშირის სამხედრო - საზღვაო სახ. კომისარიატისა და ფინანსთა სახ. კომისარიატის საერთო დადგენილებით" (ადს).

სოციალური დაზღვევის წესის შეცვლა

მოსკოვი, 15 მარტი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა შესცვალა თავისი დადგენილება გლეხურ მეურნეობაში დაქირავებულ პირთა სოცდაზღვევის შესახებ და დაადგინა, რომ სამრეწველო ტიპის გლეხურ მეურნეობათა და კოლექტიურ მეურნეობათა კუთვნილ დამხმარე ტეხნიკურ წარმოებებში მომუშავე პირთა და ტეხნიკურ პერსონალის (აგრონომები, ტრაქტორისტები) სოცდაზღვევის ანარიცხები შეტანილი უნდა იქნეს 10 პროც. რაოდენობით (ადს).

ახალი საჰაერო ხაზი

ტაშკენტი, 15 მარტი. შუა-აზიის საჰაერო ხაზის უფროსმა და ავღანისტანის საჰაერო ფლოტის უფროსმა ქაბულში დასდეს ტეხნიკური შეთანხმება ტაშკენტ-ქაბულის საჰაერო ხაზის დაწესების შესახებ. ჰაეროპლანების მიმოსვლა ამ ხაზით მოხდება თვეში ორჯერ. (ადს).

მონარქიული ორგანიზაციის გასამართლება

ოდესა, 14 მარტი. 15 მარტს საოლქო სასამართლოს საგანგებო სესია შეუდგა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მიერ აღმოჩენილ მონარქისტულ ორგანიზაციის საქმის გარჩევას. ორგანიზაციას ეწოდებოდა „ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სახელობის პარტიზანული რაზმი" და მიზნად ისახავდა ტერორისტულ აქტებს, რკინისგზების აფეთქებას, მატარებლების დამსხვრევას და კომუნისტებისა და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მუშაკების მოკვლას. (ადს).

საგაზაფხულო თესვის კამპანიის წინ

რა ზომებია მიღებული თესვის კამპანიის ჩასატარებლად

სახკომსაბჭოს კომისიის დადგენილება

სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დაარსებულმა თესვის კამპანიის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ თესვის თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: გაზაფხულის თესვის კამპანიის ძირითად ამოცანად აღიარებულ იქნას პურეული და ტეხნიკური კულტურების ნათესების გაფართოება და მისი მოსავლიანობის აწევა სოფლის მეურნეობაში სოციალისტურ სექტორის გაძლიერებასთან ერთად.

ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ევალებათ მათ განკარგულებაში მყოფი საშუალებები სავსებით გამოიყენონ თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

ადგილებზე თესვის კამპანიის სათანადოთ ჩატარების მიზნით ყველა ავტონომიურ ერთეულებში და მაზრებში მოეწყოს სამეულები.

გაზაფხულის თესვის კამპანიის უზრუნველსაყოფად სათესლე მასალით კომისიამ დაადგინა შემოტანილ იქნეს 18.000 ფუთი ქერი, 29.000 ფუთი სათესლე ხორბალი და 64.000 ფუთი სიმინდი. სათესლე მასალების შესაძენად საჭირო კრედიტების გაღება ევალება სასოფლო-სამეურნეო ბანკს, ხოლო მისი შესყიდვა და შემოზიდვა „სოფლის კავშირს".

ამავე კომისიის დადგენილებით ა.-კ. ვაჭრობის კომ. რწმუნებულს საქართველოში ევალება გააძლიეროს სასურსათო პურეულის მოწოდების საქმე იმ რაიონებისათვის, რომლებიც 1927 წელში დაზარალდენ სტიქიურ უბედურებისაგან.

„სოფლის კავშირს" ევალება გააძლიეროს ადგილობრივ სათესლე მასალის დამზადების საქმე და საჭირო რაიონების თესლეულობა მიაწოდოს დაზარალებულ რაიონებს. „სოფლის კავშირმა" ადგილობრივ თესლეულობის დამზადება უნდა აწარმოოს თავის ძირითად ქსელის საშუალებით და ამავე საქმეში გამოიყენოს სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითადი ქსელიც.

ადგილობრივ დამზადებული სათესლე მასალა პირველ რიგში უნდა მიეცეს სას.-სამეურნეო კოლექტივებს და ღარიბ გლეხობას სესხის სახით. სათესლე მასალების გაწმენდა და წამლობა ევალება მიწსახკომს და მის ორგანოებს.

ამასთან ერთად წინადადება ეძლევა მიწსახკომს დაჩქარებით მიაწოდოს გლეხობას მის განკარგულებაში მყოფ საცდელ სადგურებისა და სახალხო მამულების მიერ დამზადებული სათესლე მასალა.

კომისიამ თესვის კამპანიასთან დაკავშირებით აუცილებელ საჭიროებად სცნო უახლოეს თვეებში გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდების საქმის გაძლიერება.

ამ მიზნით კომისიამ დაადგინა დაევალოს „ზაკსელმაშს", „სოფლის კავშირს" და ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულს საქართველოში მიიღოს სასწრაფო ზომები სასოფლო სამეურნეო მანქანების საჭირო რაოდენობით შემოსაზიდათ და მათი გლეხობისათვის თავის დროზე მისაწოდებლად.

წინადადება ეძლევა სასოფლო-სამეურნეო ბანკს გადასინჯოს ღარიბ გლეხობისათვის მანქანა-იარაღების მიწოდების წესები და შემოიღოს უფრო შეღავათიანი პირობები.

ამასთან ერთად მაზრაღმასკომებს წინადადება ეძლევათ სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით გააფართოონ სახ. სამ. მანქანა-იარაღების გამქირავებელი პუნქტების ქსელი და სარემონტო სახელოსნოების რიცხვი. ამ საქმისათვის საჭირო კრედიტების გაღება ევალება სას.-სამ. ბანკს. მიწსახკომს და „სოფლის კავშირს" ევალება მიიღონ ზომები მანქანების გამქირავებელ პუნქტების სრული დატვირთვისათვის. მიწსახკომს ევალება აგრეთვე ღარიბ გლეხობისათვის დასახმარებლად მაქსიმალურად გამოიყენოს სახალხო მამულების ინვენტარი.

კომისიამ დაადგინა გაანთავისუფლოს უღარიბესი გლეხობა მანქანა-იარაღების გამოყენებისათვის დაწესებულ ქირისაგან.

გლეხობისათვის მუშა-საქონლით დასახმარებლად კომისიამ დაადგინა დაევალოს სახ.-სამ. ბანკს უღარიბეს გლეხობას მისცეს სესხი მუშა-საქონლის შესაძენად. დაევალოს მიწსახკომს და „სოფლის კავშირს" მიიღონ ზომები, რათა უღარიბესმა გლეხებმა კოლექტიურად შეიძინონ მუშა-საქონელი.

სასოფლო-სამეურნეო ბანკს წინადადება ეძლევა მიწსახკომთან და „სოფლის კავშირთან" შეთანხმებით გადასინჯოს თავის საკრედიტო გეგმა, მისი გაფართოების მიზნით.

კომისიის დადგენილებით ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს ევალებათ თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა გატარების დროს პირველ რიგში დააკმაყოფილონ კოლექტიურ მეურნეობათა მოთხოვნილებანი. კერძოდ, სახ.-სამ. ბანკს ევალება კოლექტივებს უახლოეს თვეებში გაუხსნას მათთვის საჭირო რაოდენობით კრედიტი.

თამბაქოს, ბამბის და კანაფის ნათესების სივრცის გაფართოებისა და მათი მოსავლიანობის აწევის მიზნით, კომისიამ დაადგინა ყველა ზემოდმოყვანილ ღონისძიებათა გარდა, აუცილებელ საჭიროებად იქნეს ცნობილი თავის დროზე ხელშეკრულებების დადება, როგორც კოლმეურნეობებთან, ისე გლეხებთან მათთვის საჭირო რაოდენობით კრედიტების მიცემის მიზნით. ამასთან ერთად კომისიამ დაადგინა მიღებული იქნეს ენერგიული ზომები სპეციალურ კულტურების სამეურნეო რაიონების პურით და სამრეწველო საქონლით უზრუნველსაყოფად.

კომისიამ წინადადება მისცა მიწსახკომს სამაზრო სამეულების საშუალებით მიიღოს ზომები, რათა სოფლად ყველა მომუშავე აგრონომიული ძალები აქტიურად იქნენ ჩაბმულნი თესვის კამპანიაში, განუმარტონ მცხოვრებლებს კამპანიის მნიშვნელობა და გაუწიონ მათ უშუალო აგრო-ტეხნიკური დახმარება.

თესვის კამპანია უზრუნველყოფილია კრედიტებით

(საუბარი ამხ. სვეჩნიკოვთან)

რა ნაბიჯები გადასდგა ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობამ მიმდინარე წლის გაზაფხულის თესვის კამპანიის საჭირო თანხებით უზრუნველყოფისათვის?

ამ შეკითხვაზე ამიერ-კავკ. სასოფლო-სამ. ბანკის გამგეობის წევრმა ამხ. ა. ი. სვეჩნიკოვმა ჩვენს თანამშრომელს უპასუხა:

ამიერ-კავკ. სას.-სამეურნეო ბანკის 1927—28 წ. მეორე კვარტალის საკრედიტო გეგმით გათვალისწინებულია 4.500.000 მანეთის კრედიტის გაცემა სოფლის მეურნეობისათვის. აქედან 2.900.000 მანეთი გაცემული იქნება გრძელვადიანი კრედიტის სახით. გარდა ამისა სპეციალურ კულტურებისათვის კრედიტების მიწოდების გეგმა ითვალისწინებს ამ მიზნისათვის 2.300.000 მანეთის გაცემას, აქედან 500.000 მანეთი გრძელვადიანი სესხის სახით.

მიმდინარე სამეურნეო წლის მეორე კვარტალის საკრედიტო გეგმით გათვალისწინებული თანხები უკვე განაწილებულია რესპუბლიკანურ სასოფლო-სამ. ბანკებს შორის.

მანქანებით მომარაგება

სასოფლო მეურნეობის მანქანებით მომარაგებისათვის გეგმით მეორე კვარტალში გათვალისწინებულია—418.000 მანეთის გაცემა. აქედან 260.000 მანეთი გრძელვადიანი კრედიტია.

სას.-სამეურნეო მანქანების და იარაღების შეკეთება

ამ მხრივ ამიერ-კავკ. სასოფლო-სამ. ბანკმა რესპუბლიკანურ ბანკებს წინადადება მისცა მარტის განმავლობაში უზრუნველყონ ადგილებზე სასოფ.-სამ. იარაღ-მანქანების შესაკეთებელ სახელოსნოების მოწყობა, რისთვისაც უნდა გაიღონ 60.000 მანეთის გრძელვადიანი სესხი.

სახელოსნოებისათვის საჭირო კომპლექტები „ზაკსელმაში"-ს მიერ უკვე დაგზავნილია ადგილებზე.

მუშა საქონელი

სასოფლო მეურნეობის მუშა საქონლით მომარაგებისათვის 1927—28 წელში გეგმით გათვალისწინებულია—840.000 მანეთის გრძელვადიანი კრედიტის გაცემა. აქედან—240.000 მანეთის გაცემა გათვალისწინებულია მებამბეობის რაიონებისათვის.

ამ თანხებიდან რესპუბლიკანურ ბანკებს უკვე გამოყენებული აქვთ 250.000 მანეთზე მეტი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სოფლის მეურნეობის მუშა საქონლით მომარაგება სავსებით უზრუნველყოფილი იქნება იმ საშუალებებით, რომლებიც მიცემული აქვთ რესპუბლიკანურ ბანკებს.

მავნებლებთან ბრძოლის საშუალებები

რაც შეეხება მავნებლებთან ბრძოლის საქმის საშუალებებით მომარაგებას, ბანკის წლიური საკრედიტო გეგმა ითვალისწინებს 500.000 მანეთის დახარჯვას. ფაქტიურად უკვე დახარჯულია 600.000 მანეთზე მეტი.

თამბაქოს თესვა

საკავშირო მთავრობის დადგენილებით, 1927—28 წელს აფხაზეთში თამბაქო უნდა დაითესოს 8.000 დესეტინაზე და ამიერ-კავკ. დანარჩენ რაიონებში—700 დესეტინაზე.

საკრედიტო გეგმა სავსებით უზრუნველყოფს აღნიშნულ სივრცის დათესვას.

სათესლე მასალა

სასოფლო მეურნეობის სათესლე მასალებით მომარაგების საქმეს თანხებს აწვდიან უშუალოდ რესპუბლიკანური სასოფ.-სამ ბანკები.

თესვის კამპანიის რწმუნებულის ამხ. ბაგიროვისათვის რესპუბლიკების მიერ წარდგენილი მოთხოვნილება—455 ვაგონ თესლეულზე უზრუნველყოფილი იქნება კრედიტებით.

საერთოდ, ამიერ-კავკ. სასოფლო-სამ. ბანკის მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები თესვის კამპანიის კრედიტების უზრუნველყოფისათვის და შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ დაბრკოლებებს ადგილი არ ექნება.

სამზადისი კამპანიისათვის

რა კეთდება ა.-კ. რესპუბლიკებში

გუშინ, საღამოს, ამიერ-კავკასიაში საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების რწმუნებულ ამხ. ბაგიროვის თავმჯდომარეობით შესდგა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთა წარმომადგენლების თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ა.-კ. უმაღლესი ორგანოების და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც.

თათბირმა განიხილა თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლათ საჭირო ზომები. მან გამოჰყო შემდეგი ძირითადი საკითხები: რა რაოდენობის სათესლე მასალაა საჭირო ცალკე რესპუბლიკებისათვის, რა რაოდენობის სათესლე მასალა შეიძლება დამზადდეს ამიერ-კავკასიაში და კერძოთ ცალკე რესპუბლიკებში, რამდენის შემოტანა იქნება საჭირო და როგორ უნდა მოგვარდეს ეს საქმე.

თათბირმა ამ მიზნით გამოყო ცალკე კომისია, რომელშიაც შედიან მიწათმოქმედების კომისარიატების წარმომადგენლები. კომისიას დავალებული აქვს დაამუშაოს ყველა რესპუბლიკებიდან წარმოდგენილი ცნობები და თათბირის შემდეგ სხდომაზე წარადგინოს თავისი დასკვნები.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის სამზადისის შესახებ ცალკე რესპუბლიკებში მოხსენებებით გამოდიან მიწათმოქმედების კომისარიატების წარმომადგენლები.

სომხეთში

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლათ დაწყებულ საქმიანობის შესახებ, მოხსენებით გამოდის მიწათმოქმედების სახ. კომისარი ამხ. ერზინკიანი. იგი აღნიშნავს, რომ თესვის კამპანიის ჩასატარებლათ. სომხეთის სახკომსაბჭოსთან გამოყოფილია სამეული, რომელსაც თავმჯდომარეობს თესვის კამპანიის ჩატარების რწმუნებული მთელ რესპუბლიკაში. ასეთივე სამეულები მოწყობილი არიან ყველა სამაზრო აღმასკომებთან და სოფლის საბჭოებთან. თესვის კამპანიის ჩატარებას ხელს უშლის თესლის ნაკლებობა, მუშა-საქონლის საკვების სიმცირე და დიდი ზამთარი, რომელიც საშუალებას არ იძლევა ადრე იქნას დაწყებული თესვა. სულ რესპუბლიკაში არის 150 ტრაქტორი, რომლებიც თესვის დაწყებისთანავე გამოყენებულ იქნებიან მინდვრებში სამუშაოთ.

გასულ შემოდგომაზე, მომხსენებლის გადმოცემით ,ნაადრევმა ზამთარმა ხელი შეუშალა შემოდგომის თესვის კამპანიას. თუ გასულ წლებში თესვა გრძელდებოდა შუა დეკემბრამდე, 1927 წლის შემოდგომაზე, დიდი თოვლის გამო თესვა შეწყდა 15 ნოემბრიდან. ამიტომ მთელ სომხეთში შემოდგომის სათესი სივრციდან გამოუყენებელი დარჩა 25-30 პროცენტი. თესვის კამპანიის რწმუნებული და მიწათმოქმედების კომისარიატი ამჟამად ამუშავებენ საშუალებებს, რომ შემოდგომაზე დაუთესავი ადგილები დაითესოს გაზაფხულზე, თუ აღნიშნულ ადგილების შესაფერისი კულტურებით არა, ხორბლეულის კულტურით მაინც.

საქართველოში

თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებელ ზომების შესახებ მოხსენებით გამოდის მიწათმოქმედების სახ. კომისარის მოადგილე ამხ. ძამაშვილი. მომხსენებელი თათბირს აცნობს, რომ მთელ რესპუბლიკაში ყოველწლიურად ითესება 659.000 დესეტინა მიწა. აქედან შემოდგომის ნათესები შეადგენს 235.000 დესეტინას, ხოლო დანარჩენი რჩება საგაზაფხულო ნათესებისათვის. ნათესების ასეთი უთანასწორო განაწილება აიხსნება იმით, რომ საქართველოში უმთავრესად სთესენ სიმინდს და ქერს, რაც მხოლოდ გაზაფხულზე უნდა ხდებოდეს. შემოდგომის სათესი სივრციდან მთელ რესპუბლიკაში დაუთესავი დარჩა მხოლოდ 23.000 დესეტინა, ანუ დაახლოებით 9 პროცენტი. ეს სივრცე დაითესება გაზაფხულზე სიმინდით ან ქერით.

რაც შეეხება სათესი სივრცის ზრდას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ თვით გლეხები არიან დაინტერესებული ამით, რადგან საზოგადოდ ჩვენდაც საგრძნობია სათესი მიწის სიმცირე.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლათ, მომხსენებლის გადმოცემით, საქართველოში სამზადისი დაიწყო ამ რამოდენიმე დღის წინათ. დაარსებულია რესპუბლიკანური სამეული და ამჟამად ეწყობა ასეთივე სამეულები სამაზრო აღმასკომებთან. დასათეს ადგილებისათვის საჭიროა სულ 1.919.200 ფუთი თესლი. აღნიშნული რაოდენობიდან რესპუბლიკაში შეიძლება დამზადდეს 1.500.000 ფუთი თესლი, თესლის დანარჩენი რაოდენობა, დაახლოებით 500,000 ფ. შემოტანილ უნდა იქნეს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან. მიწათმოქმედების კომისარიატი და თესვის კამპანიის ჩამტარებელი სამეული ამ რაოდენობიდან მოახერხებს საკუთარი საშუალებებით იშოვნოს 300.000 ფუთამდე, ხოლო დანარჩენი რესპუბლიკას უნდა მიეცეს კრედიტის სახით.

აზერბეიჯანში

აზერბეიჯანის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. შაბანოვი აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანში თესვის კამპანიის ჩატარების უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზს წარმოადგენს სამელიორაციო საკითხების მოუგვარებლობა. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია მელიორატიული კრედიტების სასწრაფოდ გაცემა, რომ თესვის კამპანიის დაწყებისათვის მოესწროს ზოგიერთი ძვირფასი კულტურების სათეს რაიონების მორწყვა.

გარდა ამისა მომხსენებელი აღნიშნავს, რომ თესვის კამპანიის ხელის შესაწყობათ დაწყებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთება და სათესლე მასალის დამზადება. სათესლე მასალის მხრივ, აზერბეიჯანი ყველა დანარჩენ რესპუბლიკებზე უფრო კარგ პირობებშია. შემოდგომის თესვის კამპანიის დროს დაუთესავი დარჩა მხოლოდ საერთო სათესი სივრცის 5 პროცენტი.

დასასრულ თათბირზე გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. საჭიროდ არის აღიარებული შემდეგი ზომების მიღება:

სათესლე მასალების მიწოდების მოწესრიგება, მუშა-საქონლისათვის საკვების დამზადება, კრედიტების განაწილების დაჩქარება და სხვ.

თათბირის შემდეგი სხდომა შესდგება დღეს.

ვთხოვთ ჩვენს კორესპონდენტებს გვიგზავნონ რეგულიარულად ცნობები კამპანიის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ზრდა

ამჟამად საქართველოს კომპარტიაში (ბ) ირიცხება 30.552 კომუნისტი. ორი წლის განმავლობაში პარტიას შემატა 6.957 წევრი, ე. ი. ის გაიზარდა 30 პროცენტით.

პარტიის ზრდის პროცესში გაიზარდა აგრეთვე თვით უჯრედების სიძლიერე. 1926 წ. ერთ უჯრედზე საშუალოდ მოდიოდა 20 კომუნისტი, ამჟამად მოდის დაახლოებით—25.

ინტერესს არ იქნება მოკლებული თუ აღვნიშნავთ, რომ 1923 წლის მიწურულში და 1924 წლის დასაწყისში უჯრედებში საშუალოდ ირიცხებოდა 12—13 კომუნისტი. ამ ორი წლის განმავლობაში უჯრედების რაოდენობა გაიზარდა მხოლოდ 13 პროცენტით, ხოლო მათი სიძლიერე კი 100 და მეტი პროცენტით.

პარტიის სოციალური შემადგენლობის დინამიკას აღნიშნულ 2 წლის მანძილზე, ახასიათებს შემდეგი მთავარი მომენტები: ჯერ ერთი—პარტიის რიცხობრივი ზრდის ოდნავ შენელებული ტემპი 1924—25 წ. წ. შედარებით. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არ ჰქონია ადგილი პარტიაში მასიურ მიღებას (თუ არ ჩავთვლით ოქტომბრის გაწვევას, რომელიც წარსული წლის ბოლოს ჩატარდა). პირიქით, პარტიაში მიღება ხდებოდა დიდი სიფრთხილით და სასტიკი გაცხრილვით; მეორე დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს პარტიაში მიღებულთა დამაკმაყოფილებელი სოციალური შემადგენლობა და მესამე—საქართველოს კომპარტიის (ბ) წევრთა სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესება, რომელიც დაიწყო ამ ორი წლის წინად და გრძელდება დღესაც (მუშათა პროცენტის სისტემატიური გადიდება და ამდენადვე გლეხებისა და მოსამსახურეების პროცენტის სისტემატიური დაკლება).

ქვემოთ მოყვანილი ციფრი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მუშათა რიცხვის ზრდის შესახებ საქართველოს კომპარტიის წევრებს შორის.

დრო	საქ. კომპ. წევრთა რიცხვი	აქედან		
		მუშები	გლეხები	მოსამსახურეები და სხ.
1925 წ. იანვ.	11.338	27,3	47,5	25,2
1926 წ. იანვ.	14.441	24,6	35,5	21,9
1927 წ. იანვ.	17.210	44,3	34,0	21,7
1928 წ. იანვ.	19.066	46,7	32.4	20,9

კანდიდატებს შორისაც აგრეთვე ადგილი აქვს მუშათა პროცენტის მნიშვნელოვან ზრდას, რაც დაკავშირებულია ოქტომბრის გაწვევასთან 23 პროცენტიდან 1927 წ. დასაწყისში გაიზარდა 33 პროცენტამდე 1928 წ. დასაწყისში). საერთოდ და მთლიანად პარტია იზრდება უმეტესად მუშათა ხარჯზე და მიმდინარე წელში ჩვენ შევსძლებთ პარტიის მუშათა ბირთვის გადიდებას 50 პროცენტამდე ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავთან დაკავშირებით პარტიაში მიღებულ კანდიდატების წევრებად გადაყვანის გზით.

საჭიროა ცოტა შევჩერდეთ პარტიისაკენ ლტოლვაზეც. მარტო 1927 წლის განმავლობაში შემოვიდა 10.500 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. ეს ციფრი ორჯერ უნდა გაიყოს, ვინაიდან საშუალოდ მიღებულია ცნობები 670 უჯრედიდან.

განცხადების შემომტანნი სოციალური მდგომარეობის მიხედვით მეტწილად (დაახლოებით 46 პროც.) ფაბრიკა-ქარხნების, ტრანსპორტის და სხვა წარმოებების მუშებია. შემდეგ მიდის გლეხები, რომლებიც მუშაობენ საკუთარ და კოლექტიურ მეურნეობებში, ისინი შეადგენენ 33 პროცენტს და უკანასკნელი ჯგუფია—დაწესებულებების და წარმოებების დაბალი მოსამსახურეები, შინამრეწველები და ხელოსნები, სამხედრო პირები, მოსწავლენი და სხ., რომლებიც 21 პროც. შეადგენენ.

მოყვანილ ორ სრულ ცნობებიდანაც ჩანს, რომ პარტიისაკენ ლტოლვა ნორმალურზე უფრო დიდია. ერთი თვის განმავლობაში შემოდის 1.000 მეტი განცხადება. კომპარტიაში შემოსვლის მსურველთა ამ მასისაგან პარტია არჩევს უფრო მტკიცე, მოწინავე და საზოგადოებრივად განვითარებულ პროლეტარებს. პარტიული ორგანოების ამოცანას შეადგენს პარტიაში შემოსულ მუშისა და გლეხის აღზრდა.

ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობები [illegible], რომ პარტიაში მიღებულთა დიდი უმრავლესობა, ვინამ კომპარტიის ნამდვილი წევრები გახდებოდენ, გადის პოლიტ-სკოლას.

ვნახოთ თუ რამდენი იქნა მიღებული პარტიაში განცხადების შემომტანთაგან და როგორია პარტიაში მიღებულთა სოციალური შემადგენლობა.

1927 წლის განმავლობაში პარტიაში მიღებულია სულ 2.680 კანდიდატი. აქედან სოციალური შემადგენლობის მიხედვით—მუშები 85.1 პროც., გლეხები—9,7 პროც.; მოსამსახურეები და სხ.—7,4 პროც.

მიუხედავათ იმისა, რომ განცხადების შემომტანთა შორის მუშები 46 პროც. შეადგენენ, მიღებულთა შორის მუშები 85 პროცენტია; გლეხებისა და მოსამსახურეების მიმართ ჩვენ საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ.

ეს აიხსნება მუშის კულტურული და პოლიტიკური დონის ზრდით. პარტიაში მიღების დროს მუშა ყველაზე უკეთ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომელსაც კომპარტია უყენებს პარტიაში შემოსვლის მსურველთ.

კანდიდატებათ მიღებულთა შორის ქალები შეადგენენ 7,4 პროც. ეს პროცენტი ძალიან მცირეა და არ უზრუნველჰყოფს ქალების ზრდას პარალელურად პარტიის საერთო ზრდასთან. ქალების პარტიაში ჩაბმას უნდა მიექცეს მაქსიმალური ყურადღება, მით უფრო, რომ დელეგატ ქალთა შორის ჩვენ გვყავს თითქმის 95 პროცენტი უპარტიო მუშა და გლეხი ქალები. რომლებიც მონაწილეობას იღებენ მასიურ საზოგადოებრივ მუშაობაში. საჭიროა ამათგან ყველაზე უფრო მოწინავე ქალების პარტიაში მიზიდვა. ქალების არა საკმაო პროცენტის არსებობას პარტიაში ალბად მხედველობაში მიიღებენ ადგილები და ქალთა საერთაშორისო დღეს—8 მარტს პარტიას მისცემენ მუშა და ღარიბი გლეხი ქალების ახალ მომზადებულ კადრს.

თუ მოვისურვებთ იმ მუშაობის ხასიათის გამორკვევას, რომელსაც კომუნისტები ეწევიან დავინახავთ, რომ ამჟამად სჭარბობს ფიზიკური შრომის მუშაკები. ასე, მაგალითად ფაბრიკა-ქარხნებში, ტრანსპორტში, მაღაროებში და სხვა ცენზიან და არა ცენზიან წარმოებებში ჩაბმული მუშები შეადგენენ 37 პროც., გლეხები, რომლებიც უშუალოდ მიწათმოქმედებას მისდევენ—24 პროცენტს, გლეხები, რომლებიც მიწათმოქმედებას არსებულ არჩევით თუ არა არჩევით, ფასიან საზოგადოებრივ ან საბჭოთა მუშაობასთან—4,7 პროც., გლეხები, რომლებიც მიწათმოქმედებას ათავსებენ ხელოსნობასთან, შინამრეწველობასთან და მოჯამაგირეობასთან—1,3 პროცენტს, პარტიულ, საბჭოთა, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა დაწესებულება-ორგანიზაციებში მუშაკები—24,5 პროც.; წარმოებებისა და დაწესებულებების დაბალი მოსამსახურეები—2,6 პროც.; დანარჩენი (სამხედრო პირები, მოსწავლენი, შინამრეწველები და სხ.)—7,3 პროც. და უმუშევრები—2,0 პროც.

ინტერესს არაა მოკლებული აგრეთვე საქ. კომპარტიის ცალკე ორგანიზაციების ზრდაც. ამ ზრდის საჩვენებლად ავიღოთ და შევადაროთ 1925 და 1928 წ. წ. დასაწყისი.

აღებულ პერიოდის განმავლობაში ცალკე ორგანიზაციების ზრდა შემდეგ სურათს წარმოადგენს: ახალციხის ორგანიზაცია გაიზარდა 294 კაცით, ან 294 პროც.; ახალქალაქის—185 კაცით—280 პროც.; ქუთაისის—1.269 კაცით—165 პროც.; დუშეთის—256 კაცით—149 პროცენტით; ბორჩალოს—176 კაცით—144 პროცენტით; შორაპნის—1.106 კაცით—138 პროცენტით; ზუგდიდის—481 კაცით—100 პროც.; თბილისის—5.224 კაც.—85 პროც.; აფხაზეთის—543 კაც.—80 პროც.; გორის—894 კაცით—80 პროც.; თელავის—202 კაცით—74 პროცენტით; სიღნაღის—450 კაცით—78 პროცენტით; რაჭის—238 კაცით—78 პროც.; ოზურგეთის—938 კ.—78 პროც.; აჭარის—854 კაცით—74 პროც.; სამხრეთ-ოსეთის—330 კაცით—68 პროც.; ფოთის—282 კაცით—55 პროც.; სენაკის—325 კაცით—38 პროც. და ლეჩხუმის ორგანიზაცია—119 კაცით—32 პროცენტით.

ამ ცნობებიდან ჩანს ზოგიერთი ორგანიზაციის მნიშვნელოვანი შედარებითი გადიდება მაგრამ თუ აბსოლუტურ ზრდას ავიღებთ დავინახავთ, რომ იმ მაზრებმა და ოლქებმა, სადაც ტრანსპორტი და სამრეწველო წარმოებებია, გაცილებით მეტი ჩააბეს პარტიაში, ვიდრე იმ სამაზრო ორგანიზაციებმა, რომლებიც შედარებით გაიზარდენ.

ჩვენს შემდგომ ამოცანას წარმოადგენს იმ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება, რომლებიც წარსული წლის ოქტომბერში მიიღო საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ და, რომელიც მოყვანილია ამხ. კოსიორის იმ საორგანიზაციო ანგარიშში, რომელიც მან წარსული წლის 3 დეკემბერს წარუდგინა საკ. კომპარტიის მე-15 ყრილობას. ამ გადაწყვეტილებებში ნათქვამია: „ჩვენი პარტიის შემადგენლობის მოწესრიგების დარგში ადგილი აქვს შემდეგ მომენტებს: პირველი—კურსის აღება მსხვილ წარმოებებზე, იმიტომ, რომ მსხვილი წარმოებების მუშები ჯერ კიდევ არა საკმაოდ არიან ჩაბმული პარტიაში, რაც ობიექტიური ხასიათის მთელი რიგი მიზეზებით აიხსნება; მეორე—მუშაობის გაძლიერება უპარტიო მუშათა აქტივისა, ხოლო სოფლად—ღარიბი გლეხობის აქტივისა და სასტიკად გაცხრილულ საშუალო გლეხების აქტივის ჩასაბმელად პარტიაში".

ეს მომენტები უნდა იქცეს მთავარ სახელმძღვანელო პრინციპებად ჩვენი პარტიული კომიტეტებისათვის და ჩვენი პარტორგანიზაციების შემადგენლობის შემდგომი ზრდა და მოწესრიგება უნდა გატარდეს ამ გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით.

ა. მ.

სუნ-ცზი-ლინი და ევგენი ჩენი საერთაშორისო აგრარულ ინსტიტუტში

მოსკოვი, 15 მარტი. სუნ-იატ-სენის ქვრივმა სუნ-ცზი-ლინმა და ჩინეთის ნაციონალური მთავრობის ყოფილმა გარეშე საქმეთა მინისტრმა ევგენი ჩენმა დაათვალიერეს საერთაშორისო აგრარული ინსტიტუტი მისი ორგანიზაციისა და მუშაობის გასაცნობად.

ინსტიტუტის დირექტორმა თეოდოროვიჩმა სტუმრებს გააცნო ინსტიტუტის ორგანიზაციული სტრუქტურა, აგრარული საკითხის შესასწავლად გაწეული მუშაობა და გლეხთა და მოჯამაგირეთა მოძრაობის შესწავლის საქმე. (ადს).

დახმარება ყოფ. პარტიზანებს და წით. არმიელებს

მოსკოვი, 15 მარტი. გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს და ფინანსთა სახალხო კომისარიატის და აგრეთვე ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკის ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებით (22 თებერვლის თარიღით), ყოფილ წითელ პარტიზანელთა და წითელ გვარდიელთა ღარიბი მეურნეობისათვის გრძელ ვადიანი კრედიტის მისაცემად გადადებულ უნდა იქნას 2 მილიონი მანეთი.

ამ დადგენილების შესასრულებლად, სათანადო ფონდებიდან გადადებული იქნა თანხები—რ. ს. ფ. ს. რ.-ში—1.270.000 მან., უკრაინის ს ს. რ.—497.000 მან., ბელორუსიის ს. ს. რ.—90.000 მან., ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ.—43.000 მან., უზბეკისტანის ს. ს. რ.—60.000 მანეთი და თურქესტანის ს. ფ. რ.—40.000 მან. კრედიტი უნდა მიეცეს განსაკუთრებით ღარიბ მეურნეებს, რომლებიც ეკუთვნიან თვითონ წითელ პარტიზანელებს, წითელ გვარდიელებს და აგრეთვე სამოქალაქო ომის დროის დაღუპულ ან ომის შემდეგ გარდაცვლილ ყოფილ წითელ პარტიზანელების და წითელ გვარდიელების ოჯახებს. სესხის გაცემას აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი (ადს).

პურის დამზადება

მოსკოვი, 15 მარტი. წინასწარი არა სრული ცნობებით, რომლებიც ტელეგრაფით მიიღო საბჭოთა კავშირის ვაჭრობის კომისარიატმა ადგილობრივი სავაჭრო განყოფილებებისაგან,—სულ მარტის მე-2-ე 5 დღეულში გეგმის თანახმად; ადგილებზე დამზადებულია .44 000 ტონა პური. მარტის გეგმა 10 დღის განმავლობაში შესრულებულია დაახლოებით 31 პროცენტით.

თებერვალთან შედარებით ურალზე პურის დამზადების დონე დაწეულია. მისი ტემპი მარტის პირველ დეკადაში (ათ დღეში) არ უზრუნველჰყოფს მარტის გეგმის შესრულებას. [illegible]. პურის დამზადებამ ციმბირში იკლო. თებერვლის მე-4 ხუთდღეულიდან მოკიდებული პურის დამზადების ტემპი ციმბირში სუსტდება, მარტის პირველ ხუთდღეულებში იგი არ იზრდება; ამის გამო ციმბირში მარტის გეგმის შესრულება უზრუნველყოფილი არაა.

მარტის მეორე ხუთეულში თათართა რესპუბლიკამ გაადიდა პურის დამზადება წინა ხუთდღეულთან შედარებით. თებერვლის მეხუთე ხუთდღეულიდან დაწყებული თათართა რესპუბლიკაში პურის დამზადება უფრო მაღალ [illegible], ვიდრე თებერვლის პირველ ხუთდღეულებში და მას ერთგვარი გამოცოცხლება ეტყობა (ადს).

ქართველ ექიმთა და ა.-კ. საექიმო საზოგადოებების გაერთიანებული სხდომა

ექ. ნ. ორლოვსკის ხსოვნის აღსანიშნავად

გუშინ საღამოს 8 საათზე, შესდგა ქართველ ექიმთა და ამიერ-კავკასიის საექიმო საზოგადოების გაერთიანებული სხდომა ექიმ ნ. ორლოვსკის ხსოვნის აღსანიშნავად. გაერთიანებულ სხდომას თავმჯდომარეობდა პროფ. ა. ალადაშვილი.

ექ. ი. ასლანიშვილმა წაიკითხა განსვენებული ნ. ორლოვსკის ბიოგრაფია. მომხსენებელმა დაწვრილებით აღნუსხა ექ. ორლოვსკის მოღვაწეობა ქირურგიის დარგში. შეეხო მისი პიროვნების დახასიათებას და განაცხადა, რომ ექ. ორლოვსკი ყოველთვის მაღლა აყენებდა საზოგადოებრივ ინტერესებს და ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა საექიმო მეცნიერებას. ის უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობდა თავის მძიმე მუშაობის დროს და არაჩვეულებრივი სიფრთხილით და მოფიქრებით ეპყრობოდა იმ საქმეს, რომლის უნებლიე მსხვერპლი გახდა.

ექ. პონდოევი აკეთებს მოხსენებას ექიმ ნ. ორლოვსკის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ. მომხსენებელი ახასიათებს საზოგადოდ საექიმო, დარგის მუშაკის მძიმე მოღვაწეობას, განსაკუთრებით ხაზს უსვამს ქირურგის რთულ და საპასუხისმგებლო მუშაობას და აღნიშნავს, რომ ექ. ორლოვსკის თვითმკვლელობა არ ყოფილა გამოწვეული მისი, როგორც პიროვნების, ფსიქიური ცხოვრებით, არამედ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული მის პროფესიონალურ მდგომარეობასთან.

პროფ. მ. ასათიანი თავის მოხსენებაში ეხება ექ. ორლოვსკის პიროვნებას და მოღვაწეობას და აღნიშნავს, რომ ექ. ორლოვსკის ფსიქიური სტრუქტურა ისეთი იყო, რომ მისთვის სრულიად უცხო იყო ყოველგვარი პირადული ზრახვები და ყოველთვის გამსჭვალული იყო საზოგადოებრივი ინსტინქტებით. მისი თვითმკვლელობა შედეგი იყო იმ ფსიქიური ტრავმისა, რომელიც მან განიცადა თავისი პროფესიონალური მოვალეობის ასრულების დროს.

ექიმ ი. ლორთქიფანიძის განცხადება

დღის წესრიგის ამოწურვის შემდეგ რიგს გარეშე განცხადებით გამოდის ექ. ივ. ლორთქიფანიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ დღევანდელი სხდომა მეტად მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ დღეიდან საფუძველი ეყრება ქართველ ექიმთა და ამიერ-კავკასიის საექიმო საზოგადოების დაახლოებას და თანამშრომლობას. ამ განცხადებას კრება ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

შემდეგ, ექ. ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ ამ ხანებში პროფ. კახიანის და დოც. იოსელიანის გარდაცვალების გამო, როგორც საექიმო, ისე ფართო საზოგადოებაში ადგილი აქვს სინამდვილესთან სრულიად შეუფერებელ მითქმა-მოთქმას, თითქოს განსვენებულ პირთა მკურნალობა არ იყო სათანადო ნიადაგზე დაყენებული, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს საექიმო სამეცნიერო საზოგადოების პრესტიჟს და დაბადოს მასებში ერთგვარი უნდობლობა.

ამისათვის ექ. ლორთქიფანიძე მოითხოვს, რათა ორივე საზოგადოების გაერთიანებულმა სხდომამ აირჩიოს კომისია, რომელსაც დაევალება საქმის ნამდვილი ვითარების გამორკვევა.

წინადადება მიღებულ იქნა და კომისიაში აირჩიეს შემდეგი პირნი: ექ. ივ. ლორთქიფანიძე, ექ. პონდოევი, პროფ. ნათიშვილი, ექ. ნაზარეტ[illegible]. დ. მ. მაჭავარიანი.

პარტიული ცხოვრება

პარტორგანიზაცია და შრომის დისციპლინა

შრომის დისციპლინის განმტკიცება წარმოების პროდუქციის ხარისხობრივ გაუმჯობესებისა და მისი რაოდენობითი ზრდის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს. ეს დებულება იმდენად მარტივი და ნათელია, რომ არავისში ეჭვებს არ იწვევს. სამაგიეროთ ამდენადვე ადვილათ არ სწყდება საკითხი შრომის დისციპლინის პრაქტიკულად გატარების შესახებ. ამ მხრივ ქვედა საფეხურის პარტიული ორგანიზაციები ხშირად ვერ იჩენენ სათანადო უნარს. პარტორგანიზაცია მთლიანად და თვითეული კომუნისტი ცალკე მაგალითი უნდა წარმოადგენდეს შრომის დისციპლინის დაცვის მხრივ წარმოებაში. ამიტომ განსაკუთრებული ანგარიში უნდა გაეწიოს სამუშაო საათებისადმი, რაც შეიძლება მომჭირნედ მოპყრობა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ გამოტანილია დადგენილება სათანადო ორგანიზაციებს, რომ სამუშაო საათებში არავითარი სხდომები არ ხდებოდეს, ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში ეხლაც ხშირად შეხვდებით მაგალითებს, როცა სხვადასხვა საზოგადოებრივი თუ პარტიული ორგანიზაციები მთელი საათობით ბჭობენ თავიანთ საქმეებზე და მუშაობას სცდებიან. ადმინისტრაცია ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ვერ იჩენს სათანადო სიმტკიცეს და არც პარტიული ორგანიზაცია აქცევს ჯეროვან ყურადღებას. ამგვარ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

პარტორგანიზაციებმა, როგორც ყოველთვის, ყველაზე პირველად უნდა აღიმაღლონ ხმა. სამუშაო საათები მთლიანად და უკლებლივ წარმოებას უნდა მოხმარდეს. ამასთან ერთად პარტორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა ცალკე ამხანაგები, როგორც პარტიული, ისე უპარტიონი არ მოსცდნენ მუშაობას საზოგადო საქმეების გამო. ეს კი ხშირად ხდება, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს წარმოების ნორმალურ მუშაობაში და შრომის დისციპლინის დარღვევას ერთგვარ ლეგალიზაციას წარმოადგენს.

აქ არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენად ვნებს წარმოებას შრომის დისციპლინის დარღვევის სხვა მაგალითები, როგორიცაა ლოთობა, სამუშაოზე უმიზეზოდ გამოუცხადებლობა, მუშაობის დროს ზედმეტი ლაპარაკი, პირად საქმეებზე სირბილი და სხვა. პარტიის წევრი ამ შემთხვევაში უნაკლო უნდა იყოს. მას უნდა ქონდეს სრული მორალური უფლება, რომ მიუთითოს სხვას სამუშაო დროს გაცდენის დაუშვებლობაზე.

საწარმოო საკითხებს პარტიის ქვედა ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას. მით უფრო ცოტა კეთდება შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. დროა ასეთ მდგომარეობას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოთ.

ზ. რ—ნი.

ქალაქის რაიკომის პლენუმზე

ბინის ახალი ტარიფი

გუშინ თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგა მე-4 რაიკომის მორიგი გაფართოებული პლენუმი. პლენუმმა რამდენიმე ორგანიზაციული ხასიათის საკითხის გარჩევის შემდეგ მოისმინა ამხ. ვარლამ მესხის მოხსენება ბინის ქირის შესახებ.

მომხსენებელმა პირველად დაახასიათა საბინაო ფონდის ეხლანდელი მდგომარეობა, აღნიშნა ბინის დეფიციტის თანდათანობითი ზრდა, რაც გამოწვეულია სახლების შეუკეთებლობით და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბინის დღემდე არსებული ქირა ვერ ფარავს შესაკეთებელ ხარჯებს.

საკავშირო მთავრობამ დღევანდელი საბინაო ფონდის შენარჩუნების მიზნით ა. წ. 4 იანვარს მიიღო დეკრეტი, რომელიც ითვალისწინებს ბინის ქირის გადიდებას.

ქირის საორიენტაციო ერთეულად ახალ ტარიფისათვის მიღებულია 40 კაპ. კვადრატიულ მეტრზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნორმა კიდევ არაა საკმარისი საბინაო ფართობის შესანახ ხარჯთა დასაფარავად.

ახალ საბინაო ტარიფის პროექტით ქირის გადიდება ნავარაუდევია 81 პროცენტით. მუშა მოსამსახურეთა ძირითად ჯგუფებს ემატებათ 2-დან—4 კაპეიკამდე კვადრატიულ მეტრზე. უმაღლეს განაკვეთად მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დაწესებულია 1 მ. და 32 კაპ. თვითეულ კვ. მეტრზე.

კერძო პირები კვადრატიულ მეტრზედ გადაიხდიან 2 მანეთიდან 5 მანეთამდე. თავისუფალი პროფესიის პირნი—საშემოსავლო გადასახადის მიხედვით.

შეღავათები ეძლევათ პენსიონებს, მოწაფეებს და საერთოდ ყველა იმ მშრომელთ, რომელთა შემოსავალი თვიურად არა აღემატება 20 მანეთს (ასეთები იხდიან 5 ნახევარ კაპეიკს მეტრზე).

ის მოქალაქენი, რომლებსაც დაკავებული აქვთ ნორმაზედ მეტი ბინა (ნორმად ითვლება 10 კვ. მეტრი სულზე), თვითეულ ზედმეტ მეტრზე იხდიან გაორკეცებულ ქირას.

ქირა მცირდება და დიდდება იმის მიხედვით, თუ სად მდებარეობს სახლი, განაპირა უბნებში ქირა 25—30 პროც. ნაკლებია. აგრეთვე დაბალია ქირა სარდაფებში დანახევრად სარდაფებში მოთავსებულ ბინებისათვის.

ბინის ქირის რეფორმის გატარება თბილისში გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე სხვა ქალაქებში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ქირა მაინც უფრო დაბალი რჩება (მოსკოვთან შედარებით 29 პროცენტით, ბაქოსთან—22-ით),

საქმე ისაა, რომ თბილისში ქირის გამოანგარიშება სწარმოებდა ძირითადი ხელფასის მიხედვით. ახალ ტარიფში კი გამოანგარიშება ხდება მუშა-მოსამსახურის მთელი შემოსავლის საფუძველზე, რაც ცალკე შემთხვევებში დღევანდელ ქირას ადიდებს 200-ით და ზოგჯერ მეტი პროცენტით.

ამას გარდა ჩვენში მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლები შეადგენს მხოლოდ 15 პროც. 35 პროცენტი კი იმყოფება კერძო მეპატრონეების ხელში, რომლებმაც შეიძლება შემოსული ქირა არ მოახმარონ სახლის რემონტს.

ყველა ეს ხელს შეუშლის რეფორმის გატარებას, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამ მიზეზების მოსასპობად მიღებული იქნება სათანადო ზომები. მაგალითად იმ მიზნით, რომ შემოსული ქირა მოხმარდეს სახლის საჭიროებას, კერძო სახლებში შეიქმნებიან კომისიები, რომლებიც კონტროლს გაუწევენ ქირის სახით შემოსული თანხების ხარჯვას სახლის პატრონის მიერ, სახლის მეპატრონეს ჩამოერთმევა შენობა მოუვლელობისათვის და სხ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მარკმანმა, ნიკოტინმა, რუხაძემ, სტოლეცკიმ, ხარაზიანმა, შონიამ და სხვებმა.

ორატორები განსაკუთრებით მოითხოვდნენ ზომების მიღებას კერძო სახლის მფლობელობათა, რაც შეიძლება უფრო ენერგიული მუნიციპალიზაციისათვის.

მიღებულ რეზოლიუციაში პლენუმმა საჭიროდ სცნო საბინაო ქირის ახალი ტარიფის შემოღება.

ქ. სურმუშელი.

შორდებიან ოპოზიციას

საქ. კომპ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში განცხადებანი ტროცკისტული ოპოზიციისაგან გამიჯვნის შესახებ შეიტანეს შემდეგმა ამხანაგებმა:

შორაპნის ორგანიზაცია: გაბარაშვილი კ., მუშა, პარტიის წევრი 1905 წლიდან, ასანიძე შალვამ, მუშა, პარტიის წევრი 1925 წლიდან.

ფოთის ორგანიზაცია: ბასილაია ალექსანდრე, მუშა, პარტიის წევრი 1920 წლიდან.

გორის ორგანიზაცია: კალანდაძე იაგორმა, მუშა, პარტიის წევრი 1907 წლიდან; ჭანიშვილი გაბრიელმა, მუშა, პარტიის კანდიდატი 1925 წლიდან; ჯულაკიძე ევტიხიმ მოსწავლე, პარტიის კანდიდატი 1927 წლიდან.

გურიის ორგანიზაცია: [illegible]ნიძე კონსტანტინემ, გლეხი, პარტიის წევრი 1917 წლიდან, ქინქლაძე კონსტანტინემ, გლეხი, პარტიის წევრი 1917 წლიდან.

საქართველოს კომპარტიის (ბ, თბილისის ორგანიზაცია: ბრეგვაძე ამბროსიმ, მუშა, პარტიის წევრი 1925 წლიდან; გ[illegible]ძე აკაკიმ, მუშა, პარტიის წევრი 1921 წლიდან; ცატუროვ არტაშესმა, მუშა, პარტ[illegible] წევრი 1925 წლიდან.

—:—

კომკავშირში

ჩვენი ნაკლი და მიღწევანი

(საგარეჯოს თემი, თბილისის მაზრა)

საგარეჯოს ახ. ლ. კ. კავშირის თემ-კომი აერთიანებს ერთ მუშურ, ერთ მოწაფეთა და 5 გლეხურ უჯრედს. თემის ორგანიზაციაში წევრთა რაოდენობა უდრის 153-ს. უნდა ითქვას რომ უკანასკნელ 7—8 თვის განმავლობაში ორგანიზაციის ზრდა შეჩერებულია, იმის გამო რომ თბილისის კომ[illegible]ეტში გადაგზავნილი ანკეტა-განცხადებანი დღემდე განუხილავად არის დარჩენილი. წარსულ შემოდგომიდან ბევრი აქტიური კომკავშირელი გადავიდა ქალაქის ორგანიზაციაში სამსახურის საძებნელად. აქტივის ჩამოშორება კი ორგანიზაციის თავის დაღს ასვამს. კომკავშირ[illegible] ორგანიზაციაში საგრძნობლად მოისუსტებს პარტიული ბირთვი. ადგილობრივი პარტიული [illegible] ნაკლებად ზრუნავს ამ საქმეზე. დღეს ორგანიზაციაში ბევრია ჰასაკ გადასული კომკავშირლები, როგორც აქტივიონი, ისე პასიური წევრები. სამწუხაროა ის გარემოება, რომ როდესაც კი იქნება შემთხვევა კომკავშირელთა პარტიაში გადაყვანისა, პარტიული კომიტეტი იღებს იმ ნაწილს, რომელიც არა მარტო პასიური წევრები არიან კ. კავშირის ორგანიზაციის, არამედ კ. კავშირელთა ორგანიზაციიდანაც კი გარიცხულნი. ამ გარემოებას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება.

კომკავშირელები ჩაბმულნი არიან აგრეთვე ქოხ-სამკითხველოებსა და წითელ კუთხეების მუშაობაში. ქოხ-სამკითხველოებთან გამოცემულ კედლის გაზეთების მუშაობაში კომკავშირელები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და თითქმის ხელმძღვანელობას [illegible] მას.

ამ ბოლო ხანებში ადგილობრივ მოწყ[illegible] სასროლო ტირში ხშირად ეწყობა ვარ[illegible]. იმართება აგრეთვე სამხედრო ლაშქრობანიც. გარდა ამისა ხშირად ეწყობა შაბათობებიც. კეთდება გზები, სუფთავდება და იწმინდება არხები, უხარავენ და უმუშავებენ ქვრივ-ობლებს და წითელ არმიელთა ოჯახებს ვენახებს, [illegible] ადგილებს და სხვა. კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობა თემში თანდათან უმჯობესდება.

ხარეჯელი.

საბჭოთა საანგარიშო კამპანია

საბჭოთა აღმშენებლობა შორაპნის მაზრაში

(წერილი მაზრიდან)

ამხ. ს. ცუცქირიძე
შორაპნის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე

მაზრის მცხოვრებთა უმრავლესობა ღარიბი გლეხობისაგან შესდგება. მაზრაში არის ისეთი სამრეწველო მუშური ცენტრი, როგორიც ჭიათურაა, სადაც საკმაოდ დიდძალი მუშა-ხელია შავი ქვის წარმოებაში ჩაბმული. მაზრაში არის აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნები: მარელისის გრეხილ ავეჯეულობის და ძირულის, სადაც ამჟამად მუშაობს 800 კაცამდე. საშუალო და ღარიბი გლეხობა მჭიდროთაა დაკავშირებული ხელისუფლებასთან, რაც უკანასკნელად ჩატარებულმა საბჭოთა არჩევნებმაც დაადასტურა, ეს არჩევნები ჩატარდა ღარიბ და საშუალო გლეხთა მჭიდრო თანამშრომლობით. აქა-იქ იყო „კულაკების" ცდა საბჭოთა არჩევნები თავის სასარგებლოდ გამოეყენებიათ, მაგრამ მათმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან სრულიად განთავისუფლებული იყო გლეხობის 56 პროცენტი. მაზრაში, მუშათა განწყობილება ზედმიწევნით კარგია, მათ შორის მენშევიკურ, ან სხვა ანტისაბჭოთა პარტიების გავლენაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მშრომელი ინტელიგენციის 100 პროცენტი ჩვენთან არის.

გლეხთა ახალგაზრდობის დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი შესანიშნავად ახასიათებს 1927 წელში წითელ ჯარში გაწვევები, ჯარში გაწვევა მთელი 100 პროცენტით განაღდდა, დეზერტირობას ადგილი არ ქონდა, პირიქით, იყო ისეთი შემთხვევები, რომ სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებულნი შუამდგომლობდენ წითელ ჯარში ჩარიცხვისათვის.

დიდია ლტოლვა მუშათა და მშრომელ გლეხობის კომუნისტურ პარტიაში, აგრეთვე განსაკუთრებით დიდი ლტოლვაა მშრომელ ახალგაზრდობის ახალგაზრდა ლენინურ კომკავშირში.

სამაზრო ორგანიზაცია ამჟამად აერთებს 5.000-მდე წევრს და კანდიდატს. დიდი ყურადღება ექცევა სკოლებში კომუნისტური აღზრდის საქმეს.

მასწავლებლობა, ექიმები და აგრონომები დიდათ გვეხმარება სოფლად მუშაობაში.

სასამართლო ორგანოების მუშაობა

რევოლიუციონურ კანონიერების დაცვას და ჩვენი სასამართლოების მოქმედებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და ექცევა დღესაც. წარსულში იყო ერთგვარი ნაკლი ამ მიმართულებით, რომელიც ამჟამად გამოსწორებულია და სასამართლო ორგანოების საქმიანობა ნორმალურია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიუროკრატიზმის ნაშთები სამოსამართლო დაწესებულებებში ჯერ კიდევ სავსებით აღმოფხვრილი არ არის.

მაზრაში ადგილი ქონდა მიწების ყიდვა-გაყიდვის შემთხვევებს, რომელიც ამჟამად აღმოფხვრილია.

სამომხმარებლო კოოპერაცია

სამომხმარებლო კოოპერაციამ მტკიცედ გაიდგა ფესვები მშრომელ მოსახლეობაში. ამჟამად კოოპერატივებში მაზრის მოსახლეობის 50 პროცენტია გაერთიანებული. წარსულ წელთან შედარებით წევრთა რაოდენობა გაიზარდა 42 პროცენტით. ასევე იმატა საკუთარ თანხებმაც, რომელიც აღწევს 300 ათას მანეთს და ამჟამად ყოველ ნასესხებ მანეთზედ საკუთარი თანხა უდრის 80 კაპეიკს. კოოპერაცია აკმაყოფილებს (სახელმწიფო ვაჭრობასთან ერთად) მაზრის მოთხოვნილებას 80 პროცენტით, ხოლო ზოგიერთი საქონლით, როგორიცაა ფართალი 85 პროცენტით. ფასების დაკლება ჩატარდა 18,2 პროცენტით. ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირება გატარდა 20 პროცენტამდე.

სასოფლო მეურნეობა

ამჟამად პარტიისა და ხელისუფლების უდიდეს ყურადღებას იპყრობს სასოფლო მეურნეობის განვითარება-განმტკიცების საქმე. ამ მიმართულებითაც უდიდესი მიღწევებია, ჩვენს მაზრაში. მაზრის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მისდევს მემინდვრეობა-მევენახეობას, რომელიც წარმოადგენს მათ უმთავრეს წყაროს არსებობისათვის. საერთო ნათესების სივრცე მაზრაში უდრის 57.974 დესეტინას (ნაცვლად მენშევიკების დროის 34,576 დესეტინისა), ვენახების სივრცე კი 9,250 დესეტინას, (ნაცვლად მენშევიკურ მთავრობის დროის 5,803 დესეტინისა). მოწყობილია ამერიკული ვაზის მყნობის და მისი გლეხობაზე ხელსაყრელ პირობებში მიწოდების საქმე. ზემოდ აღნიშნული ციფრები ნათელყოფენ, რომ მევენახეობის განვითარების პერსპექტივა შორაპნის მაზრაში მტკიცე ნიადაგზე სდგას. მოსავალი მევენახეობა-მეღვინეობიდან უდრის 1.387.500 ვედროს, რომლის ღირებულება დაახლოვებით 5.000.000 მანეთით განისაზღვრება.

თუ ავიღებთ სიმინდის და პურეულის მოსავლიანობას, მისი შემოსავალი იძლევა დაახლოვებით 2.628.000 მანეთს.

აქედან აშკარაა, რომ მომავალი ჩვენი სამუშაო გეგმის მიხედვით, საერთოდ როგორც მემინდვრეობიდან შემოსავალი, აგრეთვე განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობა საგრძნობლად წინ წაიწევს.

მებოსტნეობა-მებაღეობა შორაპნის მაზრაში ჯერჯერობით ვერ სდგას სასურველ ნიადაგზე, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ის მომავალ საანგარიშო წელში განვითარების გზას დაადგება, განსაკუთრებით მეხილეობის დარგი.

მეფუტკრეობა

აგრეთვე ჩვენს მაზრაში მისდევენ მეფუტკრეობას, რომელსაც გაცილებით ხელსაყრელი პირობები აქვს როგორც ჰავის, ისე მდებარეობის მხრივ, ვინემ სხვა დარგს. სულ მაზრაში ამჟამად ითვლება 15.000 როფიანი და 3.696 ჩარჩოიანი სკა. მეფუტკრეობა მეტწილად გავრცელებულია ხარაგოულის, მარელისის, მოლითის და საჩხერის რაიონებში. მისი წლიური შემოსავალი განისაზღვრება 180.000 მანეთით.

მეაბრეშუმეობა

მეაბრეშუმეობას მაზრაში ძალიან ცოტა ადგილი უჭირავს. მიღებულია ზომები მისი შემდგომი გაფართოება-განვითარებისათვის. შენდება თუთის ხეები თერჯოლის რაიონში 15 დესეტინამდე, აგრეთვე თუთის ხეები უნდა გაშენდეს მაზრაში არსებულ ყველა აგროპუნქტებზე.

მებამბეობა

არის აგრეთვე მაზრაში ჩხარის რაიონში მებამბეობა. ყოველ წლიურად ნათესის სივრცე უდრის 83 დესეტინას.

სამაზრო ხელისუფლება ფიქრობს მის შემდგომ გაფართოებას.

მესაქონლეობა

მაზრაში გლეხობა მისდევს აგრეთვე მესაქონლეობას. საქონლის რაოდენობა ამჟამად უდრის 79.936 ერთეულს. აქვე უნდა აღინიშნოთ, რომ არ არის ჯიშიან საქონლის მოშენებაზე ჯეროვანი ყურადღება მიქცეული, რაც მომავლისთვის უნდა გამოსწორდეს.

შინამრეწველობა

მაზრის ზოგიერთ ადგილებში გავრცელებულია შინამრეწველობა: ქურჭლეულის კეთება, ქსოვა, კირის წვა, მებადეობა და სხვა, რომელშიაც ჩაბმულია 1500-მდე შინამრეწველი. ზემოდ აღნიშნულის ხვედრითი წონა გლეხის ბიუჯეტს ზრდის 350.000 მანეთით ყოველწლიურად. აგრეთვე გლეხების ერთ მთავარ შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ხე-ტყეზე მუშაობა, რომლისაგან შემოსავალი ყოველწლიურად უდრის 150.000 მანეთს.

ზემოდ აღნიშნულიდან აშკარად გამოსჭვივის ის ფაქტი, რომ ჩვენი სოფელი წინ მიიწევს და გლეხის მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება.

კოლექტიური მეურნეობანი

ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა ჩვენს მაზრაში კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობის საქმეს. ასეთი მოწყობილია მაზრაში სულ ათი, რომელიც აერთებს 74 ოჯახს, 497 სულით. კოლექტივებში პირველ ხანებში მოხვდენ ნახევრათ კულაკური ელემენტებიც, რომლებიც შემდეგში ამხანაგობიდან გამოძევებულ იქნენ.

სურვილი გლეხობის კოლექტიურ მეურნეობაზედ გადასასვლელად დიდია, ჩვენც რა თქმა უნდა ხელს ვუწყობთ და ვეხმარებით მათ. კოლექტიურ და კერძო მეურნეობაზე დღემდის მიცემულია როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი სესხის სახით სულ 900.000 მანეთამდე მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

აგრარულ რეფორმის ჩატარების დროს მემამულეებს ჩამოერთვათ 6.889 დესეტინა, რაც სრულიად გადაეცა უმიწაწყლო გლეხებს. მაზრაში ჩატარდა მიწათმოწყობა. ამჟამად მოწყობილია 35.828 დესეტინა.

არსებობს ხუთი საგრონომიო პუნქტი ხუთი საჩვენებელი ნაკვეთით და ორი საგრილებელი პუნქტით; აგრეთვე მიეცათ აგრონომიული პუნქტების საშუალებით გლეხობას სხვადასხვა სამეურნეო იარაღები სულ 212 ცალი, მათ შორის ორი ტრაქტორია.

კულტურულ-განმანათლებელი დარგი

მაზრაში გვაქვს სულ 175 სხვადასხვა ტიპის სკოლები (ნაცვლად მენშევიკების დროის 62 სკოლისა). მათ შორის არიან: 4 წლედები, 7 წლედები, 9 წლედები, გლეხთა ახალგაზრდობის, სასოფლო-სამეურნეო და პროფსკოლები. სკოლებში სწავლობს 20.000-მდე მოწაფე, ირიცხება 600-მდე მასწავლებელი, რომლის შესანახათ იხარჯება ყოველწლიურათ მთელი ბიუჯეტის 37 პროცენტი (მთელი ბიუჯეტი კი უდრის 1.400 ათას მანეთამდე). თითქმის ყველა სკოლებს მოეპოვებათ თავისი საკუთარი შენობა და სკოლები უზრუნველყოფილია სასწავლო ინვენტარით.

წერა-კითხვის უცოდინართა საქმესაც ჯეროვან ყურადღებას აქცევდა მაზრაღმასკომი. საანგარიშო პერიოდში წერა-კითხვა შეისწავლა 5.600 უცოდინარმა.

გახსნილია 32 სათემო ქოხ-სამკითხველოები, რომელიც სათანადოთ არის მომარაგებული ლიტერატურით და ჟურნალ-გაზეთებით. შეძენილია მოძრავი კინო, რომლის საშუალებით გლეხობას, უფასოდ უჩვენებენ რევოლიუციონურ კინო-სურათებს. წელს საგრძნობლად გადიდდა აგრეთვე მასწავლებელთა და ქოხ-სამკითხველოების გამგეების ხელფასი.

ჯანმრთელობის დაცვის საქმე

გვაქვს 26 საექიმო სათემო მნიშვნელობის პუნქტები, გახსნილია საკმაო რაოდენობის აფთიაქები, კბილის 5 საექიმო პუნქტი და 3 საავადმყოფო. მიუხედავად იმისა, რომ ექიმების ხელფასი საანგარიშო წელში გაიზარდა 40 პროცენტით, სოფლად ექიმების ნაკლებობას მაინც განიცდით.

შეძენილ იქნა საჭირო რაოდენობის თეთრეული საავადმყოფოებისთვის. ექიმები აქტიურად და დაუზარელად მუშაობენ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, კითხულობენ ლექციებს და სხვა.

გზების შეკეთება

დაიგება და შეკეთდა მოსახლეობის თვით დაბეგვრის საშუალებით 304 ვერსი სათემო და სამაზრო მნიშვნელობის გზები, რომლის ფულადი ღირებულება უდრის 198.500 მან. გაიცა აღმასკომის მიერ გზების საჭიროებისათვის ასაფეთქებელი მასალა 100 ფუთი, ღირებულებით 6.000 მანეთად.

საერთო აღმშენებლობა

მთელი მაზრის მოსახლეობა საანგარიშო პერიოდში აქტიურად იყვნენ ჩაბმული აღმშენებლობაში. თვითდაბეგვრის საშუალებით შეგროვდა 180.000 მანეთი, რომელიც მოხმარდა სკოლების და საექიმო პუნქტის შენობათა აგება-შეკეთების საქმეს და სხვ. ქ. ჭიათურის საბჭოს თაოსნობით წელს დამთავრდა რკინა-ტინობის ხიდი 41 საჟენის სიგრძის, რომლის ღირებულება უდრის 15.000 მანეთს; გაკეთდა ჭიათურის ქალაქის დამბები. ამ საქმისთვის საბჭომ დახარჯა 32.000 მან., გაყვანა ახალი წყალსადენი ღირებული 25.000 მანეთათ, რომელიც იტევს 32.000 ვედრო წყალს; შეკეთდა მთელი რიგი ქუჩებისა და აიგო მუშათა საცხოვრებელი სახლები. დამთავრდა მდინარე ჩოლობურზე რკინის დიდი ხიდი, რომლის აგება სამაზრო ხელისუფლებას დაუჯდა 80.000 მანეთამდე. ამჟამად კეთდება რკინა-ტინობის ხიდები ჩხარაზე, ქვაციხეში, მოლითში, მარელისში, ძირულაზე, ბუჯაზე და სხვაგან, რომელთა სამუშაოები 55 პროც. შესრულებულია. მაზრაში გაკეთდა 185-მდე ბოგირები. აგრეთვე გაკეთდა ბონდის ხიდები 18.000 მანეთად ღირებული 35 ადგილას.

გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს მაზრის სოფლებსა და ქალაქებში საცხოვრებელ სახლების კერძო მშენებლობა. [illegible] და იგება ქვაფენილები ქალაქების ქუჩებში. საანგარიშო პერიოდში მაზრაში დაიდგა სამი ელსადგური. ზესტაფონში 150 ცხენის ძალის, საჩხერეში 65 ცხენის ძალის და ხარაგოულში 45 ცხენის ძალის, რომელთა აგება დაჯდა 80.000 მანეთამდე. აგრეთვე გადაკეთდა და ახლად გაყვანილ იქნა ელექტრო-ხაზები ღირებული 12.000 მანეთად.

მაზრის ყველა თემებში გაყვანილია ტელეფონო ხაზი. საანგარიშო პერიოდში ასეთი გაყვანილ იქნა 30 სათემო ცენტრებში, რაზედაც დაიხარჯა 35,000 მანეთი. შეკეთდა მუნიციპალიზაციაქმნილი შენობები ზესტაფონში და ჭიათურაში, შეკეთებაზე დაიხარჯა 25.000 მანეთი. განზრახულია გაკეთდეს წელს და ნაწილი მუშაობისა შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: ზესტაფონში—სავადმყოფოს შენობა 65 საწოლით, რომელიც წინასწარ შედგენილ გეგმის მიხედვით ჯდება 218.000 მანეთი. აბანო სადეზინფექციო განყოფილებით 32.000 მან. კეთდება სასტუმროს შენობა ღირებული 14.000 მანეთად; შენდება სასოფლო-სამეურნეო სკოლის შენობა ღირებული 12.000 მანეთათ. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს და ეწყობა ღვინის შესანახი მარანი ღირებული 300.000 მანეთათ, წინასწარ შედგენილია გეგმა და ხარჯთაღრიცხვა აგურის ქარხნის ასაგებად, ღირებული 250.000 მანეთათ; სამაზრო აღმასკომს გადმოეცა ორგვეთის მამული სივრცით 16 დესეტინა, სადაც ვაშენებთ ამერიკულ ვაზს, ხეხილს და სხვა კულტურულ მცენარეებს.

მაზრის თემებში არის მთელი რიგი ახალი წამოწყებებისა, მათ შორის სადალიხევის ხიდი, ხრეითის გზები და აგრეთვე სურამ-ძირულის გზატკეცილი, სადაც წელს დაიხარჯება 74.000 მანეთი გამოსაყვან მუშა-ხელის ჩავლით.

სწარმოებს შესწავლა და გამორკვევა ხარაგოულის რაიონში შუშის ქარხნის ასაგებ ადგილმდებარეობის. აგურის ქარხანა, რომელიც აიგება ზესტაფონში მოგვცემს 5.000.000 ცალ პროდუქციას ყოველწლიურად, რაც სამუშაოს გაუჩენს 400 მუშას. მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანა, რომლის აგება მთავრობას დაუჯდა 1.200 ათას მანეთამდე, ჩვენი მაზრისათვის დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს, სადაც ამჟამად ჩაბმულია 500 მუშა.

ასევე შეიძლება ითქვას ძირულის მადნების შესახებაც.

აღვნიშნავთ აგრეთვე იმასაც, თუ რა ავლოდებით კეთდებოდა აღნიშნული სამუშაოები. გარდა იმისა, რომ თემსაბჭოების ინიციატივით მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა აღმშენებლობით მუშაობაში თვით დაბეგვრის სახით, ის აგრეთვე თვალყურს ადევნებდა ხელისუფლებასთან ერთად ადგილობრივ სათემო, საქალაქო და სამაზრო ბიუჯეტის განმტკიცების საქმეს, რამაც სასურველი შედეგები მოგვცა. თუ 1924-25 წლის საერთო ბიუჯეტი 701.033 მანეთს არ აღემატებოდა, 1927-28 წელში, მისი რაოდენობა უდრის 1,400 ათას მანეთს, ე. ი. გაიზარდა თითქმის 100 პროცენტით, რაც დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს.

საჭიროა აღვნიშნოთ, თუ პროცენტულად, რაზე იხარჯება ბიუჯეტი: სახალხო განათლების საქმეს ხმარდება 37 პროცენტი, ჯანმრთელობას 16 პროცენტი, სოფლის მეურნეობას 20 პროცენტი, ახალ აღმშენებლობას: ხიდები, გზები და სხვა 20 პროცენტი, ხოლო დანარჩენი სხვა ხარჯებს.

მაზრაში გლეხკომების მუშაობაც საგრძნობლათაა გამოცოცხლებული. შრომისა და ომის ინვალიდებზე საანგარიშო პერიოდში გაიცა პენსიისა და დახმარების სახით 9000 მანეთამდე.

სათემო და საქალაქო საბჭოები

ორიოდე სიტყვით შევეხები იმ მიღწევებს, რაც საბჭოებს და მათ სექციებს აქვთ. საბჭოს წევრები დიდის ენერგიით და აქტივობით მუშაობენ (ზოგიერთების გამოკლებით) მათი დასწრება სხდომებზედ საშუალოდ უდრის 80 პროც. საბჭოს საქმიანობაში ჩაბმულია ღარიბისა და საშუალო გლეხთა აქტივი. გაცხოველებული ენერგიით მიმდინარეობს საბჭოების საანგარიშო კამპანიები. განსაკუთრებულ აქტივობას და სურვილს იწვევს სექციების მუშაობაზე გამოცხადებული კონკურსი.

სრული დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საბჭოების საანგარიშო კამპანია და სექციათა კონკურსი დიდ დადებითი შედეგს მოგვცემს მომავალ მუშაობის უკეთ დაყენებისათვის სოციალისტურ ნიადაგზე.

ასეთია მოკლედ ჩვენი მიღწევები შორაპნის მაზრაში.

ს. ცუცქირიძე.

მუშათა ცხოვრება

ამათ რაღა დააშავეს
(თბილ. აღმასკომი)

აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების ზოგიერთ დაბალ თანამდებობის თანამშრომლებს, რეგისტრატორებს და მემანქანეებს, პირველ იანვრიდან მოუმატეს ჯამაგირები. ამავე დაწესებულების თანამშრომლები კი, როგორიც არიან: არქივის გამგე, საწყობის გამგე და ექსპედიტორი, დარჩნენ ისევ ძველ პირობებში. არქივის და საწყობის გამგეები თვიურად იღებენ 42 მან. ექსპედიტორი კი 45 მ. მემანქანეები მომატ[illegible] იღებდნენ 42 მან, ახლა კი 45 ისე, რომ გატარებული მომატება თანამშრომლ[illegible] სრულიად სწორი და კანონიერია, მაგრამ რა დააშავეს იმდენივე ხელფასის მქონე თანამშრომლებმა. ისინიც ხომ 42 მან. იღებენ თვეში.

აღსანიშნავია, რომ დასახელებულ თანამდებობის თანამშრომლები მეტად დატვირთული არიან მუშაობით. თვითეულ მათგანს თითქმის ყოველდღე სრულიად უსასყიდლოთ უხდება ზედმეტი მუშაობა. სხვა დაწესებულებებში ასეთი თანამდებობის თანამშრომლები იღებენ თვიურად არა ნაკლებ 80—100 მან. და შეიძლება ითქვას, რომ არც აქვთ იმდენი სამუშაო, რამდენიც მათ.

თანამშრომლები ხშირად მიმართავენ ადგილკომის თავმჯდომარეს ჯამაგირის მომატების შესახებ, მაგრამ უკანასკნელი ასეთი პასუხით ისტუმრებს: „მოიცადეთ ჯერ კოლექტიური ხელშეკრულება არ დაგვიდვია აღმასკომთან, ჯერ კიდევ კამათია ჯამაგირების მომატების შესახებ" და სხვა.

მიმდინარე წლის ორი თვე, უკვე გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ნუ თუ კოლექტიური ხელშეკრულება არ დაიდო. როგორც ვიცით თითქმის ყველა დაწესებულებამ მოათავა კოლხელშეკრულების დადება და ამ. ადგილკომისა რაღა ემართება?

აღმასკომო, დააჩქარეთ კოლხელშეკრულების დადება.

თანამშრომელი.

რა უშლის ხელს
(ზაჰესი)

ზაჰესში კარგა ხანია გაუქმდა 1 უბნის მუშათა კლუბი, რამაც ხელი შეუშალა კულტურულ მუშაობას. გასული წლის ბოლო ხანებში დაიწყეს მეორე უბნის კლუბის შენობის აგება ჩაყარეს საძირკველი, მაგრამ მუშაობა მალე შეჩერდა, გადის თვეები და კლუბის შენობაზე არავითარი ზრუნვა [illegible] მუშაობა არ სწარმოებს. ადმინისტრაცია [illegible] ვერ გადაჭრა საკითხი კლუბის [illegible] ხის მასალისაგან აშენოს თუ ქვისა [illegible] კლუბის მდგომარეობამ გამოიწვია ზაჰესში [illegible] მუშაობის შეფერხება.

შენობის უქონლობის გამო კინოც იშვიათად მიდის. [illegible] ზაჰესის კულტფონდიც ძალიან ღარიბია. ეს გარემოებაც ხელს უშლის კულტურულ მუშაობის გაცხოველებას.

ზაჰესში ამჟამად 500-მდე მუშა-მოსამსახური მუშაობს. მათ შორის არიან ისეთები, რომლებმაც წერა-კითხვის არაფერი გაეგებათ. გასულ წელს აქ არსებობდა წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა. წელს ჯერ-ჯერობით არაფერი ისმის. მიზეზი კი აქაც კულტფონდის სიღარიბეა. ამის შესახებ უნდა ზრუნავდეს ადგილობრივი კულტკომისია. მან კულტფონდის გაძლიერებისათვის უნდა გამონახოს რაიმე წყარო, რითაც დაძლეული იქნება [illegible].

ზაჰესში აუცილებლივ უნდა გაიხსნას წერა-კითხვის უცოდინართა სკოლა, რომელიც ხელს შეუწყობს წერა-კითხვის უცოდინარ მუშებს კულტურულ განვითარებაში.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამკითხველო ქართული წიგნებით ძალიან ღარიბია, არის რუსული ისიც ძველები და ჯერაც გამოუცვლელი. ამაზე უნდა იზრუნოს სამკითხველოს გამგემ და წიგნების საქმე დააყენოს თავის დონეზე.

საყვავისტყელი.

წარმოებას აუმჯობესებენ
(ქუთაისის მაუდის ქარხანა)

ქუთაისის მაუდის საქსოვ ფაბრიკაში, დღიდან მისი დაარსებისა, მუშაობენ ელექტრომანტიორები შ. ჯანელიძე და გ. გურგენიძე. რომლებიც პირნათლად და ერთგულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. გასულ წელს ამ ორმა მუშამ, საერთო ძალით და მუშაობით ფაბრიკის წისქვილში მოაწყვეს მანქანა, რომელიც ბრუნავს წისქვილის წყალის საშუალებით. ამით მათ ფაბრიკას მისცეს უფასო სინათლე, რამაც შეამცირა ფაბრიკის ხარჯები თვეში 350 მანეთით.

ამხ. შ. ჯანელიძე და გ. გურგენიძე.

გარდა ამისა, ამხ. ჯანელიძე და გურგენიძე ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ წარმოების გასაუმჯობესებლად. მათ ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრი რამ შემატეს ქარხანას. ეს იცის ფაბრიკის ადმინისტრაციამ. მაგრამ გამომგონ მუშების დასაჯილდოვებლად არაფერს ფიქრობს.

ადმინისტრაციამ რაც შეიძლება მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს გამომგონ და წარმოების გამაუმჯობესებელ მუშებს და საერთო წესით დააჯილდოოს ისინი. ფაბრიკის მუშა.

პასუხი უნდა მოეთხოვოს
(მილიციის საყურადღებოთ)

ხშირად სახლის მეპატრონეები არ ასრულებენ იმ წესებს, რომლითაც ხდება თბილისში ჩამოსულ მოქალაქეთა ჩაწერა სახლის წიგნაკში. მდგმური, ან სტუმრად მოსული მოქალაქე 24 საათის ყოფნის შემდეგ უნდა ჩაიწეროს სახლის წიგნაკში. წინააღმდეგ შემთხვევაში სახლის პატრონი ჯარიმდება. ამ წესის შესრულებას ყურადღება უნდა აქცევდეს მეეზოვე. მაგრამ სამწუხაროდ [illegible] ეს საკითხი უყურადღებოდ არის მიტოვებული. ხშირად მეეზოვეს თვით აქვს სახლის წიგნაკი და თვითონ არღვევს წესს.

უკანასკნელ ხანებში აღნიშნულ წესების დარღვევაში თავი ისახელა აგრეთვე აღმასკომის „უქმის" სახლების კომენდანტებმა. ხშირად ესენი არამც თუ სახლში ჩაწერა, არამედ ისე გაივლის თვეები, რომ ზოგიერთ სახლებში სრულიადაც არ შეიხედავენ. მაგალითად, მაგისტრალის ქუჩა № 5-ში ორი წელია, რაც გადაეცა აღმასკომს. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ორ-სამჯერ მოვიდა კომენდანტი აღნიშნულ სახლში. დაახლოვებით ათი თვე იქნება, რაც აქ სცხოვრობენ მდგმურები ორდერით, მაგრამ სახლის წიგნაკში არ არიან ჩაწერილი. წიგნაკი აქვს მეეზოვეს, რომელიც იმ რაიონში არ სცხოვრობს. მდგმურებმა მიმართეს სახლის კომენდანტს, მაგრამ მან ყურადღება არ მიაქცია. უკანასკნელად ამ საქმეზე შეიტანეს განცხადება მილიციაში. იმედია ეხლა მაინც მიაქცევენ ყურადღებას ამ საქმეს და მოსთხოვენ სათანადო პასუხს დამნაშავეს.

კოტე ქვენობანელი

მუშათა ცენტრალური კლუბი.
(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის მუშათა ცენტრალური კლუბის მუშაობა თანდათან უმჯობესდება. კლუბთან არსებობს მრავალი წრეები: დრამწრე, სიმებიანი ორკესტრი, სასულე ორკესტრი, ფიზკულტურის წრე, მოჭადრაკეთა წრე და სხვა. კლუბთან არის სამკითხველოც, რომელიც მდიდარია სხვადასხვა ლიტერატურით და რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთებით. წიგნებით სარგებლობენ კლუბისა და პროფკავშირის წევრები. სამკითხველოს ჰყავს მუდმივად თვეში—1.175-მდე მკითხველი.

კლუბთან არსებული წრეები გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ. დრამწრე თვეში ორჯერ მართავს უფასო წარმოდგენებს, რომელიც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებლებზე. ფიზკულტურის წრეც მხურვალე მონაწილეობას ღებულობს საღამოების მოწყობა-გამართვაში. ეწყობა აგრეთვე მოჭადრაკეთა წრის შეჯიბრება პირველობაზე. სასულე ორკესტრის წრემ 5 თვეა, რაც დაიწყო მეცადინეობა, მაგრამ მიუხედავად ამისა შესწავლილი აქვს მრავალი ნომრები და საჭიროების დროს უკრავს კლუბში. გარდა ამისა გადის თანამედროვე რუსულ-ქართული კინო-სურათებიც, რომლებსაც აუარებელი ხალხი ესწრება.

კლუბის გამგე ამხ. მახარაძე არავითარ ძალას არ იშურებს საკლუბო მუშაობის გასაცხოველებლად და მუშების კულტურული დონის ასამაღლებლად, რის გამო ამხ. მახარაძე ღირსია მადლობისა. საჭიროა პროფბიურომ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს კლუბს და გაუდიდოს მას დოტაცია.

ივანე ბუხაიძე.

მუშკორთა წერილებიდან

ყურადღება მიაქციეთ. „ტელასი", ხშირად უგზავნის ქართულ განცხადებებს „ელექტრო-სელსტროის" ამა თუ იმ საქმის შესასრულებლად, მაგრამ უკანასკნელი ამ განცხადებას უკან აბრუნებს, რადგან იქ ქართული ენის მცოდნე თანამშრომელი არ მოიპოვება. საკონტროლო ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მოვლენას.

შ. კოშკელი.

ჩუმი სამიკიტნო. ლოტკინის ქუჩის ბოლოში (მე-11-ე უბანი), მოქ. გ. კუპატაშვილს დარაბა № 11392-ში აქვს წვრილმანით სავაჭრო, რომელიც წარმოადგენს საიდუმლო სამიკიტნოს. სავაჭროში თითქმის ყოველდღე არის ქეიფი, რომელიც ხშირად ჩხუბითაც ბოლოვდება. გარდა ამისა, ეს ვაჟბატონი არც ბავშვებს უსვენებს. ის აძლევს მათ ტკბილეულობას და ითრევს გარყვნილობაში. მე-11-ე უბნის მილიციამ უნდა დაათვალიეროს ეს ჩუმი სამიკიტნო.

მეზობელი.

სარედაქციო კოლეგიას სძინავს. ა.-კ. რკ. გზის სტამბაში ოთხ თვეზე მეტია არ გამოსულა კედლის გაზეთი, რაც უნდა მიეწეროს სარედაქციო კოლეგიის სუსტ მუშაობას. რედკოლეგიავ, როდის გაიღვიძებ და როდის გამოუშვებ კედლის გაზეთს?

უცნობი.

თვითნებობენ. (საჟუდი). საჟუდის ანგარიშის თანამშრომლები ძალიან ხშირად იგვიანებენ სამსახურში: მოდიან ორი-სამი საათით გვიან და ეთვლებათ მთელი დღე. მუშაობის დამთავრებისასაც ერთი საათით ადრე მიდიან და ეს ხდება უმთავრესად საანგარიშო ნაწილში. თანამშრომლების ასეთ თვითნებობას ბოლო უნდა მოეღოს.

ოხრანელი.

—:—

ჩვენს მუშკორებს

— **ტექნიკოსს.** „უნივერსიტეტის გამოფენაზე" დაგვიანდა. არ წავა.
— **კლუბის წევრს.** „უწესობა მუშათა კლუბების შესახებ" არ წავა.
— **სილვა.** „ქართული პრესა და ადგილკომი" არ წავა.
— **უსამშობლოს.** „ყველას ანგარიში გაუწიეთ", დაგვიანდა აღარ დაიბეჭდება.
— **ხვეტელის.** „მადლობის ღირსია" არ წავა.

საშეფო საზოგადოებაში

საბჭოს გაფართოებული პლენუმი

გუშინწინ, საღამოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგა სოფლისა და ქალაქის კავშირის ს.-ბჭოს გაფართოებული პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში დასმული იყო ამხ. ძამაშვილის მოხსენება შეფების მონაწილეობის შესახებ საგაზაფხულო თესვის კამპანიაში.

საშეფო საზოგადოების მონაწილეობა თესვის კამპანიაში

მომხსენებელი ამხ. ძამაშვილი პლენუმს აცნობს, რომ უკანასკნელ წელს საქართველოში დათესილი იყო 659.000 დესეტინა, რომელსაც უნდა შეუერთდეს წლევანდელი თესვის კამპანია, აქედან შემოდგომაზე უკვე დათესილი არის 212.000 დესეტინა ე. ი. შარშანდელზე 23.000 დესეტინით ნაკლები. შემოდგომაზე თესვას ხელი შეუშალა ცუდმა ამინდებმა და წყალდიდობამ. ეხლა უნდა მივიღოთ ზომები, რომ მთელი სათესი არე სავსებით დაითესოს. თესვის კამპანიის ჩასატარებლად დაარსებულია ცენტრალური კომისია, ამ მოკლე ხანში მოეწყობა აგრეთვე სარაიონო და სამაზრო კომისიები. სულ დასათესი არის 436.000 დესეტინა, რომლის დასათესავათ საჭიროა მილიონ ფუთზე მეტი ხორბალი, ქერი და სიმინდი. ნაწილი თესლისა უკვე შეძენილია მთავრობისაგან და დაურიგდება ღარიბ მოსახლეობას, მაგრამ საქმე ის არის, რომ რუსული ხორბალი და სიმინდი არ ვარგა ჩვენი ნიადაგისათვის. ამიტომ უნდა მოხდეს გადაცვლა ადგილობრივ თესლზე. გარდა ამისა, მთავრობისაგან მიღებულია ზომები და თესვის კამპანიისათვის მაზრებს შორის განაწილდება საზღვარგარეთიდან გამოწერილი სას.-სამეურნეო იარაღები, მათ შორის, ასამდე ტრაქტორი. მიღებულია აგრეთვე ზომები გადიდებულ იქნეს მუშა-საქონლის რიცხვი.

საშეფო საზოგადოების წევრთა მოვალეობაა დაეხმაროს მთავრობას თესვის კამპანიის ჩატარებაში. მათ სოფლებში აგიტაცია უნდა გასწიონ, რომ თესვის კამპანიის დროს მუშა საქონელი გამოუყენებელი არ დარჩეს. მათ იმდენი გავლენა უნდა მოახდინონ გლეხობაზე, რომ ყოველმა გლეხმა თავისი ყანის დახნის შემდეგ მუშა-საქონელი აქირაოს ან ათხოვოს იმ გლეხს, რომელსაც იგი არა ჰყავს. მათ უნდა აუხსნან თუ რატომ ხდება რუსული ხორბლის გადაცვლა ადგილობრივ თესლზე, აუხსნან გლეხობას სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მანქანების უპირატესობა, და იმ შემთხვევაში, თუ მანქანა მოიშლება ან გაფუჭდება, გამოაგზავნონ შესაკეთებლად სარემონტო სახელოსნოში. არც ერთი მანქანა გამოუყენებელი არ უნდა დარჩეს, ამისათვის ამუშავებული უნდა იქნეს ყველა სახელოსნოები და სამჭედლოები გაფუჭებულ მანქანების შესაკეთებლად. თესვითი კამპანიის წარმატებით ჩატარება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ მასში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის აქტიური ძალები და მათ შორის საშ. საზ. წევრები.

მცირე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებებს თესვითი კამპანიის გასაძლიერებლად.

სას.-სამ. გადასახადი

ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით, მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 1 მარტისთვის აკრეფილია მთელს ამიერ-კავკასიაში —6.156.682 მან. რაოდენობით. აქედან აზერბეიჯანში აკრეფილია—3.154.936 მან., სომხეთში—1.036.393 მ. და საქართველოში—1.965.353 მან. ამრიგათ, საგადასახადო გეგმა შესრულებულია ამიერ-კავკასიაში 91,94 პროცენტით, ცალკე რესპუბლიკებში საგადასახადო გეგმა შესრულებულია: აზერბეიჯანში—93.91 პროც., სომხეთში—93,97 და საქართველოში—87,99 პროც.

საგადასახადო გეგმის შესრულების დაბალი პროცენტი საქართველოში აიხსნება იმ გარემოებით, რომ აფხაზეთში გადასახადის შეტანის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1 აპრილი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

საბინაო აღმშენებლობა

ტყიბული, 15 მარტი. მიმდინარე წელში მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის გადადებულია 240.000 მან. საამშენებლო სეზონის დაწყებისთანავე შეუდგებიან 6 ერთ სართულიანი სახლის აგებას მუშებისათვის.

თავდაცვა-ავიაქიმის სამაზრო კონფერენცია

სიღნაღი, 14 მარტი. დამთავრდა თავდაცვა-ავიაქიმის სამაზრო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 100 მეტი დელეგატი. სამაზრო საბჭოს მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მაზრაში ამჟამად არის 85 უჯრედი 3.000 წევრით. ყველა უჯრედებთან არსებობს გასამხედროების და პირველი დახმარების წრეები. საზოგადოებას მიზნად აქვს დასახული ააშენოს ჰაეროპლანი „ქიზიყის მუშტი ჩემბერლენს", რისთვისაც უკვე შეგროვილია 10.000 მანეთი. საბჭოს მუშაობა კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად სცნო. არჩეულია ახალი საბჭო 27 წევრის შემადგენლობით. (ადს).

წერილები

დროზე უნდა მოვაგვაროთ

გასული წლის მოუსავლობამ მშრომელი გლეხობის უმრავლესობა დააზარალა. განსაკუთრებით სიმწვავით მოუსავლიანობით მიყენებული ზარალი საგრძნობი გახდა დასავლეთ საქართველოს გლეხებისათვის. აქ თვითეული მაზრის მცხოვრებთა გამოსაკვებათ საჭირო შეიქნა რამოდენიმე ასეული ათასი ფუთი სიმინდის შემოტანა.

ამ გარემოებას თავის დროზე მიაქცია ყურადღება საბჭოთა ხელისუფლებამ და მიიღო ზომები ჩრდილო კავკასიიდან სიმინდის საკმაო რაოდენობით შემოსატანად. სიმინდის შემოტანა რეგულიარულად სწარმოებს, რაც ენაწილდება თემებს გლეხობისათვის მისაწოდებლად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შემოტანილი სიმინდზე დაწესებულია ხელსაყრელი ფასები, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივ სიმინდის ფასების შემცირებასაც.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავათ გასული წლის ცუდი მოსავლისა, შიმშილობას გლეხები ადვილად დააღწევენ თავს, მაგრამ ამასთან დაკავშირებით მოსაგვარებელია გლეხების სათეს სიმინდით მომარაგების საკითხიც. საქმე იმაშია, რომ ჩრდილო-კავკასიიდან შემოტანილი სიმინდი დასათესად უვარგისია. თუ ამ სიმინდით დაითესა ყანები კარგ მოსავალს არც მომავალ წელში უნდა მოველოდეთ.

ამიტომ აქედანვეა საჭირო შესაფერი ზომების მიღება კარგი ხარისხის სათესლე სიმინდის მოსამარაგებლად. პრაქტიკულად ამის განხორციელება შეიძლება შემდეგნაირად: შედარებით კარგი მოსავალი გასულ წელს იყო აფხაზეთში, სადაც საუკეთესო ღირსების სიმინდი მოდის. სოფლის საკრედიტო ამხანაგობებმა აფხაზეთში უნდა შეიძინონ სათესლე სიმინდი და მიაწოდონ გლეხობას.

ამასთან ერთად გლეხობას უნდა განემარტოს თესვის კამპანიის მნიშვნელობა და თავისი მცირე მოსავლიდან მათ უსათუოდ უნდა შემოინახონ სათესლე სიმინდი. ხოლო საკვებათ შეიძინონ ჩრდილო-კავკასიიდან შემოტანილი სიმინდი.

ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ, რომ საგაზაფხულო თესვის კამპანია ჩატარებულ იქნას წარმატებით. შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გაფართოვდეს სათეს მიწების არე და დაითესოს გაცილებით მეტი შარშანდელზე.

სამაზრო და სათემო აღმასკომების წინაშე სდგას ფრიად დიდი მნიშვნელობის ამოცანა საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, რაც წარმატებით უნდა დაგვირგვინდეს.

ს—მ.

მოსაგვარებელი საქმე
ს. კაკაბეთი, სიღნაღის მაზრა

მიწის რეფორმის ჩატარების დროს კაკაბეთის გლეხობამ ვერ მიიღო საკმაო რაოდენობის მიწა, რაც მიიღო ისიც დაბალი ხარისხისაა და მოსავალი მცირე მოდის. მეზობელ სოფელს კი, როგორიც არის მანავი, მიწები ნორმაზე მეტი აქვს და იქაური გლეხობა საკუთარი ძალით მის დამუშავებას ვერ ახერხებს. არის შემთხვევა, რომ მანაველები მიწას აძლევენ იჯარით საბალახოსთვის კაკაბეთელ შეძლებულ გლეხებს. ხოლო თუ ღარიბი გლეხის საქონელი გადავიდა საბალახოთ ასეთ მიწებზე, მას იჭერენ და პატრონს 5 მანეთით აჯარიმებენ.

საჭიროა ამ მტკივნეული საკითხის მოგვარება.

გ. ზუნაშვილი.

ჩაის კულტურის მომავალი პერსპექტივები ჩვენში
(წერილი აცანიდან)

მთელს გურიაში და განსაკუთრებით კი ს. აცანაში, ჩაის ბუჩქის კულტურა დღითი დღე იზრდება. გლეხობის მთავარ შემოსავალსაც ეს შეადგენს, ვინაიდან ნიადაგი ძალიან მწირია და სხვა არაფერი ხარობს აქ.

1926 წლის სტატ. ცნობით კერძო მეურნეებს სულ გაშენებული ჰქონიათ 55 დესეტინა ჩაის პლანტაცია. 1927-ში ეს რიცხვი თითქმის სამჯერ გაიზარდა: 1928 წლის პირველი თესვის კამპანიის შემდეგ წინასწარი გათვალისწინებული ცნობით უნდა მოშენდეს დაახლოებით 200—220 დესეტინა ჩაის პლანტაცია.

ზომები, რომ ჩაის მეურნეობა წინ წავიდეს: პლანტატორებს აძლევენ გრძელ ვადიან სესხს, დამუშავებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ჩაის თესლს, გვიგებენ ქარხნებს, გვყავს სპეციალური აგრონომ-ინსტრუქტორები, გვაძლევენ ყოველ დღიურ დარიგებას და სხვა.

ჩაის ქარხანა ჩვენს თემში ჯერ კიდევ 1923 წელში იქნა აგებული, რომელშიაც მხოლოდ ერთი დაზგა მუშაობდა. რა თქმა უნდა ეს ქარხანა ვერ დააკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ამ მიზნით 1925 წელს „საქ. ჩაი"-მ გადასწყვიტა ახალი ქარხნის აგება. დაიწყეს კიდეც, რომელიც სწრაფი მუშაობის წყალობით დამთავრებული იქნა ამავე წლის უკანასკნელ რიცხვებში. ქარხანაში მუშაობს ოთხი დაზგა.

ქარხანა აერთიანებს შემდეგი სოფლებს: ს. აცანა, ზემო და ქვემო შუხუთი, ნიგოითი, ძიმითი, ზემო და ქვემო აკეთი, ჭანჭათი, ზომლეთი, ამაღლება ვანი და მამათი.

წელს ჩაის პლანტაციის სივრცემ მოლოდინს გადააჭარბა. ამრიგათ ვერც არსებული ქარხანა აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ეს გარემოება მიიღო მხედველობაში საქ. ს.ზ. „საქ. ჩაიმ" და შეიმუშავა გეგმა ახალი ქარხნის ასაგებათ ჩაის [illegible] 20 დაზგით და 200 ცხენის ძალიან მოტორით. ქარხნის შენობა უნდა იქნეს ოთხსართულიანი, სადაც სავსებით უნდა დამუშავდეს გამხმარი ჩაი ბაზარზე გასატანათ. ქარხანასთან აგებული იქნება აგრონომიული სასწავლებელი. გეგმა უკვე დამტკიცებულია. ამჟამად მოწვეულია ინჟინერ-ტექნიკოსები იმის გამოსარკვევად, თუ სად უფრო მიზანშეწონილია ქარხნის აგება.

აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი სამწუხარო მოვლენა, რომელმაც თავი იჩინა ჩვენს თემში „კუთხური პატრიოტიზმის" სახით. ყველა ეწევება იქით აქეთ ქარხნის აგების ადგილს. ყველას უნდა თავთავის უბანში იქნას აგებული ის, რაც ერთობ აფერხებს კომისიის მუშაობას. საქმე ისაა, რომ ჩვენს თემში არსებობს მთელი რიგი ნიადაგის მოძრაობისა, რომელიც სახალხო ნაგებობას დაღუპვით ემუქრება. აუცილებლად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილის ამორჩევაში ამ მდგომარეობას. ამჟამად ნაგულისხმევი ადგილები, რომელიც მოწონებულია კომისიის მიერ გამოუსადეგარია, ვინაიდან ეხლაც ნათლად ემჩნევა ამ ადგილებში ზვავის მოძრაობა.

მიზანშეწონილი იქნება ქარხანა აგებული იქნას განათლების უბნის აღმოსავლეთ ნაწილში, ს. აცანისა და აკეთის საზღვრად. ამ ადგილის ირგვლივ არის 50 დესეტინამდე საფონდო მიწები. რომელიც აუცილებლად ესაჭიროება ქარხანას ამასთან ერთად ეს ადგილი ცენტრია ზემო ჩამოთვლილი თემების, რაც ხელს შეუწყობს მათ ქარხნით სარგებლობაში.

გლეხკორი ტ. აცანელი.

წერილებიდან

აღარ ვდღესასწაულობთ
ს. გრაკალი. გორის მაზრა

ამ სოფლის გლეხობა დღესასწაულობდა საეკლესიო დღეობა-თევდორობას. 12 თებერვალს შესდგა გლეხობის საერთო კრება, სადაც ერთხმად დაადგინეს აღარ იდღესასწაულონ თევდორობა და აქედან გადარჩენილი თანხებით შეძენილ იქნეს წყლის საქაჩავებელი მანქანა. რომლის უქონლობის გამო დღემდის გლეხობა შევიწროებას განიცდიდა წყლის უქონლობით.

იქაური.

—:—

ვაშენებთ სახალხო სახლს
ლაილაშის თემი, ლეჩხუმის მაზრა

დღემდის ჩვენ არ გვქონდა სახალხო სახლი. ეხლა ადგილობრივ ხელისუფლების ინიციატივით შეუდგენით სახალხო სახლის აგებას იმ ანგარიშით. რომ საბჭოების მომავალ არჩევნების დროს დავასრულოთ. მისი აგება და იქ გავხსნათ საბჭოს ყრილობა. უზრუნველყოფა სააღმშენებლო კომისიის პირნათლად შეასრულოს გლეხობის დავალება.

ყვ—ლა.

ეხლავე უნდა ვიზრუნოთ
ნოქალაქევი, სენაკის მაზრა

გასული წლის მოუსავლობის გამო გლეხობამ ვერ მოიწია საკმაო რაოდენობის სიმინდი, თუმცა ეს [illegible] შეავსო ჩვენმა საკრედიტო ამხანაგობამ ჩრდილო-კავკასიიდან შემოტანილი სიმინდით. ეხლა მწვავედ სდგას სათესი სათესლე სიმინდის მოსამარაგებლად. რისთვისაც თავის დროზე უნდა იზრუნოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

ან. კირ—ლი.

—:—

ხშირი მივლინებებს ზიანი მოაქვს
გორას თემი, ქუთაისის მაზრა

ჩვენი თემის საკრედიტო ამხანაგობაზე გლეხობა დიდ იმედებს ამყარებს. ის დღემდის სათანადოთაც ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ უკანასკნელ დროს საკრ. ამხ. თავმჯდომარე ამხ. ს. ლაჩქეპიანი ძალიან ხშირად მივლინებაშია და ამხანაგობის საქმიანობა უყურადღებოთ არის მიტოვებული.

საჭიროა ნაკლები მივლინებები და უფრო მეტ დროს ადგილობრივ მუშაობა.

მეთვალყურე.

მწერალთა ყრილობის შედეგები

საუბარი ამხ. ს. თოდრიასთან

მწერალთა ყრილობის შედეგების შესახებ. საბჭოთა მწერლების გაერთიანების ფედერაციის თავმჯდომარემ ამხ. ს. თოდრიამ ჩვენს გაზეთის თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

მწერალთა ყრილობა, რომელიც გრძელდებოდა 9 დღის განმავლობაში, მეტად განსხვავდებოდა სხვა დარგის ყრილობებისაგან. ის განირჩეოდა თვით მწერალთა პირველ ყრილობასთან შედარებითაც თავისი ხასიათით და საქმიანი სხდომებით. თუ მწერალთა პირველი ყრილობა იყო შედარებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, დეკორატიული სახის მატარებელი, მეორე ყრილობა ჩატარდა სრულიად ახალი ალმის ქვეშ, რაც გამოიხატებოდა აღძრულ საკითხების გარშემო ცხოველ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში და საბჭოთა ხელისუფლებასთან უფრო დაახლოების სურვილის გულახდით გამოაშკარავებაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მეორე ყრილობაზე არ ყოფილა არც ერთი დელეგატი, რომელიც უშუალოდ დაინტერესებული არ ყოფილიყო ყრილობით, და რომელსაც აქტიური მონაწილეობა არ მიეღო, როგორც ხელისუფლებასთან დაახლოების, ისე სხვა მიმდინარე საკითხების გარკვევა-გადაწყვეტაში.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ყრილობაზე, როგორც მწერალთა, ისე ხელისუფლების დაპირებანი, სავსებით თუ არ იქნა განხორციელებული, ამ ორი წლის განმავლობაში ყოველ შემთხვევაში იყო ცდები და გულწრფელი სურვილი ორივე მხრისაგან ამ დაპირებათა განხორციელებისათვის. ბევრი გაკეთდა იმისათვის, რომ მეორე ყრილობა ასე საქმიანი და ცხოველი ყოფილიყო.

საბოლოოდ გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ქართველ მწერლებს გულწრფელად სურთ იმუშაონ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად ხალხის საკეთილდღეოთ. ეს ნათლად სჩანდა, როგორც ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში, რომელშიაც ყრილობის უმრავლესობამ მიიღო მონაწილეობა, აგრეთვე სხვა საკითხების განხილვის დროსაც.

ყრილობამ გარკვევით აღნიშნა, თუ რა უნდა გააკეთოს ახალმა საბჭომ მასებთან დაახლოების და ახალი გზით წარმოებულ მწერალთა თვითმოქმედების გასაძლიერებლად. ყრილობამ ასევე გარკვევით ილაპარაკა კავშირის ზოგიერთ ნაკლოვანებებზე და მიღწევებზე.

მწერალთა კავშირის ფედერატიულ საფუძვლებზე ჩამოყალიბება კიდევ უფრო გააძლიერებს მწერალთა შორის ლიტერატურულ მუშაობას და საშუალებას მისცემს მასში გაერთიანებულ მწერალთა სხვადასხვა დაჯგუფებას გამოიჩინონ მეტი აქტივობა ახალი კულტურის შექმნის საქმეში.

ამის გარდა მწერალთა ფედერატიულ გაერთიანება დიდი ნაბიჯია წინ ეროვნულ უმცირესობათა მწერლებთან დაახლოებისაკენ, ვინაიდან ეს ფედერაცია გულისხმობს როგორც მასში ქართველ მწერლებს, ისე ეროვნულ უმცირესობის მწერალთა გაერთიანებას.

დაჯგუფებათა გარეშე დარჩენილ მწერლებს, როგორც ეს ყრილობაზე იყო აღნიშნული, ფედერაცია გაუწევს ყოველ დახმარებას და არ დატოვებს უყურადღებოდ. მათ საშუალება ეძლევათ თავიანთი მოწოდების მიხედვით შეუერთდნენ ამა თუ იმ ჯგუფს. პროლეტარულ მწერლობის გაძლიერებას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ არც ერთი ახალგაზრდა მწერალი განსაკუთრებით პირველი ყრილობის შემდეგ, არ შემატებია სხვა დაჯგუფებებს, პროლეტარულ მწერალთა რიცხვი კი საგრძნობლად იზრდება.

ფედერაცია აგრეთვე შესძლებს სავსებით მოსპოს ის ანტაგონიზმი ლიტერატურულ დაჯგუფებათა შორის, რომელსაც სამწუხაროდ კიდევ აქვს ადგილი სინამდვილეში.

წყალდიდობის მოლოდინში

თათბირი წყალთა მეურნეობის სამმართველოში

წყალთა მეურნეობის სამმართველოში შეს- წყალთა მეურნეობის სამმართველოში შესდგა სპეციალური თათბირი მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის საკითხების დასამუშავებლათ. პირველ რიგში თათბირმა განიხილა მდ. ცხენის-წყალის და გვალემბარას მშრალი ხრამის გამაგრების საქმე. წყალთა სამმართველოში მიღებული ცნობებით, როგორც გვალემბარას ხრამიდან, ისე ცხენის-წყალის მხრივ დიდი საფრთხე მოელის ლეჩხუმის მაზრას, კერძოდ ქალაქ ცაგერს, რომელსაც აღნიშნული მდინარეები წალეკვით ემუქრებიან.

ლეჩხუმის მაზრაში წყალდიდობასთან ბრძოლის საკითხების შესახებ თათბირზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ინჟ. ნ. კორინთელმა, რომელმაც თათბირს გააცნო იმ კომისიის მუშაობა, რომელიც გამოყოფილი იყო წყალთა სამმართველოსთან მდინარეების ნაპირების გასამაგრებელ საშუალებათა გამოსარკვევათ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ლეჩხუმის მაზრის ზოგიერთი რაიონების დასაცავად წყალდიდობისაგან, საჭირო გახდება მდ. ცხენის-წყალის ნაპირებზე მთელი რიგი ჯებირების და საგუბარების აგება, რისთვისაც საჭირო იქნება დაახლოებით 11.000 მანეთი, იმ პირობით თუ ლეჩხუმის აღმასკომი ითავებს მიწის სამუშაოთა შესრულებას და მოსახლეობას გამოიყვანს სავალდებულო შრომის ბეგარის წესით. გვალემბარის არხის სამუშაოთა შესახებ კომისიას არ გამოუტანია რაიმე გარკვეული დასკვნა, ვინაიდან აღნიშნული ხრამის ტოპოგრაფიული და გეოლოგიური მდებარეობა სავსებით უცნობია. ამიტომ, მომხსენებლის აზრით საჭიროა იქ მივლინებულ იქნას სპეციალისტი ჰიდრავლიკოსები, რომლებიც ადგილობრივ გამოარკვევენ წყალდიდობასთან ბრძოლის საშუალებას.

თათბირმა მიიღო დადგენილება, რომლითაც საჭიროდაა ცნობილი დაუყოვნებლივ გადაიდოს სამუშაოთა ჩასატარებლათ საჭირო თანხა 11.000 მანეთის რაოდენობით და გაგზავნილი იქნენ სპეციალისტები გვალემბარის ხრამის დასათვალიერებლათ და ქალაქ ცაგერის წყალდიდობისაგან დასაცავ ზომების გამოსამუშავებლათ.

დანარჩენ მაზრებში მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელი სამუშაოების გეგმის შედგენა, მიენდო წყალთა სამმართველოს საგეგმო კომისიას.

მდ. ბუჟის ნაპირების გამაგრება დაიწყო

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომი ატყობინებს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომ სათემო სამეურნეობა უკვე დაიწყეს მუშაობა ზოგიერთი მდინარეების ნაპირების გასამაგრებლათ. დაწყებულია აგრეთვე მდ. ბუჟის ნაპირების გამაგრება.

საქ. ცაკში

გლეხკომების დებულება აფხაზურ ენაზე

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ აფხაზეთის ცენტრალურ გლეხკომს—გლეხკომების დებულების აფხაზურ ენაზე გამოსაცემად გუშინ გაუგზავნა 250 მანეთი.

მისასალმებელი დეპეშა ზესტაფონიდან

სრულიად საქართველოს ცენტრალურმა გლეხკომმა, გუშინ ზესტაფონიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „შორაპნის მაზრის გლეხკომების მეოთხე ყრილობა გულწრფელად მოგესალმებათ და იმედს გამოსთქვამს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით შევსძლებთ მშრომელ გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და სოფელში ურთი-ერთი დახმარების საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას".

გლეხკომების ყრილობა ბელორუსიაში

15 მარტს მინსკში გაიხსნა ბელორუსიის გლეხკომების ყრილობა. საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ და ცენტრალურმა გლეხკომმა ბელორუსიის გლეხკომების ყრილობას მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა.

ოზურგეთის გლეხის სახლში

ოზურგეთის გლეხის სახლი შესდგება ცხრა ოთახისაგან და 20 საწოლისაგან. გასულ საანგარიშო წელში ოზურგეთში ჩამოვიდა და ღამე გაათია გლეხის სახლში—3431 გლეხმა. ამათგან ქართველი იყო 2679, რუსი 140, სომეხი—1.820, თათარი—314, და სხვა ეროვნების 122 კაცი. ზემო აღნიშნული დროის განმავლობაში გლეხის სახლმა უფასოთ გაათევინა ღამე 683 ღარიბ გლეხს და შეღავათიან ფასებში 395 გლეხს. გლეხის სახლის ბაქში გაიარა 192 ურემმა, 24 „ტაჩკამ" და 562 სულმა საქონელმა.

ა.-კ. [illegible]

[illegible]

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საქართველოს და სომხეთის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალონ ეკონომსაბჭოებს, რათა ამ უკანასკნელებმა გამოსცენ ინსტრუქცია იმ მიწების რეგისტრაციის შესახებ, რომლებიც გადაცემული აქვს ტრანსპორტს ქალაქის ფარგლებში.

ამ ინსტრუქციებს საფუძვლად უნდა დაედვას ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ინსტრუქციის პროექტი.

აზერბეიჯანის ცაკს წინადადება მიეცა აზერბეიჯანში გამოცემულ ინსტრუქციაში შეიტანოს სათანადო ცვლილებები.

კოოპერაციის საქმიანობაში ხელისუფლების ჩარევის აკრძალვა

ა.-კ. ცაკის დადგენილებით ხელისუფლების ორგანოებს აეკრძალა ჩარევა კოოპერაციის იმ ოპერატიულ საქმიანობაში, რომელიც გამომდინარეობს კოოპერაციის წესდებიდან ან მათ მიერ სახელმწიფოებრივ ორგანოებთან დადებულ ხელშეკრულებებიდან.

ხელისუფლების ორგანოებს ეკრძალება: კოოპერაციისთვის განკარგულების მიცემა საქონლის ნისიათ გაცემის შესახებ, წესდებით და კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ ხარჯების გაწევის შესახებ (საქველმოქმედო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით), საორგანიზაციო მუშაობის შესახებ (საერთო ყრილობის, რწმუნებულთა ყრილობის მოწვევა, მმართველი და საკონტროლო ორგანოების გამოცვლა, მოსამსახურის დათხოვნა-მიღება და სამოქმედო გეგმის დამტკიცება).

აკრძალულია აგრეთვე კანონით ნებადაურთველ რევიზიების და გამოკვლევების ჩატარება კოოპერაციაში და ანგარიშების, მოხსენებების სხვა ცნობების მოთხოვნა.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

დახმარება სახ. უნივერსიტეტს

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ა.-კ. ფინსახკომს გადასცეს ა.-კ. სახკომსაბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს საქმეთა მმართველობის განკარგულებაში, 30.000 მანეთი, რომლითაც დაფარული უნდა იქნეს სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის იუბილესთან დაკავშირებული ხარჯები.

პრაქტიკანტების განაწილება

ა.-კ. სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო რესპუბლიკების კოოპერატიულ საბჭოების წარმომადგენელთა ჩაბმა იმ საუწყებათაშორისო კომისიებში, რომლებსაც დავალებული აქვთ მოსწავლეთა განაწილება პრაქტიკულ სამუშაოზე გასაგზავნად.

ასანთის სინდიკატის წარმომადგენლობის გაუქმება

ა.-კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილება ასანთის სინდიკატის წარმომადგენლობის გაუქმების შესახებ ამიერ-კავკასიაში.

რადიო-თათბირი

გუშინ რადიო-თათბირის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ანდრიაძის მოხსენება რადიო-გადაცემის შესახებ საბჭოთა კავშირში.

რადიო-გადაცემის საქმე ექვემდებარებოდა ფოსტა-ტელეგრაფის სახკომისარიატს. უკანასკნელი ვერ იჩენდა საკმაო ყურადღებას გადაცემის ტექნიკის გაუმჯობესებისა და რესპუბლიკის რადიოფიკაციის საკითხში. ამ გარემოებამ აუცილებელი გახადა სპეციალური რადიო-გადაცემის კომიტეტის დაარსება. ამჟამად ასეთი კომიტეტი უკვე შექმნილია საკავშირო სახკომსაბჭოსთან. მას ევალება, რომ [illegible] ფართო მოსახლეობაში რადიო-ცოდნის [illegible] ისე სახელმწიფო საზოგადოებრივ დაწესებულება-ორგანიზაციებისათვის სამსახურის გაწევა პოლიტიკურ და კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის დარგში.

ეხება რა რადიო-გადაცემის დღევანდელ მდგომარეობას, მომხსენებელი მას შემდეგნაირად ახასიათებს.

რადიო გადაცემის სადგურების ქსელის საქმიანობას დღემდე საფუძვლად არ ჰქონდა ტექნიკურად დამუშავებული და ს.ს.რ.კ. [illegible] კომისიაში გატარებული ტექნიკური გეგმა. არ არსებობდა აგრეთვე მტკიცე და ტექნიკურად დამუშავებული რეგლამენტაცია ტალღების, რაც იწვევდა ერთგვარ შეუთანხმებლობას გადამცემ და მიმღებ რადიო-სადგურებს შორის. გადაცემის ტექნიკის გაუმჯობესებისა, მუშაობის რაციონალიზაციის და ზედმეტი ხარჯების შემცირების მიზნით, გადაწყვეტილია 65 რადიო-სადგურიდან დახმარება მიეცეს მხოლოდ 20-ს. დანარჩენები კი უნდა გადავიდნენ ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნავდნენ, რომ უნდა შემცირდეს რადიო-აპარატების და რადიო-მოწყობილობათა ღირებულება; ა.-კ. სახკომსაბჭოსთან უნდა დაარსდეს რადიო-გადაცემის ცენტრი და რადიოს მიზნობრივი და საამხანაგო გადასახადების შეკრების საქმე დარჩეს ფოსტა-ტელეგრაფის სახკომისარიატის ხელში.

ექსპორტის გაძლიერებისათვის

საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ამჟამად დიდ ყურადღებას აქცევს ექსპორტის გაძლიერების საკითხს. შემუშავებულია მიმდინარე წლის საექსპორტო გეგმა, რომელიც წინა წლების ფაქტიურ ექსპორტთან შედარებით გაზრდილია 70 პროცენტით. აღნიშნულ საექსპორტო გეგმის მიხედვით განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა მეორე ხარისხოვან საქონლის დამზადებას. ადგილებს დავალებული აქვთ გამოიკვლიონ ექსპორტის შესაძლებლობანი მომავალი სამეურნეო წლის საექსპორტო გეგმის შესამუშავებლათ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულია ზომები მიმდინარე წლის საექსპორტო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. გარდა პირველ ხარისხოვან საექსპორტო პროდუქტებისა (მარგანეცი, აფხაზეთის თამბაქო და სხ.), მიმდინარე წლის გეგმით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თხილის, ვაშლის, კვერცხის სამთამადნო მრეწველობის პროდუქტების და მინერალური წყლების ექსპორტის გაძლიერებას. წელს პირველად გატანილი იქნება საზღვარგარეთ ლეჩხუმის, გურიის, სამეგრელოს და აჭარისტანის თამბაქო 10.000 ფ. რაოდენობით. თამბაქოს ექსპორტის გადიდების მიზნით გაფართოებული იქნება თამბაქოს ნათესების სივრცე საექსპორტო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხე-ტყეს, აბრეშუმის პარკს, აბრეშუმის ნარჩენებს (რომელიც გატანილი იქნება მთელი რაოდენობით), ბეწვეულს და ჯაგარს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება უმთავრესათ იწარმოებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულია ზომები საექსპორტო პროდუქტების დამზადების ფინანსების უზრუნველსაყოფათ.

მომავალი წლის საექსპორტო გეგმა შემუშავებული იქნება აპრილში და წარედგინება დასამტკიცებლათ უმაღლეს ეკონომსაბჭოს.

გეოლოგიურ გამოკვლევათა გეგმა

ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველომ დაამუშავა გეოლოგიურ სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმა, რომელიცა გათვალისწინებულია მთელი რიგ ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება და, უმთავრესად, ისეთი მადნების ექსპლოატაცია, რომელთაც აქვთ სამრეწველო მნიშვნელობა და ამავე დროს შესაძლებელი იქნება მათი ექსპორტი საზღვარგარეთ.

გეოლოგიურ სამუშაოთა პროგრამაში შეტანილია შემდეგი მადნების გამოკვლევა: ბარიტის მადნების—ქუთაისის, შორაპნის და ლეჩხუმის მაზრებში ბარიტის არსებული ბუდობები, ამჟამად სრულიად ვერ დააკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნილებას. მეორე რიგში დაწესებული იქნება დიატომიტის, მინერალური საღებავების და ლიტოგრაფიული ქვის მადნების გამოკვლევა. დიატომიტისა და მინერალური საღებავების მადნებზე დიდი მოთხოვნილებაა, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. ამიტომ გადაწყვეტილია მომავალი 5 წლის განმავლობაში გამოკვლეულ იქნას ყველა მოხსენებულ მადნების ახალი ბუდობები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ლითოგრაფიული ქვების დამუშავებას. ალგეთის ლითოგრაფიულმა ქვამ უკვე მოიპოვა საბჭოთა კავშირში უპირატესობა, მაგრამ სამთო სამმართველოს ცნობებით რესპუბლიკის სხვა ადგილებში მოიპოვება ალგეთის ქვაზე გაცილებით უკეთესი ხარისხის ლითოგრაფიული ქვა. ამიტომ განზრახულია დაწვრილებით იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თელავის, ახალქალაქის და თიანეთის რაიონებში არსებული ლითოგრაფიული ბუდობები.

დანარჩენ მადნებიდან გამოკვლევის პროგრამაში შეტანილია—ვოლფრამის, ბიტუმის, მაგნეტიტურ რკინა-ქვის, რკინის და თუჯის მადნების გამოკვლევა. გამოკვლევებთან ერთად იწარმოებს გამოკვლეულ მადნების შესწავლა ლაბორატორიული მეთოდებით.

სახურავი ფიქალი

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა სახურავი ფიქალის მადნების დამუშავების საკითხი.

ამ საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინა სხდომას სამთამადნო-სამრეწველო სექციამ. წარმოდგენილ ცნობების მიხედვით სახურავი ფიქალის ბუდობები მდებარეობს სოფ. საბუეში.

საბუეს მადანი მდიდარია თავის მოცულობით; ფიქალის ქვებს აქვს ფიცრული სახე და აწყვია ფენებათ.

ფიქალის ქვები თავის სიმსუბუქით, სილამაზით და გამძლეობით საუკეთესოდაა მიჩნეული სახლების სახურავათ.

ფიქალის ქვებით შეიძლება დახურვა კრამიტის მსგავსად, მაგრამ ის კრამიტზე გაცილებით გამძლეა, მსუბუქი და იოლად გამოსაყენებელი, და, რაც უმთავრესია, უფრო იაფი დაჯდება მით სახლების დახურვა, ვიდრე კრამიტით და ჟესტით.

ფიქალს კრამიტსა და თუნუქის სახურავთან შედარებით კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ წყალს არ იჟონავს; ამავე დროს ზაფხულში იგი გრილია, ხოლო ზამთრობით მშრალი და თბილი.

საგეგმო კომისიამ დაადგინა წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამოიკვლიოს საბუეს რაიონში მდებარე ფიქალის მოდობები და შეუდგეს მათ საცდელ და სანიმუშო დამუშავებას.

ამასთან ერთად კომისიამ დაადგინა, ვინაიდან სამთომრეწველობის ეს დარგი მთელ საბჭოთა კავშირში ახალია და დღემდე ის არ ყოფილა მეცნიერულად შესწავლილი და გამოკვლეული, საბუეს ფიქალის მადნების გამოკვლევებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ მოწვეული იქნეს გერმანიიდან ერთი ცნობილი გეოლოგი და ერთიც ამ დარგის სპეციალისტი.

ქუთაისი

ხიდების დათვალიერება

ამ დღეებში წყალთა სამმართველოს წარმომადგენელმა ინჟინერმა მგალობლიშვილმა, ქუთაისის წყალთა ოლქის გამგემ ბიჭაშვილმა, „მაშველი"-სა და 1-ლ საბჭოთა არხების სამელიორაციო ამხანაგობის თავმჯდომარემ რეჟიშვილმა, მირიამა, ავალიანმა და ტექნიკოსმა კოსტავამ დაათვალიერეს ქვიტირის, მაღლაკისა და ფარცხანაყანევის თემებში „მაშველ" არხზე აგებული ხიდები (ბოგირები), რიცხვით 8. კომისიამ ერთი ხიდი უვარგისად სცნო და დაადგინა მისი გაუქმება. დანარჩენი ხიდების ნაგებობა კომისიამ საერთოდ დამაკმაყოფილებლად სცნო; მაგრამ, რადგან მათი დეტალურათ დათვალიერებას ხელი შეუშალა ხიდებზე დადებულმა დიდმა თოვლმა, კომისიამ საჭიროდ დაინახა—თოვლის გადნობის შემდეგ, სანამ ხიდების საბოლოო მიღება მოხდებოდეს, ხელახლა მოხდეს მათი დათვალიერება.

ამინდის გაუმჯობესება

ქუთაისში სითბო დაიჭირა: დღეები მზიანი და საკმაოდ თბილია, ღამ-ღამობით კი ყინავს. თოვლი სისწრაფით დნება. მოსალოდნელია წყალდიდობა. ქუჩები და მოედნები თოვლისაგან თავისუფალია. გამოჩნდა მთელი თვის განმავლობაში თავმოყრილი აუარებელი ნაგავი, რომელსაც დღემდი თოვლი ფარავდა. სანიტარული ქარავანი ვერ აუდის ნაგვის გადატანას.

ამინდის გაუმჯობესებას მოჰყვა სოფლებისაკენ გზების გახსნა და ქალაქში სურსათ-სანოვაგის შემოტანა, რომელიც წინანდელთან შედარებით საგრძნობლად გაიაფდა.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

ს. ქვემო ქვიტირში მაშველ არხზედ აგებული ერთი წისქვილის მეპატრონეთა ამხანაგობის ყრილობამ (ამხანაგობაში 80 მოსახლე შედის), სხვათა შორის, წყალთა მერაბის ამხ. ავალიანის წინადადებით დაადგინა—შეიძინოს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები 300 მანეთის რაოდენობით.

უსახელო აქციების სახელობითზე გადაცვლა

საქართველოს კომუნალური ბანკის ქუთაისის განყოფილებამ გააკრა ქალაქში განცხადება, რომლითაც მოუწოდებს ხსენებული ბანკის აქციონერებს—მიმდინარე წლის 1 აპრილამდი წარადგინონ განყოფილებაში მათ მიერ შეძენილი უსახელო აქციები, რომლის ნაცვლად მიიღებენ სახელობით აქციებს. ასეთივე განცხადებები დაუგზავნა თვალსაჩინო ადგილებზე გასაკრავად სამაზრო და საქალაქო აღმასკომებსა და ზოგიერთ სათემო აღმასკომებსაც. ხსენებულ ვადამდი წარუდგენელი აქციები გაუქმებულად ჩაითვლება.

სესხი მუშათა ბინებისათვის

საქართველოს კომუნალურმა ბანკმა ნება დართო თავის ქუთაისის განყოფილებას გასცეს ქუთაისის სამაზრო აღმასკომს მუშათა ბინების ასაშენებლად 50.000 მანეთის კრედიტი.

„რღვევა" ქუთაისის სცენაზე

10 და 11 მარტს, ქუთაისის სცენაზე ზედიზედ დაიდგა ლავრენევის პიესა „რღვევა", რომელსაც დიდძალი ხალხი ესწრება. ხსენებული პიესა მესამეჯერ დაიდგმება ხუთშაბათს, 15 მარტს.

ქრონიკა

ქართველი მწერლების პროტესტი იოხან ბეხერის გასამართლების გამო.

საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობამ გერმანელ მწერლის იოხან ბეხერის პასუხისგებაში მიცემის გამო შემდეგი დეპეშა გაგზავნა ლეიპციგში (გერმანია) სახელმწიფო სასამართლოს სახელზე (ასლი „როტე ფანე"-ს):

„ქართველ მწერალთა მეორე ყრილობამ გაიგო, რომ გერმანელ პოეტს იოჰან ბეხერს, რომელიც ლეიპციგში მიცემულია პასუხისგებაში, წაყენებული აქვს კაპიტალისტურ კლასიურ სასამართლოს მიერ ბრალდება სახელმწიფო ღალატში. ეს ბრალდება ემყარება მის პროლეტარულ-რევოლუციონურ წერილებს იმპერიალისტურ მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ. ყრილობა პროტესტს აცხადებს მისი დაპატიმრების გამო და მოითხოვს პროლეტარულ თანამებრძოლის და საბჭოთა კავშირის მეგობრის განთავისუფლებას".

ზაჰესის ენერგიაზე გადასვლა

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საპონ-ზეთის და ლითონის ტრესტებს დაჩქარებით ჩაატარონ თავიანთ წარმოებათა გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე. პირველ რიგში უნდა დასრულდეს საპონ-ზეთის მე-2 ქარხნის 26 კომუნარ. სახელობის ქარხნის და მექანიკურ საარტილერიო ქარხნების გადაყვანა.

ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ს.მ.უ.ს. ცენტრალურ სამმართველოში ჩაატაროს ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების მაქსიმუმამდე შემცირება.

კომისიაში შედიან ამხ. ვ. ავაქოვი (თავმჯდომარე), პ. ქართველიშვილი და პ. ჯაბელიძე. კომისიის მუშაობის დამთავრებამდე ზედმეტი ხარჯები დაფარულ იქნება ს.მ.უ.ს. ტრესტების შემოსავლიდან.

მოგებათა გაცემა

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორამ გუშინდლამდე გაანაღდა ინდუსტრიალიზაციის სესხის მეორე ტირაჟის მოგება 20.135 მანეთის რაოდენობით.

ამჟამად ბანკი აწარმოებს მესამე საგლეხო სესხის მეორე ტირაჟის მოგებათა გაცემას. ჯერ-ჯერობით გაცემულია 123 მოგება 1870 მან. რაოდენობით.

მეცხვარეთა მომარაგება

საზოგადოება „მწყემსმა" მიმართა სახკომსაბჭოს შუამდგომლობით, რათა მეცხვარეთათვის შემოზიდული იქნეს ხორბლის საკმაო რაოდენობა. ამასთანავე „მწყემსი" აწარმოებს მოლაპარაკებას გომის სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობასთან ოთხი ვაგონი ხორბლის შეძენის შესახებ. მიუხედავად მაღალი ფასებისა „მწყემსმა" გადასწყვიტა შეიძინოს ხორბალი გომის ამხანაგობისაგან. ამ ხორბლიდან ერთი ვაგონი ამ დღეებში გაუნაწილდებათ მეცხვარეებს.

საზ. „მწყემსმა" შეიძინა და გაუნაწილა მეცხვარეებს 2.000 ცალი ნაბადი (40.000 მან.), 300 ნაჭერი დაღესტნის შალი (3.000 მან.) და ფარაჯის ქსოვილი 600 მეტრი.

თბილისის აღმასკომში

◆ **უღარიბეს მოქალაქეთათვის** ერთდროული დახმარების გასაწევად და მცხოვრებთა სხვადასხვა საჭიროებისათვის აღმასკომმა გადასდო 50 ათასი მანეთი.

◆ **ლომბარდი.** პლეხანოვის პროსპექტზე ცენტრალურ ლომბარდის განყოფილების გასახსნელად აღმასკომმა გადასდო 20.000 მანეთი.

◆ **სამკურნალო დაწესებულებების გასაფართოებლად** ჯანმრთელობის განყოფილებას გადეცა 15 ათასი მანეთი.

◆ **ბინა სამხატვრო გამოფენისათვის.** თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა მხატვართა საზოგადოებას აღმოუჩინოს შესაფერი ბინა მუდმივი გამოფენების მოსაწყობათ.

◆ „ტიფტორგის" გამგეთ დაინიშნა ამხ. დვარჭელიძე.

◆ **თიანეთის ხე-ტყის ქარხნის** გასაფართოებლად აღმასკომმა გადასდო 16.000 მანეთი.

სახ. უნივერსიტეტში

წრის გახსნა. ორშაბათს, 19 მარტს, საღამოს 6 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში მოხდება ფიზიკო-მათემატიკურ წრის საზეიმო გახსნა. დღის წესრიგშია: დოცენტ ა ხარაძის მოხსენება—წრის მნიშვნელობის შესახებ ლ. გოკიელის მოხსენება: უსასრულობა მათემატიკაში. დასწრება თავისუფალია.

◆ **სახ. უნივერსიტეტი** მე-58 აუდიტორიაში დღეს საბუნებისმეტყველო სამეცნიერო წრის საჯარო სხდომაზე დ. მიქელაძე წაიკითხავს მოხსენებას: „მთიულეთ ხევსურეთში ექსკურსიის შედეგები".

◆ **ბაღი.** უნივერსიტეტის გამგეობამ გადასწყვიტა წელს უნივერსიტეტის ეზოში გააშენოს ბაღი.

საგეგმო კომისიაში

◆ **სახალხო ჯანმრთელობა.** სახ. საგეგმო კომისიამ შეიმუშავა სახალხო ჯანმრთელობის 5 წლიანი გეგმა.

◆ **საგეგმო კომისიამ დაამტკიცა** მდ. ძირულაზე (შორაპნის მაზრა) ახალი რკინის ხიდის აგების პროექტი.

სხვადასხვა

◆ **დახმარებების მიღება ფოსტის საშუალებით.** სოცდაზღვევის სამმართველო ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატს პენსიონერებისათვის და დაზღვეულებისათვის დახმარებების ფოსტის საშუალებით დარიგების შესახებ.

◆ **დახმარების გადიდება.** დამზღვევი სალარო შეუდგა უმუშევართათვის გადიდებულ ნორმით დახმარებების გაცემას მარტიდან.

◆ **კანისა და ვენერიულ სნეულებათა კლინიკაში,** კამოს ქ. № 34 დღეს 16 მარტს საღამოს 8 საათზე შესდგება ვენსექციის კრება.

◆ **მონადირეთა კავშირის დადგენილებით.** ის წევრები, რომლებსაც თავიანთი საწევრო წიგნაკები 1927—28 სამონადირო წლისათვის არ გაუახლებიათ, ვალდებულნი არიან განაახლონ 25 მარტამდე.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ნაქალაქევიდან —ნინიძეს. ზვარიდან — ლადოს; ზესტაფონიდან—თავზარაშვილს; ონიდან — მესხს; იქიდანვე — ხომასურიძეს; ქიათურიდან — გაპრინდაშვილს; იალტიდან — არუთინიანცს.

ხელოვნება

„ლატავრა"

დღეს, მარტის 16, სახელმწიფო აკადემიურ ოპერის სცენაზე პირველად წარმოდგენილი იქნება სახალხო არტ. ზ. ფალიაშვილის ოპერა „ლატავრა". თვით ავტორის განცხადებით, დრამატიულ მოქმედების განვითარება ამ ოპერაში ვერ შეიზღუდება საქართველოს ფარგლებით. ის გადატანილია ინდოეთში და ამისდამიხედვით, მუსიკის ძირითადი საფუძველი დამყარებულია არა მარტო ქართულ მუსიკის წყაროებზე, არამედ საერთო აღმოსავლეთის კილოზე. ეს გარემოება აძლევს კომპოზიტორს ჰარმონიულ წყობის და მელოდიურ მოხაზულობის გაფართოების და ისეთ მოდულაციების (ჰარმონიულ წყობათა ერთის ტონალობიდან მეორეში გადასვლა) მოხმარების სრულ საშუალებას, რომელნიც არღვევენ ქართული მუსიკის სტილისტიურ ფარგლებს, მაგრამ ამავე დროს ეს მოდულაციები გათვალისწინებულია აღმოსავლეთის საერთო სტილით.

რამდენად განახორციელა კომპოზიტორმა ეს თავისი მისწრაფება? ამაზე მსჯელობა გვექნება ოპერის დადგმის შემდეგ. მაშინვე გამოირკვევა, თუ რამოდენად შეფარდებულია ოპერის მუსიკა დრამატიულ განვითარებასთან, რომელსაც საფუძვლად უდევს ა. შანშიაშვილის ლექსად დაწერილი დრამა—„ლატავრა".

ეს დრამა აშენებულია ბრძოლაზე, რომელიც სწარმოებს ლატავრის და ენგიჩარ-მეფის შორის. ბოროტი ენგიჩარ მეფე უგზავნის მშვენ-უნახავ და სულიერ სიმშვენიერით სავსე დედოფალს ლატავრას მოციქულებს მოთხოვნილებით, რომ ლატავრა გაჰყვეს ენგიჩარს, წინააღმდეგ შემთხვევაში ენგიჩარი გაანადგურებს ლატავრის სამეფოს, თვით ლატავრას კი წაიყვანს ხასათ. ლატავრა უარჰყოფს ენგიჩარის წინადადებას და ამ შემთხვევაში ეყრდნობა სამი ძმის, გამოჩენილ ვაჟკაცების, რატის, გურამის და ბექარის ერთგულობაზე. მაგრამ რატის წააქეზებს ბოროტებით სავსე ინკუბუსი და ის უმტყუნებს ლატავრას, გადავა ენგიჩარ-მეფის მხარეზე, უჩვენებს ენგიჩარს გზას ლატავრის დაძლევისაკენ. ლატავრას ჯარი დამარცხებულია და თვით ლატავრა დატყვევებულია ენგიჩარის მიერ. რატი მოსთხოვს ენგიჩარს ჯილდოს, მაგრამ ენგიჩარი დაპირებულ ჯილდოს მაგივრად მკაცრად გაჰკიცხავს რატის სულის სიმდაბლეს და რატი მიწასთან გასწორებული და სირცხვილით გულმოკლული უგზო-უკვლოდ დაეხეტება ტყეში. აქ ამ დროს თავს იყრიან ლატავრას მომხრეები. სწარმოებს შეთანხმება ლატავრას დასახსნელად ენგიჩარის ხელიდან, სადაც მას მოელის გაუპატიურება და სიკვდილიც. თავისი დედის, ნანეს კარნახით, რატი შეუერთდება გურამს და ბექარს, ჩადგება შეთქმულთა სათავეში, შეთქმულნი მიიტანენ იერიშს ენგიჩარზე და გაანთავისუფლებენ ლატავრას. ოპერა მთავრდება ლატავრას დიდებით ხალხის და ლაშქრის მიერ.

ოპერის დადგმა ფრიად რთული მასიურ სცენების და დრამატიულ განვითარების სხვადასხვა ფეროვანებისა გამო, განხორციელებულია რეჟისორის ა. ახმეტელის მიერ. მსახიობთა ჩაცმულობის და ოპერის დეკორაციების მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ ი. გამრეკელს. ცეკვას ბალეტში ხელმძღვანელობს ბალეტმეისტერი ი. არბატოვი. მთავარი როლები პირველ წარმოდგენის დროს დანაწილებულია შემდეგნაირად: ლატავრა—დანელიანი, ნანო—ვოლჩანეცკაია, რატი—ქუმსიაშვილი, ენგიჩარ-მეფე—მესნიაევი, ინკუბუსი—ვენაძე, გურამ—ქურხული, ბექარ—ფროლოვი.

ქ. მ.—უ.

ხელოვნების ქრონიკა

ბარსოვას და გოლოვინის გასტროლები

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ მოსკოვის დიდი აკადემიური თეატრის პრემიერები: ვალ. ბარსოვა (კოლორატურული სოპრანო) და გოლოვინი (ბარიტონი).

შაბათს, 17 მარტს, სახელმწიფო ოპერაში ვ. ბარსოვა და გოლოვინი პირველად გამოვლენ ერთად ოპერა „სევილიელ დალაქში".

მომღერალი მ. მჭედლიძე

თბილისის კონსერვატორიის მოწაფე (რიადნოვის კლასით) ახალგაზრდა მომღერალი მ. მჭედლიძე (ბასი), რომელიც საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გაგზავნილი იყო ლენინგრადის სახ. კონსერვატორიაში მუსიკალური ცოდნის დასამთავრებლად გამოცდის შემდეგ ჩარიცხულ იქნა ლენინგრადის სახ. აკადემიური ოპერის დასის შემადგენლობაში.

საქ. მწერალთა ფედერაციის საბჭოში. შაბათს, 17 მარტს, საღამოს 6 საათზე ხელოვნების სასახლეში დანიშნულია საქართველოს მწერალთა ფედერაციის ახლად არჩეული საბჭოს პირველი სხდომა.

◆ „ლატავრა". ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება ზ. ფალიაშვილის ახალი ოპერა: „ლატავრა".

◆ **ოპერის მუშაკთა კოლექტივი.** თბილისში დაარსდა ოპერის მუშაკთა კოლექტივი, რომელიც საოპერო წარმოდგენებს გამართავს მუშათა კლუბებში.

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.

◆ **მუსიკალურ საზოგადოების კრება.** 19 მარტს ხელოვანთა სასახლეში შესდგება მუსიკალურ საზოგადოების წლიური კრება.

◆ **ირმა იაუნზემის კონცერტი.** 17 მარტს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ირმა იაუნზემის კონცერტი.

◆ „ჯავშნოსანი მატარებელი". რუსთაველის თეატრში ახლო ხანში წარმოდგენილი იქნება პრემიერა „ჯავშნოსანი მატარებელი".

◆ **მუშათა თეატრში** რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა".

◆ **ეროვნულმა გალერეამ** მხატვარ ელ. ახვლედიანისაგან შეიძინა რამდენიმე სურათი, მათ შორის დიდი სურათი: „ძველი თბილისი".

სასამართლო

ლოტოში გაკოტრებული

ღამეა. ლოტოში (პლეხანოვის პროსპექტზე) ხალხი თავჩაქინდრული დაჰყურებს კარტებს. ყველას დაბეჯითებით სჯერა, რომ უსათუოდ მან უნდა მოიგოს.

ლოტოში შედის მთვრალი მოქალაქე **ილია გიუნაშვილი.**

შესვლისთანავე ხმა მაღლა შეაგინებს ლოტოს მომგონს და მიუახლოვდება მოთამაშეებს. გიუნაშვილმა გაშალა ხელი და სიმინდის კაკლები და კარტები გადაცვივდა მაგიდიდან. ხალხი „აჯანყდა".

— ვინ არის ეს არამზადა! გაათრიეთ აქედან! მოგებული ვიყავი! ერთი ნომერი მაკლდა,—ისმის უკმაყოფილების ხმები.

მოვარდა კონტროლიორი, რომელმაც „საყვედურით" მიმართა მოქალაქეს და სთხოვა დარბაზის დატოვება.

— გთხოვთ მიბრძანდეთ, აქ ხელს ნუ გვიშლი!—წინადადებას აძლევს კონტროლიორი.

— რაო? მივბრძანდე? რაც მიშოვია, აქ ჩამიბარებია და ეხლა შემოსვლის უფლებაც არ მაქვს!

— შემოსვლას არავინ გიშლის, მაგრამ ხალხს ხელს ნუ უშლი. თამაშობენ ხომ ხედავ?

— თამაშობენ? მე შენ გეტყვი და, სულ ყველა მოიგებს! იმდენს მოიგებენ, რამდენიც მე მოვიგე...

— ეხლა ლაპარაკის დრო არ გვაქვს, გთხოვთ მიბრძანდეთ!

— სად წავიდე! მე მაქვს უფლება აქ ყოფნის, ლოტომ გამაკოტრა. გამიშვით!

გიუნაშვილმა ერთხელ კიდევ აურ-დაურია კარტები.

მილიციელმა დააკავა გიუნაშვილი, თორემ მაგიდასაც უპირებდა გადაყირავებას.

გაჰყავთ გიუნაშვილი გარეთ. მიიყვანეს კარებამდე. კარებს მიაბჯინა ორივე ფეხი გიუნაშვილმა და არ იქნა მისი დაძვრა.

— აქ გავკოტრდი და აქ უნდა მოვკვდე,—ჰყვირის გიუნაშვილი.

ბოლოს მოქალაქეებმაც მიიტანეს იერიში გიუნაშვილზე, მაგრამ უკანასკნელმა ყველა დააფრთხო. გაიქანა ფეხი, ჰკრა კარებს და ისრიალა შუშებმა. არ დარჩენილა კარებზე არც ერთი ნაჭერი მინა.

გიუნაშვილი დააპატიმრეს. სასამართლომ მას მიუსაჯა ორი კვირით თავისუფლების აღკვეთა.

კონტრაბანდა—საარსებო წყარო

მარგარიტა ბულდანოვას თბილისში იცნობდენ „კოვერკოტის", „ლორიგანის" და „ვიქტორიის"-ს მოყვარული მანდილოსნები.

დიდი „ინიციატივის" ქალი იყო მარგარიტა კონტრაბანდის გასაღებაში. მან სპეციალური შტატი შექმნა კონტრაბანდის საქმის გასაფართოებლად. ამ შემთხვევაში სპეციალურ შტატს წარმოადგენდენ ოჯახის წევრები.

მარგარიტა მარტო თბილისის ბაზარზე როდი ამუშავებდა თავის შტატს. სხვადასხვა ქალაქებშიაც ჰქონდა გაბმული ქსელი.

მისი მთავარი „კონტრაგენტი" იყო მისივე ქმარი, რომელიც „სპეციალური დავალებით" მივლინებული იყო ქ. ნოვოჩერკასკში.

დიდი მითქმა-მოთქმა იყო მარგარიტას მეზობლებს შორის, ქალები ვერ ურიგდებოდენ იმ გარემოებას, რომ მარგარიტა მარტო ცხოვრობდა და მისი ქმარი სამ თვეში ერთხელ „სტუმარივით" ჩამოდიოდა ნოვოჩერკასკიდან.

— თუ ერთად არ უნდოდათ ცხოვრება, რად იწერდენ ჯვარს! თუ უკმაყოფილება აქვთ ერთმანეთში, გაშორდენ და გაათავონ საქმე,—ლაპარაკობდენ მეზობლად „მანდილოსნები", როცა სალაპარაკო შემოელეოდათ.

მარგარიტას რომ მიუტანდენ მეზობლების ნალაპარაკევს, ის ხელის ჩაქნევით იტყოდა ხოლმე: „ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო".

იგზავნებოდა ნოვოჩერკასკში კონტრაბანდა: დუხები, პუდრი, ჩულქი, კრიალოსანი, კოვერკოტი, რომელთაც კონტრაგენტი—ქმარი ასაღებდა დავალების მიხედვით.

ყოველთვის კოკა წყალს არ მოიტანს. გატყდა კოკა. მარგარიტა მოხვდა სისხლის სამართლის მილიციის ბადეში.

მოხდა მარგარიტას „შტატის" ლიკვიდაცია. კონტრაბანდით მოვაჭრე ქალი გაასამართლეს. **მარგარიტა ბულდანოვას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით.**

შოფერ ვართანოვის საქმე

თბილისის სახალხო სასამართლომ ამხ. მ. კაჭარავას თავმჯდომარეობით გაასამართლა შოფერი ალექსანდრე ვართანოვი.

გასულ თვეში, მცხეთის მახლობლად ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი ვართანოვი, დაეჯახა მცირეწლოვან ქალს, რომელიც ავტომობილის ქვეშ მოხვდა და გარდაიცვალა.

ვართანოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ მან არ გამოიჩინა საჭირო სიფრთხილე, რაც საკმარისი იყო უბედური შემთხვევის თავიდან ასაცდენად. და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 ნახ. წლით.

გერ.

შემთხვევები

თავის მოწამვლა

გუშინ, დღისით, ნიშადურის სპირტით თავი მოიწამლა სოფიო ცხოვრებაშვილმა (მცხ. შემახინის ქ., № 8.). ცხოვრებაშვილის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა ამოტ აირაპეტის ძე მიკირტიჩიანცი, ტიგო სტეფანეს ძე ბოროდინი და პეტრე მიხეილის ძე ბაბუნინი.

ბავშვის დაკარგვა

10 მარტს უგზო-უკვლოდ დაიკარგა ალექსანდრე ივანოვა, 12 წლისა (მცხ. ჰოსპიტალის ქ., № 3).

ქურდობა

გუშინწინ, ღამით ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს გრიგოლ ურიაპოვის ბინა (მინკევიჩის ქ., № 24); წაიღეს სამასი მანეთის ტანსაცმელი. გაქურდეს არჩილ შერმაზანაშვილის საპარიკმახერო (კალინინის ქ., № 6), წაიღეს 50 მანეთის ხელსაწყოები.

გუშინ, დღისით კარების გატეხის საშუალებით გაქურდეს მიხეილ არუთინოვის სავაჭრო მაღაზია (რიყის ქ., № 4); წაიღეს 190 მანეთის საქონელი. გაქურდეს სარქის მურადიოვის ბინა (კალინინის ქ., № 142); წაიღეს 190 მანეთის ტანსაცმელი.

რკინისგზეზე

750.000 მანეთი საბინაო აღმშენებლობისათვის

ამ.-კავკ. რკინის გზების გამგეობამ ცენტრალურ კომუნალურ ბანკისაგან საბინაო აღმშენებლობისათვის წელს მიიღო—750.000 მანეთის კრედიტი.

ამ თანხების ფარგლებში მიმდინარე წელს გზის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს სულ მთელ გზებზე 20 სახლის აშენება, რაც დაჯდება—560.000 მან.

დანარჩენი თანხები სესხის სახით მიეცემა რკინისგზელთა საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებს.

მძიმე მატარებლები

90.000 ფუთის სიმძიმის მქონე ნავთის სამარშრუტო მატარებლები ნაწილობრივ უკვე მოძრაობენ ბაქო-ბათომის ხაზზე.

სურამის უღელტეხილზე ამ მატარებლების გატარების უფრო გასაადვილებლად, ა.-კ. რკ. გზა უკვე შეუდგა ყველა ნავთის გადასაზიდ მატარებლების სხვაგვარად შედგენას. მუშაობა უნდა დამთავრდეს 1 მაისისათვის.

დაჯახება

15 მარტს, ღამით, სადგ. ალიაბში ადგილი ჰქონდა მატარებლების დაჯახებას.

მატარებელი, რომელიც მოჰყავდა მემანქანე ნოვოდვორსკის, შეიჭრა სადგურში (სემაფორი დაკეტილი იყო) და დაეჯახა იქ პირველ ხაზზე მდგომ საბარგო მატარებელს. დაჯახების დროს დაიმტვრა 4 ცისტერნა და საგრძნობლად დაზიანდა მატარებლის ორთქლმავალი.

ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

საქმე მატარებლების დაჯახების შესახებ

ა.-კ. რკ. გზებზე შემთხვევებთან ბრძოლის საგზაო კომისია გაეცნო საქმეს ა. წ. 1 თებერვალს სადგ. ყარაბურუნში სახ. მატ. № 4-ს სამანევრო შემადგენლობაზე დაჯახების შესახებ.

გამოირკვა, რომ ეს შემთხვევა გამოწვეული იყო გზის აგენტების დაუდევრობით.

დამნაშავედ ცნობილი იქნენ: სადგურის მორიგე გალუსტიანი, უნცროსი მეისრე ტუმასიანი, სამანევრო შემადგენლობის უფროსი კონდუქტორი ზებურიანი და მატ. № 4 მემანქანე რაზვინი.

კომისიამ საჭიროდ ჩასთვალა: გალუსტიანის მოხსნა სამსახურიდან, ტუმასიანისა და რაზვინისათვის საყვედურის გამოცხადება და ზებურიანის ჩამოყენება მეუხრუქის თანამდებობაზე.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 16 მარტი

დღეს, 16 მარტს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

ს. მ. უ. ს. მოხსენება: ქიმიური მრეწველობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში—ქართულ ენაზე.

30 წელი პარტიის დაარსებიდან—ქართულ ენაზე.

მეცნიერების და ტექნიკის მიღწევები—რუსულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე.

მოხსენება „პოსტ ორუზა"—თურქულ ენაზე.

ეპიდემია და მასთან ბრძოლა —სომხურ ენაზე.

კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი"—ქართულ ენაზე.

ოპერა „ლატავრა"-ს ტრანსლიაცია.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

ტექნიკური კონსულტაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 16 მარტს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: ხაჩატურ ოვანესიანი, და კარაპეტ ფიჯოიანი, შავ მუშათა მესამე სექციიდან: არუთინ საგატელოვი, ვასილ სამადუროვი, მიხეილ ოგანეზოვი, თედო ციხისერი და ივანე კოპალეიშვილი.

თბილისის შრომის ბირჟის მედსექცია უმუშევართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ დამატებით მიღებულია მოთხოვნილება მედპერსონალზე საქართველოს ქვემოთ-ჩამოთვლილ მაზრებიდან და ავტონომიურ რესპუბლიკებიდან:

თელავის მაზრა: საჭიროა ექიმი (ს. ჯოყოლში), ჯამაგირი—170 მან. ბინით.

დუშეთის მაზრა: საჭიროა (დუშეთში) ექიმი-დასტაქარი, ჯამაგირი—200 მანეთი. ფასანაურში—ექიმი, ჯამაგირი—150 მან., მაღაროს კარში—ექიმი, ჯამაგირი—150 მან. გრემისხევში—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—50 ან 60 მან.

სიღნაღის მაზრა: წნორში საჭიროა ექიმი, ჯამაგირი—80 მან., მირზაანში—ექიმი, ჯამაგირი—90 მან., ბაკურციხეში—ექიმი—90 მ, სიღნაღის საავადმყოფოში—დასტაქარი ხელფასი—შეთანხმებით. აფენში—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—42 მ. 80 კ., არაშენდაში—ექიმის თანაშემწე—42-80 კაპ., წითელ წყაროში—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—42 მ. 80 კ. იორ-მუღანლოში—ბებია—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—70 მან., კაკაბეთში—ბებია—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—42 მან. 80 კ.

ბორჩალოს მაზრა: სადახლოში—ექიმი, ჯამაგირი—164 მან., ბაშკიჩეთში—ბებია, ჯამაგირი—60 მან., გიორანში—ბებია, ჯამაგირი—60 მან., ზაქათალა (კახში)—ექიმი, ჯამაგირი—120 მან. და ბინა.

სენაკის მაზრა: სენაკის საექიმო პუნქტისათვის ორი ბებია—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—40 მან.

ახალციხის მაზრა: ექიმი შოლოშეთში, ჯამაგირი—200 მან. ბინით., შოლოშეთში ბებია—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—70 მან. ბინით.

ფოთი: ყურის დასტაქარი, ჯამაგირი—150 მან., დაზღვეულებთან ბინაზე ექიმი ტერაპევტი, ჯამაგირი—150 მან.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებათ მსურველებმა უნდა მიმართონ თბილისის შრომის ბირჟის მედსექციაში ამხ. გოგეშვილს.

მეცნიერება და ტექნიკა

ქუჩების მოსაკირწყლავი მანქანა

გერმანიაში უკანასკნელ ხანებში ფართე გავრცელება ჰპოვა ქუჩების მოსაკირწყლავმა მანქანამ. მანქანა წარმოადგენს ქვების სატკეპნ მოწყობილობას. მანქანის დარტყმის ძალა მოწესრიგებულია. შრომის ნაყოფიერება უდრის 25 კვ. მეტრს წუთში. მანქანა ასრულებს 6 კაცის მუშაობას, მოძრაობს ბენზინიან მოტორის საშუალებით.

მოკალვა ჰაერით

ამერიკულ ქარხნებში ამჟამად შემოღებულია იმ ლითონის საგნების მოკალვის ახალი წესი, რომელთაც სურთ მისცენ თანაბარი და რბილი [illegible]. მოსაკალავ საგანს ათავსებენ ბითონის მავთულის ქსელში, რომელსაც სწრაფად აბრუნებენ. შემდეგ ბრუნავ საგანს მოაქცევენ გახურებული ჰაერის ნაკადში. გახურებული ჰაერის ნაწილაკები საგნის ზედაპირზე მოხვედრისას აძლევენ მას უღრესად ლამაზ და რბილ ფერს.

ჰაერის გაწმენდა

უკანასკნელ ხანებში უცხოეთში ფართე გავრცელება ჰპოვა ოთახის ოზონატორებმა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავთ ელექტრო-დენით [illegible]—ოთახის გასანათებელ ქსელიდან. ოზონი არის ჟანგბადის განსაკუთრებული ფორმა. რომელსაც აქვს ძლიერი სადეზინფექციო თვისებები, რითაც აიხსნება ოზონით მდგარ ზღვისა და ტყის ჰაერის დადებითი გავლენა ჯანმრთელობაზე. ოთახის ოზონატორები სპობენ ცუდ სუნს, სწმენდენ და ახლებენ ოთახის ჰაერს. ჰკლავენ იატაკში და კედლებში შემალულ მიკრობებს. ბუზები, კოღოები და კოლონები ვერ იტანენ ოზონს და სტოვებენ ოზონით გაწმენდილ ოთახს. პროდუქტები უფრო დიდხანს ინახება ოზონიან ჰაერში.

ნარევი

ნიუ-იორკის მოსახლეობა

შეერთებული შტატების სამინისტროს ცნობით, ნიუ-იორკის მოსახლეობა 1927 წ. უდრიდა 5.970.800, ე. ი. 94.444 კაცით მეტი იყო, ვიდრე 1925 წ.

პარიზის კონსერვატორიის ახალი შენობა

ამ რამდენიმე ხნის წინათ პარიზში მოხდ. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით კონსერვატორიისათვის ახალი შენობის საზეიმო გახსნა. ახალი შენობის მთავარ საყურადღებო ნაწილს წარმოადგენს უზარმაზარი დარბაზი—3.000 მსმენელისათვის. დარბაზის აგების დროს მხედველობაში იყო მიღებული აკუსტიკის (სწავლა ხმების შესახებ) ყველა უკანასკნელი მიღწევა. დარბაზს, წინააღმდეგ ტრადიციებისა, აქვს ვეებერთელა ნიჟარის ფორმა, რომლის სიღრმეში მოთავსებულია ორკესტრი დარბაზის თავისებური არქიტექტურის წყალობით, მუსიკის ხმები ოთხ დამოუკიდებელ ნაკადად მიემართება პარტერში, ამფითეატრში, ბალკონზე და ქანდარაზე. ხმის ტალღების სიგრძე და მიმართულება ისეთია, რომ არსად არ ჰკვეთენ ერთმანეთს. დარბაზი სრულიად თავისუფალია რეზონანსისა და ხმის ტალღების ურთიერთ-ზეგავლენისაგან; მისი აკუსტიკა იდეალურია. შენობის მეორე თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სტუდიების შენობები აკუსტიურად სრულიად განცალკევებულია ერთმანეთისაგან შენობის გარეთა და შიგნითა კედლების მოწყობილობის თავისებურობის წყალობით. მუსიკის ხმები არ გადის ერთი სტუდიიდან მეორეში. გაზეთების ცნობით, იმ დროსაც კი, როცა კონსერვატორიის 60 სტუდიაში ერთსა და იმავე დროს გაჩაღებული მეცადინეობა სწარმოებს სხვადასხვა ინსტრუმენტებზე, კონსერვატორიის შენობაში სრული სიწყნარე სუფევს. შენობას სამი წლის განმავლობაში აგებდენ.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დებულების" 29 მუხლის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. დეკემბრის 28-ს დადგენილებით დამტკიცებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დებულების (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-12 №-რი, მუხ. 176) 29 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ტყის წესების იგივე დარღვევანი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში, უკეთუ ღირებულება უკანონოდ მოჭრილი, გატაცებული ან დაზიანებული ტყისა და ხე-ტყის მასალისა ადგილობრივი მიზნით, 15 მან. აღემატება. დევნილ უნდა იქნეს სასამართლო წესით სათანადო სარაიონო სახალხო სასამართლოს მეშვეობით. სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად".

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალ. აღმასრ.

ს. სტეფანოვი.

1928 წ. მარტის 15.
თბილისი—სასახლე.

პარტიული კალენდარი

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის [illegible] იტყობინება, რომ დღეს, 16 მარტს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში მოწვეულია ლითონ ტრესტის [illegible] უჯრედის კრება.

დღის წესრიგშია: ამხ. დათუნოვის მოხსენება ლითონ ტრესტის მუშაობის შესახებ.

უჯრედის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება აუცილებელია.

სახ. უნივერსიტეტის პედაგ. ფაკულტ. არსებული ახ. ლ.კ.კ. უჯრედის მორიგი კრება მოწვეულია დღეს 16 მარტს, საღამოს 6 საათზე. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

სახ. უნივერ. აგრონომიული ფაკულტეტის პარტ-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს საღამოს 6 საათზე მოწვეულია საგნობრივ კომისიებში და ფაკულტეტის საბჭოში არჩეულ სტუდენტთა წარმომადგენლების კრება, რომელიც შესდგება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში (სადაც პოლიტ-წრის მეცადინეობა სწარმოებს).

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საგიტ.-საპროპაგ. განყოფილებაში დღეს, 16 მარტს, დღის 1-ლ საათზე დანიშნულია თათბირი, რომელზედაც მოწვეული არიან: ამხ. ორლოვი; ჩაჩავაძე; ბედია; იმედაძე; ბოგდანოვი; ბელოზეროვი; პიტოევი; ცქვიტინიძე; მხითაროვი და ბუჯიაშვილი.

საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას სააღრიცხვო-განაწილებითი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. გრიგოლ სარჯველაძეს ორი დღის ვადაში გამოცხადდეს აღნიშნულ განყოფილებაში (ოთახი № 43) ამხ. კვირკველიასთან.

საქართველოს კურორტთა მთავარ სამმართველოს თანამშრომლები გულითადი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას თავის მეგობრის და თანამშრომლის

არჩილ ივანეს-ძე მჭედლიძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება პარასკევს, 16 მარტს, დღის 4 საათზე. თავის ბინიდან წავკისის ქუჩა № 6. დაკრძალვა ყ. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. ნ. 784

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გაერთიანებული ადგილკომი გულითადი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა კურორტთა მთავარ სამმართველოს თანამშრომელი, იშვიათი ადამიანი და ამხანაგი

არჩილ ივანეს ძე მჭედლიძე

გამოსვენება დღეს, პარასკევს, 16 მარტს, დღის 4 საათზე, საკუთარ ბინიდან წავკისის ქუჩა № 6, დაკრძალვა ყ. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. ნ. 785

ღრმად დამწუხრებული მეუღლე თომა შვილები: ბენია, ვლადიმერი და ბიქტორი, ქალიშვილები: თეკლე და მარო, რძლები: მარო და სონია პაიჭაძეები, სიძე ნესტორ ბერაძე შვილიშვილები: შურა, ვალია, იმოგენა, დათიკო, მამია, შალვა, ვერიჩკა, სონია, ფაცია, როზა და კლარა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქალ. თბილისში ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში 14 მარტს, დილით გარდაიცვალა მათი საყვარელი

ბარბალე გიორგის ასული
დოლიძე-პაიჭაძისა

რომლის დაკრძალვა მოხდება ქალ. ფოთში დიდი კუნძულის სასაფლაოზე, ა. წ. 20 მარტს, დღით სამშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, ცხედრის გასვენება ფოთში მოხდება შაბათს, 17 მარტს, საღამოს 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 4 საათიდან პლეხანოვის გამზ. № 120. 1823

ვალია კონსტანტინეს ასული და კაკო მათეს-ძე [illegible] ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 13 მარტს ქ. ფოთში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი ბიძია

ერასტო მურზას-ძე პაჭკორია

დაკრძალვა კვირას, ა. წ. 18 მარტს, ქ ფოთში. 1826

უღრმეს მწუხარებაში მყოფი მეუღლე მარია (მაჰა), დედა ელისაბედი, შვილები: ანტოშა, კუკუშკა და ნადია; რძალი ანიჩკა, შვილიშვილები: კუკური და აბასტინა, ძმები: ბიქტორი და ლადი, დები: მაშა, მანუჟა, ნადია, ჯაკუნა და ქსენია აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის მარად დაუვიწყარი

ერასტო მურზას-ძე პაჭკორია

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 18 მარტს, ქალ. ფოთში ნახუტურის სასაფლაოზე, გამოსვენება ნაშუადღევის 4 საათზე, ნინოშვილის ქ. № 18 საკუთარ სახლიდან. ნ. 786

უღრმეს მწუხარებაში მყოფი შვილი კუკუშკა მელანია, სიძე გრიშა და შვილიშვილი აბასტინა მეუნარგიები ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ერასტი მურზან ძე პაჭკორია

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 18 მარტს, ქალ. ფოთში ნახუტურის სასაფლაოზე. გამოსვენება ნაშუადღევის 4 საათზე, ნინოშვილის ქ. № 18, საკუთარ სახლიდან. ნ. 787

გოგი კველიას-ძე და ეკატერინა (ფაშუტია) ანდრიას ასული ლომთათიძენი, ეპიფანე, ფუცუ და კოლია ხოშტარიები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ სამშაბათს, 13 მარტს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ერასტო მურზას-ძე პაჭკორია

რომლის დაკრძალვა მოხდება ნახუტურის სასაფლაოზე, კვირას, 18 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, გამოსვენება თავის საკუთარ სახლიდან ნინოშვილის ქ. № 18. ნ. 787

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ქეთევან დავითის ასული შვილით პატარა თენგიზით, მამა ვლადიმერ გიორგის-ძე მეუღლით ნადეჟდა თეიმურაზის ასული შვილებით ქეთევან, ლილი, თინა და გივი სოფიო დავითის ასული ჯაფარიძე მეუღლით და შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს

დავით ვლადიმერის-ძე კაკაბაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 17 მარტს, დღის 2 საათზე. საკუთარ ბინიდან (ელისაბედის ქ. 100). დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი ბიძები: იონა, მეუღლით ეკატერინეთი, შვილებით: ანიჩკა, საშა, შალვა, ილია—მეუღლით მარიამით, პეტიკო—მეუღლით მარიამით, მამიდები: ოლღა მეუღლე გიორგით და შვილებით: ვლადიმერი და თამარა კოგუაშვილები, ელისაბედი, (ცუცუნა) მეუღლე რაფიელით, შვილი გრიშა და რძალი კლავდია ნაფეტვარიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი და ძვირფასი

დავით ვლადიმერის-ძე კაკაბაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება შაბათს, 17 მარტს, ბინიდან ელისაბედის ქ. № 100, დღის 2 საათზე პანაშვიდი დღეს საღამოს 5 საათზე. 1820

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: დედა ფეოდოსი, მეუღლე ანეტა, ძმები გალაქტიონ, ლუდი და კოტე ილიას-ძენი; რძლები თამარა, მარი მ და ზარემა; სიძე გრიგოლ ტატოს-ძე ჭკადუა; და სოფიო ილიას ასული; ბიძები: აქსენტი და დომენტი ისიდორეს-ძენი და ბიცოლა დესპინე ივანეს ასული, გულისტკივილით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 13 მარტს ქ. ფოთში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

გიორგი (გოგი) ილიას-ძე
გაგილუა

რომლის დასაფლავება დანიშნულია ა. წ. 17 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე ქ. ფოთში. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ნინოშვილის ქ. № 20. 1821

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მშობლები: მამა არჩილ სტეფანეს-ძე, დედა ნადეჟდა გიორგის ასული, ძმა ვლადიმერი (კაკო) და და თამარი, ბიძები: გერასიმე და იორდანე სულავები ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ 18 მარტს, კვირას, დღის 12 საათზე ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უდროოთ დაკარგულ სტუდენტის

შალვა არჩილის-ძე სულავას

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავად. 1786

სახელმწიფო ოპერა

პ რასკევს, 16 მარტს პირველად სახ. მსახ. ზ. პ. ფალიაშვილის ახალი ოპერა **ლატავრა** 5 მოქმედებათ პროლოგით

მონაწ. დანიელიანი, ვოლჩანეცკაია, ქუმსიაშვილი, ვენაძე, მესნიაევი, სვანიძე, ქურხული, ფროლოვი, გაეცკი, ქუთათელაძე, შაპოშნიკოვი, მოლჩანოვი, პიროგაროვი.

დადგმა ა. ახმეტელის დირიჟ. სახ. მსახ. ი. პ. ფალიაშვილი

ა ნ ო ნ ს ი: შაბათს 17 მარტს მოსკოვის დიდი აკად მიური თეატრის პრემიერების
ვ. ვ. ბარსოვას და დ. დ. გოლოვინის
პირველი გამოსვლა **სევილიელი დალაქი**

ნ. 788

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონი
პროლეტარი

სახკინმრეწვის თეატრები

„განკიცხული" ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით 3 და 4 სერია ერთად
მხატვრული ბოევიკი **ხაზ-პუშ** რეჟ. ბეკ-ნაზაროვი
დადგმის მეორე კვირა **რომანოვების დინასტიის დამხობა**
საიდუმლოებით მოცული დახაშული ამერიკაში
ახალი ვრცელი შედევრი ძლიერი ახალგაზრდობა მალე **ბელვედერის ჩრდილები**
მხატვრული ბოევიკი **ხაზ-პუშ** რეჟ. ბეკ-ნაზაროვი
ანონსი მალე მსოფლიო შედევრი „Жизнь за жизнь" 0—11

განკარგულება № 1

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატისა

ქ. თბილისი, 1928 წლ. 10 მარტი

ცხადდება თურქეთის ყოფილ ქვეშევრდომ-ლტოლვილთა საყურადღებოთ რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკის ფარგლებში, რომ დღემდი მათზე გაცემული—ქ. თბილისის ადმინისტრატიული განყოფილებისა და სამაზრო აღმასკომების მიერ მოწმობები გაუქმებულია და შემდეგში ასეთების გაცემა შეწყვეტილია.

ის მოქალაქეები, რომლებსაც ხელზე აქვთ ამ გვარი მოწმობები ვალდებულნი არიან ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ განკარგულებისა მოაგვარონ თავისი მოქალაქეობრივი საკითხი სამაზრო და ქალაქების აღმასკომების ადმინისტრატიულს განყოფილებებში და სადაც ასეთები არ მოიპოვებიან სამაზრო მილიციის სამმართველოებში თავიანთ საცხოვრებელ ადგილას—განცხადებების შეტანით—რათა მათ მიეცეს სათანადო საცხოვრებელი მოწმობები.

იმ შემთხვევაში თუ ამ განკარგულების გამოცემის შემდეგ მათ აღმოაჩნდებათ გაუქმებული მოწმობები დამნაშავენი ამაში მიცემული იქნებიან სისხლის სამართლის პასუხის გებაში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი—ლ. ბერია.

ადმინისტრატიული სამმართველოს უფროსი—
რესპ. მილუფროსი—ბ. ბერაძე.

უცხოელთა განყოფილების უფროსი—დუმბაძე.

ნ. 778

იყიდება სახლი

ქ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე სადგურის ახლო, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება ქ. ოზურგეთში ილიკო გოგელიასთან და პოლიკარპე ინწკირველთან.

5—5 ნ. 745.

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა **„სილამაზის ინსტიტუტი"**
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძმელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—6-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—9.

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 სა თამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) კორესის ქ. კუთხე. 25—2

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—10

დაიკარგა: ს. ა. ლ. კ. კ. საწევრო ბილეთი № 5578, გაცემული თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მიერ, ილია სიმონიძე აბრამიშვილის სახელზე ჩ. გ. 1818

დაიკარგა შრომის სკოლის 2-რე საფეხურის პირველი კონცენტრის დამთავრების მოწმობა № 207 თამარ ივანე პიტახიას ასულის სახელზე, ჩ. გ. 1925

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიდსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდმთავრის ქ.)

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (პლეხანოვის შესახვევი) № 8.

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფონი 11—78 25—1

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 5—11

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12 საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—67

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—16

ქ. ქუთაისი
ექ. **თ. ვ. აპოფაშვილი**
შინაგანი სნეულება სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ 4—6 საათ. 25—1

დაიკარგა სამხედრო წიგნაკი № 43 გაცემული გორის სამხედრო მაგიდიდან გიორგი გიორგისძე მჭედლიძის სახელზე, ჩ. გ. 1825

დაიკარგა პირადობის მოწმობა სოფიო ალექსანდრეს ასულ. ორჯონიკიძეს სახელზე ჩ. გ. 1817

დაიკარგა: განათლების კავშირის წიგნაკი № 8813 სერგო აბაშიძის სახელზე, ჩ. გ. 1824

დაიკარგა სახ. პოლიტ. სამმართვ. მიღებული იარაღის ტარების მოწმობა № 6541, მედსანშრომის კავშირის საწევრო წიგნაკი № 5128, პირადობის მოწმობა № 2978 ივანე (ილიკო) ყამამანისძე ყიფიანის სახელზე, ჩ. გ. 1819

დაიკარგა: გასაწვევი წიგნაკი № 3 გაცემული ახალ-ხიბულის რაისამხედრო მაგიდის მიერ № 79 გერასიმე ჯიქიას სახელზე, ჩ. გ 1824

დაიკარგა პარტიული წიგნაკი, უვადო პასპორტი, პროფკავშირის წიგნაკი, საბჭოს წევრობის წიგნაკი, რევოლვერის ტარების ნებართვა და ინდუსტრიალიზაციის სესხის ქვითარი, გიორგი ექვთიმეს ძე სულაქველიძის სახელზე, ჩ. გ. 1827

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 63